ახალი უნივერსიტეტი

1 ნოემბერი, ორშაბათი, 2010 წ. №12 (2108)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ფინანსური დამოუკიდებლობის გარეშე ნებისმიერი ავტონომია ფიქციაა

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი სტუდენტებთან შეხვედრაზე

— ამიერიდან საუნივერსიტეტო ცხოვრებაში სტუდენტები უფრო აქტიურად ჩაერთვებიან და მათ ხმას — პრეტენზია იქნება ეს თუ ინიციატივა, ჩვენ აუცილებლად გავიგონებთ — ამ მიზნით თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ფაკულტეტების სტუდენტებთან ეტაპობრივი შეხვედრები დაიწყო და მის წინაშე ღიად დასმული პრობლემების აღნუსხვა დაიწყო.

შეხვედრა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

პირველი შეხვედრა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შედგა. რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიტაშვილმა ახალგაზრდებს ის სამი ძირითადი პრობლემა გააცნო, რომელიც უნივერსიტეტში უახლოესი თვეების განმავლობაში უნდა მოგვარდეს.

„საჭიროა, რომ სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ საუნივერსიტეტო ცხოვრების გაუმჯობესების პროცესში. თსუ უნდა იყოს ის ადგილი, სადაც სტუდენტები ყველაზე კომფორტულად იგრძნობენ თავს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს უამრავი პრობლემა, მაგრამ ყველა ერთდროულად ვერ მოგვარდება — ზოგს, შედარებით, მეტი დრო და ძალისხმევა სჭირდება.

პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, ეს უნივერსიტეტის ტექნიკური მოდერნიზებაა. სტატისტიკის მიხედვით, ჩვენი სტუდენტების მხოლოდ 10% იყენებს თსუ-ის ელ-ფოსტას. არადა აუცილებელია, რომ ყველა მათგანი ჩართული იყოს შიდა საუნივერსიტეტო საინფორმაციო ქსელში. თსუ-ის ვებ-ვერდი უნდა გახდეს უფრო ინტერაქტიული და თანამედროვე, რათა სტუდენტებმა შეძლონ მათთვის საჭირო ინფორმაციის დროულად მოპოვება. აუცილებელია, რომ ადმინისტრაციამ თავის დროზე გაუწიოს მომსახურება ყველა სტუდენტს, რათა ბიუროკრატიული ბარიერები დავძლიოთ. ბევრ ინფორმაციას ვიღებ თქვენგან ფეისბუქის, იმეილის თუ სხვადასხვა ფორუმების მეშვეობით.... სტუდენტები გამოთქვამენ პრეტენზიებს საჭირო საბუთების ასაღებად გაძნელებული პროცედურის გამო. ამის გამოსწორება შესაძლებელია, მხოლოდ და მხოლოდ, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით.

მე-3 გვერდზე

აკაკის კვირეული თსუ-ში

2010 წელი ქართველი ხალხის უსაყვარლესი მგოსნის — აკაკის საიუბილეო წლად გამოცხადდა. აკაკი წერეთლის დაბადებიდან 170 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ღონისძიებათა გამართვას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კურირებს. მუდამ ხალხის ენაზე მოლაპარაკე პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კვირეულის აღნიშვნას, საქართველოს საშტაბით, საგანმანათლებლო დანესებულებები გეგმავენ. აკაკი ზე პირველი სიტყვა პირველ ქართულ უნივერსიტეტში ითქვა. ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და ხალხში მისი დამკვიდრებისთვის ბრძოლის ერთ-ერთი მოთავის — აკაკის ღვაწლის წარმოსაჩენად სიტყვა შეიძლება უძლურიც კი იყოს, მაგრამ ყველა თავის ვალს მოიხდის, ალბათ, საყვარელი მგოსნის, ხალხის სამსახურს შეწირული საზოგადო მოღვაწის წინაშე.

შურთხია ბეროშვილი

25 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკაკი წერეთლის 170 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული პლენარული სხდომით დაიწყო და მთელი დღის მანძილზე გაგრძელდა. ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე კვიტაშვილი, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

დამსწრე საზოგადოებას კვირეულის გახსნა დიმიტრი შაშკინმა მიულოცა და ღონისძიების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„აკაკის კვირეული მთელი საქართველოს მასშტაბით გაიმართება. ჩვენი მიზანია კიდევ ერთხელ მოხდეს იმ მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, რაც აკაკი წერეთელმა დაგვიტოვა. მისი შემოქმედების მთავარი თემა ხომ ადამიანის თავისუფლებაა, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის — განათლების სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს ამ ფასეულობების დაცვის თვალსაზრისით“, — განაცხადა დიმიტრი შაშკინმა. მისი ინფორმაციით, კვირეულის ფარგლებში უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა სახის ღონისძიებები გაიმართება. საჯარო სკოლებში უკვე გამოცხადდა თხზულებების კონკურსი თემაზე: „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი“, რომელშიც მონაწილეობას VIII-XII კლასის მოსწავლეები მიიღებენ.

მე-8 გვერდზე

„ყველაზე ჭკვიანმა“ თსუ აირჩია
მე-4 გვერდზე

როდის ჩაანაცვლებს WWW-ს სისტემას მომავლის ინტერნეტი
მე-6 გვერდზე

რამდენად აკმაყოფილებს მოთხოვნებს სამეცნიერო ხარისხების დაცვის დონე
მე-8 გვერდზე

ყველამ უნდა ისწავლოს თუ არა საქართველოს ისტორია?
მე-9 გვერდზე

„საბავშვო უნივერსიტეტი“ მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭის მქონეთ როდი ეპატიჟება
მე-13 გვერდზე

ვინ უერთდება „ივერიელთა ერთობის ტრაქტატს“
მე-13 გვერდზე

მიხეილ ქურდიანის მიერ სიყვარულით „დაჩაგრული“ სამყარო
მე-15 გვერდზე

თსუ-ში წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები გაიმართა

ნატო ოგოლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ახალი წარმომადგენლობითი საბჭო აირჩია. კენჭისყრა 26 ოქტომბერს 6 საარჩევნო უბანში მიმდინარეობდა. თსუ-ის საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, საუბნო საარჩევნო კომისიები იმ პირებით დაკომპლექტდა, რომლებსაც მუშაობისთვის საჭირო გამოცდილება ჰქონდათ. ხმის მიცემის პროცედურას კანდიდატების მიერ წარდგენილი დამკვირვებლები აკონტროლებდნენ. არჩევნებმა დარღვევების გარეშე ჩაიარა და საარჩევნო კომისიაში არც ერთი საჩივარი არ შესულა.

„ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ორ კანდიდატს — დავით კერესელიძეს და შოთა სამსონიას ერთნაირი რაოდენობის ხმები ჰქონდათ, თუმცა ბატონმა შოთა სამსონიამ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა და, შესაბამისად, განმეორებითი არჩევნების ჩატარება საჭირო აღარ გახდა. სენატის ახლადარჩეული 39 წევრიდან 14 სტუდენტია. მოგვიანებით თსუ-ის აკადემიური საბჭო ბიბლიოთეკის დირექტორს აირჩევს და წარმომადგენლობითი საბჭო სრულად დაკომპლექტება. სენატის 40-ივე წევრს ერთნაირი უფლებები აქვთ“, — გვითხრა თსუ-ის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ დევდარიანმა.

თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებში სულ 43 კანდიდატი მონაწილეობდა. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ხმათა უმრავლესობა მოიპოვეს პროფესორებმა: ინეზა გაგნიძემ, ნუგზარ თოდუამ, ელგუჯა მექვაბიშვილმა, სტუდენტებიდან: გიორგი კარტოზიამ, გიორგი მესხორაძემ და გიორგი ჩაბაკაურმა; მედიცინის ფაკულტეტიდან პროფესორებმა: გიორგი გალდავამ, ვლადიმერ მარგველიშვილმა, ზურაბ ფაღავამ, სტუდენტებიდან მხოლოდ ნინო ცინცაძემ; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან პროფესორებმა: შორენა თურქიაშვილმა, მალხაზ მაცაბერიძემ, მანანა შამილიშვილმა, მარი წერეთელმა. სტუდენტებიდან: კონსტანტინე ნახუცრიშვილმა და ლევან ჩოხელმა; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან პროფესორებმა: ცირა ბარამიძემ, მიხეილ ბახტაძემ, ირაკლი ბრაჭულმა, ნანი გელოვანმა, ვახტანგ ლიჩელმა, კახაბერ ლორიამ და თამაზ პაიჭაძემ. სტუდენტებიდან: ბექა ახლოურმა, ვახტანგ ზივზივაძემ და უჩა ჯღამაძემ; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან პროფესორებმა: არნოლდ გეგეჭკორმა, მერაბ ელიაშვილმა, ბეჟან თუთბერიძემ, როლანდ ომანაძემ, შოთა სამსონიამ და მანანა ხაჩიძემ, სტუდენტებიდან: ვასილ გუბაძემ და გივი ჭლიკაძემ; იურიდიული ფაკულტეტიდან პროფესორებმა: გიორგი კახიანმა და გიორგი კვერენჩხილაძემ, სტუდენტებიდან: ბექა ბენდელიანმა, თამაზ პაპაშვილმა და ივერი ჭელიძემ.

წარმომადგენლობითი საბჭოს პირველივე სხდომაზე საბჭოს არჩეული წევრები ოფიციალურად სცნობენ საკუთარ უფლებამოსილებას.

ნატოს ელჩები სტუმრად თსუ-ში

21 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ნატოს წევრი ქვეყნის ესტონეთის ელჩი ეწვია. საქართველოში ნატოს დღეების ფარგლებში იური ლუიკმა სტუდენტებთან შეხვედრა გამართა და მათ მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა. სტუდენტებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანების პროცესის დეტალები, ალიანსის შესაძლებლობები და დადებითი მხარეების შესახებ ინფორმაციის მოპოვება აინტერესებდათ.

„მოხარული ვარ, რომ დღეს შესაძლებლობა მეძლევა გავმართო შეხვედრები მათთან, ვინც დაინტერესებულია ქვეყნის მომავლით და საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესით. მე შევხვდები ინტელექტუალურ ლიდერებს და სამომავლო გეგმებს განვიხილავთ. ლისაბონის სამიტის წინ მსგავსი დისკუსიები და მეტი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა ძალიან მნიშვნელოვანია, ამ ინფორმაციის გამოყენებას ყველა ჩვენგანი შეეცდება. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული ამ პროცესში და მოხარული ვარ, რომ მათი ინტერესი შეძლებისდაგვარად დავაკმაყოფილე“, – აღნიშნა ელჩმა იური ლუიკმა.

შეხვედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე კვიტაშვილი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ნალბანდოვი დაესწრნენ.

კვირეულის ღონისძიებები ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრისა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით იმართება. ნატოს კვირეული საქართველოში 23 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

აკადემიურ საბჭოს ახალი წევრები ჰყავს

ნატო ოგოლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტსა და მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური საბჭოს არჩევნები გაიმართა. ამ ფაკულტეტებზე არჩევნების ხელახლა ჩატარება ორი მიზეზის გამო გახდა აუცილებელი. მედიცინის ფაკულტეტზე საბჭოს წევრობის ერთადერთმა კანდიდატმა პაატა იმნაძემ 29 სექტემბერს დანიშნულ კენჭისყრამდე ცოტა ხნით ადრე საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. შესაბამისად, ამ ფაკულტეტზე არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდა. მოგვიანებით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა აკაკი ყულიჯანაშვილმა აკადემიური საბჭოს წევრობაზე უარი განაცხადა. თსუ-ის აკადემიურ საბჭოს სრულად დასაკომპლექტებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ ხელახალი არჩევნები 20 ოქტომბერს დანიშნა. ხმის მიცემის პროცედურამ დარღვევების გარეშე, მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. არჩევნების შედეგად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან აკადემიურ საბჭოს წევრი პროფესორი რამაზ ქურდაძე გახდა, მედიცინის ფაკულტეტიდან კი პროფესორი ლავრენტი მანაგაძე. აღსანიშნავია, რომ პროფესორმა რამაზ ქურდაძემ 29 სექტემბერს დანიშნულ აკადემიურ საბჭოს არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა და საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. თუმცა საბჭოში კიდევ ერთი კვოტის გათავისუფლების შემდეგ, მან კოლეგების რჩევით გადაწყვეტილება შეცვალა, და შესაბამისად, 20 ოქტომბერს თსუ-ის აკადემიური საბჭოს არჩევნებში კანდიდატურა ხელახლა წარადგინა.

თსუ-ის აკადემიური საბჭოს ახალი წევრების ხედვა უნივერსიტეტის განვითარებასთან დაკავშირებით ერთმანეთს ემთხვევა. რამაზ ქურდაძე და ლავრენტი მანაგაძე მიიჩნევენ, რომ თსუ-ში აუცილებელია სწავლის დონის აწვა და თანამედროვე სტანდარტების დანერგვა. ჩვენთან საუბრისას მათ იმ პრობლემურ საკითხებზე ისაუბრეს, რომლებიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტებზე საკმაოდ აქტუალურია და მოგვარებას საჭიროებს.

„მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს ფაკულტეტზე სტუდენტების ცოდნა გაუმჯობესდეს, უნივერსიტეტის ცნობადობა გაიზარდოს, როგორც საქართველოში, ასევე, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ და დაიწყოს ყველა იმ საგნისა და ლექციის ელექტრონიზაცია, რომელიც ჩვენთან იკითხება. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველა უნივერსიტეტს საკუთარი შიდა ქსელი აქვს, სადაც განთავსებულია სალექციო კურსები, კურიკულუმები და სტუდენტების ნამუშევრები. იქაურ ბიბლიოთეკებში არსებობს გარკვეული წიგნადი ფონდი და ჟურნალების ელექტრონული ვერსიები. თსუ-ის ბიბლიოთეკას ამ მხრივ არაჩვეულებრივი რესურსი გააჩნია და მისი ინტერნეტში განთავსება სტუდენტებს სწავლას მნიშვნელოვნად გაუადვილებს; რა თქმა უნდა, ეს ფონდი განუწყვეტლად უნდა ივსებოდეს როგორც ქართული, ასევე, უცხოური სამეცნიერო პერიოდული გამოცემებით. ბუნებრივია, უახლოეს მომავალში, სწრაფად ყველაფრის გაკეთება ვერ მოხერხდება, მაგრამ მნიშვნელოვანი სამეცნიერო სტატიებისა და საჭირო ლიტერატურის ელექტრონული ვერსიების შექმნა აუცილებელია. თსუ-ის ცნობადობის გაზრდა, სწავლის დონის ამაღლება, სასწავლო სისტემის ელექტრონიზაცია – ამ საკითხების მოგვარება ჩვენ საშუალებას მოგცემს განვავითაროთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გავაღრმავოთ საერთაშორისო კონტაქტები, აქტიურად მივიღოთ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში. სტუდენტების ცოდნის გასაუმჯობესებლად აუცილებლად მიმაჩნია პრობლემაზე დაფუძნებული სასწავლო სისტემის დანერგვა. სამწუხაროდ, ზოგჯერ ჩვენთან იკითხება ისეთი ლექციები, რომლებსაც ნაკლები პრაქტიკული ღირებულება აქვთ, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ამ ხარვეზის გამოსწორების აუცილებელი პირობაა“, — განაცხადა აკადემიური საბჭოს წევრმა რამაზ ქურდაძემ.

პროფესორი ლავრენტი მანაგაძე თსუ-ში მოღვაწეობის პარალელურად პრაქტიკულ საქმიანობას საქართველოს უროლოგიის ნაციონალურ ცენტრში ეწევა. იგი უკვე 26 წელია ამ ცენტრის დირექტორია. სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტების პროფესიონალ სპეციალისტებად ჩამოყალიბებისთვის მას აუცილებელ პირობად მიაჩნია პრაქტიკული სწავლების გაძლიერება, რაც მომავალი ექიმების ავადმყოფებთან პირად კონტაქტში გამოიხატება. ლავრენტი მანაგაძე სამედიცინო განათლების გაძვირების პრობლემატიკაზეც საუბრობს. როგორც იგი აცხადებს, ეს მიზეზი არაერთ ნიჭიერ ახალგაზრდას სრულყოფილ სპეციალისტად ჩამოყალიბების გზას უჭრის.

„სტუდენტები ფაქტობრივად ავადმყოფებს ვერ ხედავენ. ლექტორები მათ მაგალითებზე, დიაგრამებზე, სიტყვიერ ინფორმაციაზე დაყრდნობით ასწავლიან. ამის გამოსასწორებლად არსებობს სრულიად ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც საქართველოში გამოყენებული არ არის, თუმცა მათი დანერგვა აუცილებელია. მაგალითისთვის გეტყვით, საქართველოს უროლოგიის ცენტრს წელს 50 წელი შეუსრულდა. მსგავს იუბილეებს, ტრადიციულად სიტყვით გამოსვლებითა და მოხსენებების წაკითხვით აღნიშნავენ. ეს მოხსენებები ინტერნეტში უკვე დევს და გაცილებით უკეთესი ავტორების მიერ არის დაწერილი, ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ჩაგვეტარებინა ოპერაციების ჩვენება, ორი დღის განმავლობაში სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ საინტერესო ქირურგიული ოპერაციები ონლაინ-რეჟიმში გადაიცემოდა, იყო ორმხრივი კავშირი აუდიტორიასა და ქირურგს შორის, შემდეგ მიმდინარეობდა განხილვა. თავად ეს ღონისძიება საქართველოში პირველად გაიმართა, მაგრამ დასავლეთში ძალიან პოპულარულია. სტუდენტებისთვის მსგავსი სახის პრაქტიკული სწავლება ბევრად საინტერესო და ბევრის მიმცემი იქნება. ამის გაკეთება შესაძლებელია, თუმცა ყველაფერი დაკავშირებულია ფინანსურ პრობლემებთან. მსგავსი ღონისძიებების ორგანიზებით თავად უნივერსიტეტი უნდა იყოს დაინტერესებული. აქტუალური პრობლემაა რეზიდენტურაში სწავლის გაგრძელებაც. საქართველოში რეზიდენტურაში სწავლას სახელმწიფო არ აფინანსებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ კი სტუდენტს ფინანსურად უჭირს იგი სასურველი განათლების მიღებას ვერ შეძლებს. ეს სახელმწიფოს დონეზე მოსაგვარებელი საკითხია. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში უნივერსიტეტს გაცილებით მეტი გავლენა აქვს, ვიდრე ერთ კონკრეტულ პიროვნებას, ამიტომ ამ პრობლემის მოგვარებისთვის აუცილებლად უნდა იზრუნოს“, — გვითხრა პროფესორმა ლავრენტი მანაგაძემ.

20 ოქტომბრის არჩევნების შედეგად თსუ-ის აკადემიური საბჭო სრულად დაკომპლექტდა. საბჭოს წევრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს განვითარების მხრივ ერთიანი ხედვა აქვთ – სწავლების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა და საერთაშორისო საუნივერსიტეტო სივრცეში საპატიო ადგილის დამკვიდრება, რისთვისაც აკადემიურ საბჭოში მუშაობა უკვე დაწყებულია.

ფინანსური დამოუკიდებლობის გარეშე ნებისმიერი ავტონომია ფიქციაა

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი სტუდენტებთან შეხვედრაზე

პირველი გვერდიდან

მეორე, ეს გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობადობის პრობლემა. მე, როგორც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, ყოველთვის მაინტერესებდა — რა ხდებოდა უნივერსიტეტში. გარედან დანახული თვალით ისე ჩანს, თითქოს თსუ-ში საინტერესო და ახალი არაფერია. არადა ჩვენთან უაღრესად საინტერესო სამეცნიერო კვლევები ტარდება. კერძოდ, II კორპუსის შენობაში ფუნქციონირებს განახლებული ტექნიკური ცენტრი, რომლის შესახებაც საქართველოში ძალიან ცოტამ თუ იცის. აქ მიკროსქემების აგებაზე შეკვეთებს იღებენ გერმანიიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან — ამ ერთი მაგალითით მინდა ვთქვა: თსუ-ში დიდი პოტენციალია და, შესაბამისად, მისი ცნობადობა აუცილებლად უნდა გაიზარდოს.

მესამე პრობლემა — უნივერსიტეტის ფინანსური დამოუკიდებლობაა. საუბარია უმაღლესი სასწავლებლისთვის მეტად საჭირო კომერციალიზაციაზე, რათა იგი ნაკლებად იყოს დამოკიდებული სახელმწიფო დაფინანსებაზე. თსუ-ის ფინანსურად გაძლიერების პოტენციალი ნამდვილად აქვს. არის საკმაოდ საინტერესო პროექტები, რომელსაც უზარმაზარი შედეგის მოტანა შეუძლია როგორც უნივერსიტეტისთვის, ასევე, ქვეყნისთვისაც. პროექტების განსახორციელებლად მათი ავტორები სახელმწიფო დაფინანსებას ელოდებიან. თსუ სწორედ ის დაწესებულებაა, რომელიც თავადვე უნდა ახერხებდეს ფინანსების მოზიდვას. მოვიყვან ერთ კონკრეტულ მაგალითს: უნივერსიტეტს არ გააჩნია წიგნების მაღაზია, სადაც წიგნებთან ერთად გაიყიდება მაისურები, ჰალსტუხები, კალმისტრები და სხვადასხვა საკანცელარიო ნივთები უნივერსიტეტის ლოგოს გამოსახულებით, რაც დამატებითი შემოსავლის წყარო გახდება. სერიოზული პრობლემაა ისიც, რომ უნივერსიტეტს არ აქვს სტამბა. გარეთ წიგნების ბეჭდვა დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული, საკუთარ სტამბაში კი შევძლებდით როგორც ჩვენი, ისე სხვა წიგნების ბეჭდვასაც, რაც დამატებით თანხებს მოიზიდავს. მოგეხსენებათ, სახელმწიფო ყველაფრის დაფინანსებას ვერ შეძლებს. როდესაც საუბარია იმაზე, რომ უნივერსიტეტი უნდა იყოს ავტონომიური, ეს ნამდვილად მართებული მოთხოვნაა, მაგრამ ფინანსური დამოუკიდებლობის გარეშე ნებისმიერი ავტონომია ფიქციაა“, — განაცხადა რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიტაშვილმა სტუდენტებთან პირისპირ შეხვედრაზე.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან საკმაოდ ბევრი კითხვა ჰქონდათ:

პირველი კითხვა, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა გიორგი მოლოდინაშვილმა დასვა, I კორპუსში დაბრუნების თემას შეეხებოდა.

არაბისტიკის მიმართულების სტუდენტებმა ქართულ-არაბული ლექსიკონის დაბეჭდვასთან დაკავშირებულ პრობლემაზე გაამახვილეს ყურადღება. ამ ლექსიკონის უქონლობა სწავლის პროცესს მათ ერთიორად ურთულებთ.

კიდევ ერთხელ გახმიანდა საგნების არჩევასთან დაკავშირებული პრობლემაც.

რექტორთან შეხვედრაზე დაისვა თსუ-ის ყველა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის აქტუალური კითხვა, რომელიც სტუდენტთა დასაქმების პერსპექტივას შეეხება.

ახალგაზრდებმა ყველა დასმულ კითხვაზე მიიღეს პასუხი:

რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ინფორმაციით, პირველი კორპუსი მომდევნო სასწავლო წლიდან გაიხსნება, სადაც ლექციებს, ტრადიციის მიხედვით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები მოისმენენ. სასწავლო პროცესში დაიბეჭდება ის აუცილებელი წიგნები, რომელთა დეფიციტის შესახებ ახალგაზრდები აქტიურად საუბრობენ. ალექსანდრე კვიტაშვილის განცხადებით, თსუ-ში კომერციალიზაციის პროცესის დაწყება სტუდენტებს საშუალებას მისცემს — უნივერსიტეტშივე დასაქმდნენ, კერძოდ: ბიბლიოთეკებში, წიგნების მაღაზიებსა თუ კაფეებში. ასევე, იგეგმება მემორანდუმების გაფორმება საჯარო დაწესებულებებთან, სადაც ახალგაზრდებს სტაჟირების გავლა შეეძლებათ.

სტუდენტების პრობლემების მოსასმენად და მათი შეხედულებების გასაცნობად თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე კვიტაშვილი ონლაინ-კონფერენციების მოწყობას გეგმავს. ახალგაზრდებთან ონლაინ რეჟიმში საუბარი მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როდესაც უნივერსიტეტში შესაბამისი ტექნიკური ბაზა მოწესრიგდება.

შეხვედრა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე

სტუდენტებთან შეხვედრაზე უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ისაუბრა საუნივერსიტეტო პორტალის შექმნის აუცილებლობაზე, რომელზეც უამრავი საჭირო ინფორმაციის, მათ შორის ლექციების, სილაბუსებისა და სასწავლო მასალების განთავსება იქნება შესაძლებელი. ეს სტუდენტს თავიდან ააცილებს სასწავლო მასალების კოპირების ვალდებულებას, რაზეც აქამდე მათ დიდი დრო და ფინანსები ეხარჯებოდათ.

ბატონმა ალექსანდრე კვიტაშვილმა ყურადღება გაამახვილა სტუდენტური საერთო საცხოვრებლის პრობლემაზე და აღნიშნა, რომ ის კორპუსები, რომელიც დღეს უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლად მიიჩნევა, ვეღარ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რადგან საუნივერსიტეტო სივრცესაა მოწყვეტილი. რექტორის თქმით, გარკვეული სამუშაოები ჩატარდება, რათა საერთო საცხოვრებლები უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდეს, შეიქმნება ერთიანი საუნივერსიტეტო კომპლექსი, რომელშიც სტუდენტი თავისუფლად შეძლებს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების მიღებას და თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებას. აქვე მოეწყობა სპორტული მოედნები და საცურაო აუზი, რომლის დეფიციტიც უნივერსიტეტში უკვე წლებია არსებობს.

„ამ საკითხებზე ვესაუბრე სპორტულ ფედერაციებს და პარტნიორული ურთიერთობების შედეგად ბევრი საინტერესო ღონისძიება დავგეგმეთ“, — განაცხადა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

სტუდენტები დაინტერესდნენ, იგეგმება თუ არა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების ინვენტარიზაცია და განახლება თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამის დონეზე. ამ საკითხზე რექტორმა განაცხადა: ნაწილი ლაბორატორიებისა უკვე განახლებულია, ნაწილზე კი დაგეგმილია სამეცნიერო გრანტებისა და თანხების მოზიდვა.

კითხვაზე: შესაძლებელია თუ არა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების სტაჟირებები უცხოურ სამეცნიერო ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებში, რექტორმა აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით გაათმაგებული ენერგიით უნდა იმუშაოს მთელმა უნივერსიტეტმა. მისი თქმით, რეგიონში პირველი უმაღლესი სასწავლებლის სტატუსი ნიშანი უნდა იყოს იმისა, რომ მისი კურსდამთავრებული მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა.

„ეს საკითხი იურიდიულ ფაკულტეტზე კარგადაა ორგანიზებული, რადგან მათ სათანადო კონტაქტები აქვთ უცხოეთთან, ასევე ბევრი გაცვლითი პროგრამები მოქმედებს სხვა ფაკულტეტებზეც, მაგრამ ჩემი და უნივერსიტეტის პრიორიტეტი სწორედ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარება და ამ კუთხით სტუდენტების მაქსიმალური ხელშეწყობაა“, — განაცხადა მან.

ქიმიის მიმართულების მაგისტრატურის II კურსის სტუდენტმა სასწავლო პროცესში წარმოქმნილი პრობლემის მოგვარება ითხოვა. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მაგისტრატურაში ჩაბარების წინაპირობებში მითითებული არ ყოფილა უცხო ენის ცოდნის აუცილებლობის შესახებ, მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში კი მხოლოდ რამდენიმე ლექცია მოისმინეს. მისი თქმით, სწავლის მიწურულს აღმოჩნდა, რომ მაგისტრის დიპლომის ასაღებად მათ 2 დონის ინგლისური მოეთხოვებათ, რაც სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პარალელურად დამატებითი სემესტრის აღების შემთხვევაშიც კი შეუძლებელია. მაგისტრანტს განემარტა, რომ ამ პრობლემის შესახებ ადმინისტრაციისთვის ცნობილია და რადგანაც უნივერსიტეტმა მათ ენის შესწავლისთვის შესაბამისი პირობები ვერ შეუქმნა და არც თავიდან იყო მოთხოვნილი ენის ცოდნა, შესაძლებელია, საკითხი მათ სასარგებლოდ გადაწყდეს.

შეხვედრაზე სტუდენტები დაინტერესდნენ, იგეგმება თუ არა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გაყოფა. როგორც აღმოჩნდა, ამგვარი საკითხი დღის წესრიგში არ დგას.

ქიმიის მიმართულების მაგისტრანტმა დასაქმების პრობლემაზე ისაუბრა. მისი თქმით, დამსაქმებლები სამუშაო გამოცდილებას ითხოვენ, მათ კი სტაჟირების საშუალებაც არ აქვთ. მაგისტრანტებმა რექტორს ამ საკითხის მოგვარებაში დახმარება სთხოვეს. როგორც გაირკვა, ეს საკითხი სხვა ფაკულტეტების სტუდენტებსაც აწუხებთ, რაზეც ერთიანი სამოქმედო პროგრამის შემუშავება იგეგმება.

შეხვედრა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

პირდაპირი და ღია საუბარი ჰქონდა ბატონ ალექსანდრე კვიტაშვილს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან თსუ-ის VI კორპუსის სააქტო დარბაზში. ამ ფაკულტეტის სტუდენტებს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი პირველად შეხვდა, მაგრამ აშკარად შესამჩნევი იყო ის კეთილგანწყობა, რომელსაც გამოხატავდნენ სტუდენტები უკვე ფეისბუქზე დამეგობრებული რექტორის მიმართ.

პირველი საკითხი, რაც სტუდენტებმა ალექსანდრე კვიტაშვილის წინაშე დააყენეს, პროფესორ-მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტების მიმართ ეთიკური ნორმების დაცვას შეეხებოდა, რაზეც რექტორისგან სრული მხარდაჭერა მიიღეს.

სტუდენტებმა ენათა ცენტრის გაფართოებასა და უცხო ენის ინტენსიური სწავლების აუცილებლობაზე ისაუბრეს და მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ თსუ-ის ადმინისტრაციამ სასწრაფოდ უნდა მიიღოს ზომები ენების ცენტრის რეფორმირების შესახებ.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დაადასტურა ამ პრობლემის სიმწვავე და აღნიშნა, რომ ენების ცენტრში აუცილებლად განხორციელდება სტრუქტურული ცვლილებები.

სტუდენტებმა პრეტენზია გამოთქვეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული მწირი ბიბლიოთეკის გამო და მოითხოვეს მისი შევსება ახალი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით, რის მოგვარებასაც სტუდენტებს ფაკულტეტის დეკანი ნოდარ ბელქანია შეპირდათ.

სტუდენტებს, ასევე, აწუხებთ სწავლების საფასურის გადახდასთან დაკავშირებული საკითხები. მათი სურვილია, რომ თანხის ეტაპობრივად გადახდის შესახებ ინფორმაცია დროულად მიეწოდოთ და არა სასწავლო საგნების არჩევის წინა დღეს, როცა მომხმარებელთა დიდი რაოდენობის გამო, ფაქტობრივად, არ ხერხდება ბაზის გახსნა.

„სწავლების საფასურის ეტაპობრივი გადახდა, წელს, პირველად დავუშვით, გამარტივდება, ასევე, თანხის დაფარვის გზებიც. დიდი სურვილი გვაქვს, რომ რამდენიმე ბანკთან გავაკეთოთ გრძელვადიანი, შეღავათიანი, დაბალპროცენტიანი ფინანსური დახმარების პაკეტები და არა სესხები — ასეთი პრაქტიკა ბევრ ქვეყანაში არსებობს. ამ წესის თანახმად, ბანკის ვალის გასტუმრებას, სწავლის დამთავრების შემდეგ, რამდენიმე წლის მერე იწყებ, როცა უკვე დასაქმებული ხდები“, — განაცხადა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

მწვავედ დაისვა საკითხი სასწავლო პრაქტიკის გავლის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე, რაც განსაკუთრებით აწუხებთ ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს, სტაჟიორებს...

„გვინდა გამოვიჩინოთ ინიციატივა და ქალაქის რომელიმე რადიოსადგურთან ვითანამშრომლოთ, რის საფუძველზეც მოგვეცემა საშუალება იმისა, რომ ეთერის რამდენიმე საათი თსუ-ის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს დაეთმოს. რადიო „ქალაქი“ მზადაა რამდენიმე სტაჟიორი მიიღოს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი. იმედს ვიტოვებ, რომ მომავალში უნივერსიტეტს თავისი რადიოტალღაც ექნება“, — განაცხადა რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა.

შეხვედრაზე სტუდენტებმა პრეტენზია გამოთქვეს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მუშაობის მხრივაც და მისი უფრო აქტიურად ჩაბმა მოითხოვეს სასწავლო პროცესის დარეგულირების პროცესში.

შეხვედრის ბოლოს, სტუდენტებმა, მადლიერებით აღნიშნეს ალექსანდრე კვიტაშვილის მათთან დიალოგის დაწყების ინიციატივა და თსუ-ის რექტორის არჩევნებში მას წარმატებები უსურვეს.

რექტორის შეხვედრები სხვა ფაკულტეტის სტუდენტებთან გაგრძელდება.

მაგისტრანტებს ადმინისტრაციული რეგისტრაცია ჯერ არ გაუვლიათ

თსუ-ში გამოცხადებული კონკურსის გ ზით ჩარიცხულმა მაგისტრანტებმა სწავლა 4 ოქტომბერს დაიწყეს, თუმცა მათ ადმინისტრაციული რეგისტრაცია ჯერ არ გაუვლიათ, რადგან ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ დაფინანსების საკითხი ჯერ არ დადგენილა. რა თქმა უნდა, ფულის გადახდა არავის ეჩქარება, მაგრამ საკითხში გარკვევა და სიცხადე ყველას სურს. სწორედ ამ პროცესის დაჩქარებას ელოდებიან მაგისტრანტები, რომელთაც უნდათ, რომ თავი თსუ-ის სრულუფლებიან სტუდენტებად სცნონ.

მაია ტორაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2011-2012 სასწავლო წლისთვის 84 სამაგისტრო პროგრამაზე გამოაცხადა მიღება. მათ შორის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს 18 სამაგისტრო პროგრამა; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 37; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 23; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე — 3; იურიდიულ ფაკულტეტზე — 2 და მედიცინის ფაკულტეტზე – 1.

მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველებმა ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიმართეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რათა კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამებზე სწავლა გაეგრძელებინათ.

საბუთების მიღება 30 აგვისტოდან 19 სექტემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. სპეციალობის საგნებში სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები გამოცდა 16 სექტემბერს ჩატარდა, 22 სექტემბერს კი გაიმართა გასაუბრება უცხო ენაში იმ მიმართულებებზე, რომლებსაც ეს მოთხოვნა წინაპირობაში ჰქონდათ მითითებული.

თსუ-ის საგამოცდო ცენტრის ინფორმაციით, მიმდინარე წელს ყველაზე მეტი — 431 განაცხადი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოვიდა. მსურველთაგან ბიზნესის მიმართულებაზე ჩაირიცხა 182 სტუდენტი, ეკონომიკის მიმართულებაზე — 145, ხოლო ტურიზმის მიმართულებაზე — 2 სტუდენტი. იურიდიულ ფაკულტეტზე განცხადება შემოტანილი ჰქონდა 370 კონკურსანტს, აქედან საერთაშორისო სამართალზე ჩაირიცხა – 21 სტუდენტი, კერძო სამართალზე — 151. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე განცხადება შემოიტანა 235 კონკურსანტმა, აქედან 210 ჩაირიცხა. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე განცხადი შემოიტანა 271-მა კონკურსანტმა, ჩაირიცხა 209. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 141 კონკურსანტიდან 106 ჩაირიცხა, ხოლო მედიცინის ფაკულტეტზე 8 კონკურსანტიდან — 5.

როგორც ჩვენთან საუბარში თსუ-ის საგამოცდო ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმამაია ჩიღვინაძემ განაცხადა, ამეტაპზეიწერებამაგისტრანტთაჩარიცხვის ბრძანებები, რის შემდეგაც სია ეროვნულ საგამოცდო ცენტრს გადაეცემა. ხოლო მას შემდეგ, რაც დაფინანსების საკითხი გაირკვევა, ჩარიცხულ და დაფინანსებულ მაგისტრანთა სიები უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება.

დიპლომების გაცემის პროცესი გაადვილდა

მას შემდეგ, რაც საქართველო ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით ბოლონიის პროცესში ჩაერთო, უმაღლესი სასწავლებლების პროფილი რამდენადმე შეიცვალა, დამკვიდრდა ახალი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. სწავლების ყველა საფეხურის გავლის შემდეგ გაიცემა შესაბამისი დიპლომი, რომლითაც საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულს საშუალება აქვს სწავლა მსოფლიოს 102 ქვეყანაში გააგრძელოს. აქედან გამომდინარე, აუცილებელი გახდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიპლომის ფორმატის და, ამასთან ერთად, მისი აღების პროცედურის შეცვლა.

შურთხია ბეროშვილი

სტუდენტთა მომსახურების განყოფილების უფროსის მანანა ლობჟანიძის ინფორმაციით, დიპლომის დამზადება და გაცემა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №162 ბრძანების საფუძველზე. სტუდენტისთვის, რომელსაც რექტორის ბრძანების თანახმად ენიჭება შესაბამისი ხარისხი, ფაკულტეტი ამზადებს დიპლომის დანართს. სწორედ ამის საფუძველზე მზადდება დიპლომი.

„დიპლომის გაცემის პროცედურა, ამჟამად, საგრძნობლად გაადვილებულია. წინათ ვადები დაუდგენელი იყო, თუმცა მაშინაც, შეძლებისდაგვარად, ხელს ვუწყობდით სტუდენტებს და ვცდილობდით, რომ ჩვენი მხრიდან დაბრკოლება არ შექმნოდათ. თუმცა თავად პროცესი იყო ხანგრძლივი. ამჟამად, ამ მიმართულებით, ყველა პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარებულია“, — აღნიშნავს მანანა ლობჟანიძე.

როგორც ცნობილია, დიპლომი გაიცემა იმ სტუდენტზე, რომელსაც შესრულებული აქვს 240 კრედიტი, აქედან 120 კრედიტი სავალდებულოა, ხოლო 60 კრედიტი არჩევითი. მანანა ლობჟანიძის ინფორმაციით, დიპლომის დანართისა და დროულად დამზადების მიზნით, სასწავლო დეპარტამენტმა მოამზადა და გამოსცა რექტორის ბრძანება (№54/01-01, 23. 06. 2010ნ), სადაც განსაზღვრულია აკადემიური ხარისხის მინიჭების, დიპლომებისა და დიპლომის დანართის დამზადების ვადები: „ფაკულტეტის მიერ კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების წარმოდგენა განისაზღვრა სასესიო პერიოდის დასრულებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში, ბრძანება გადაიგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში 5 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ფაკულტეტების მიერ კურსდამთავრებულთა დიპლომების დანართის დამზადება და სასწავლო დეპარტამენტისათვის მიწოდება უნდა მოხდეს 25 სამუშაო დღის ვადაში. სასწავლო დეპარტამენტის მიერ დიპლომის დამზადების შემდეგ დიპლომს ხელს აწერს დეკანი და რექტორი, ასევე, 25 სამუშაო დღის ვადაში“.

აღსანიშნავია, რომ დიპლომის დანართის ეს მოდელი დამუშავებულია ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO - ს მიერ.

მანანა ლობჟანიძის განმარტებით, თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2009 წლის №227 დადგენილების საფუძველზე აღდგა ე.წ. „წითელი დიპლომი“. თუ კურსდამთავრებულის დიპლომის საშუალო ქულა (GPA) არის არანაკლებ 3,5 — სტუდენტს ეძლევა წარჩინების დიპლომი, სხვა შემთხვევაში — ჩვეულებრივი დიპლომი.

„თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის მხრიდან სტუდენტებს, დიპლომების აღების თვალსაზრისით, დაბრკოლება არ შეხვდებათ! როდესაც სტუდენტს საზღვარგარეთ წასასვლელად ან სამსახურში წარსადგენად სასწრაფოდ ესაჭიროება დიპლომი, ამ შემთხვევაში ვცდილობთ, რომ მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მისი ინტერესი. სტუდენტთა მომსახურება ხომ მათ ყოველმხრივ ხელშეწყობას ითვალისწინებს“, — ამბობს მანანა ლობჟანიძე.

„ყველაზე ჭკვიანმა“ თსუ აირჩია

პირველი „ყველაზე ჭკვიანი“ ბავშვი, რომელიც „რუსთავი 2“-ის სატელევიზიო პროექტმა 2004 წელს გამოავლინა, თორნიკე ჭუმბურიძეა. იგი დღეს უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს და თავისი ასაკისთვის საკმაოდ მდიდარი ბიოგრაფიაც აქვს.

შურთხია ბეროშვილი

თორნიკე ჭუმბურიძე ამჟამად სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტია და სამომავლო გეგმებზე მოკრძალებულად საუბრობს... მაგრამ აშკარაა, რომ წინ კიდევ ბევრი წარმატება და, შესაბამისად, საინტერესო ცხოვრება ელის. თორნიკე თავის პირველ წარმატებას სიამოვნებით იხსენებს: „რუსთავი 2“-ის პროექტში — „ყველაზე ჭკვიანი“ მონაწილეობა ჩემთვის დაუვიწყარია. კითხვა ყოველთვის მიყვარდა. იმ პერიოდში, განსაკუთრებით, ისტორიით ვიყავი გატაცებული. ტურებში კი ახალი ამბები, მეცნიერება, ხელოვნება და რელიგია ავირჩიე, რასაც, როგორც შედეგებმა აჩვენა, კარგად გავართვი თავი. 12 წლის ბავშვისთვის მეტად შთამბეჭდავია, როდესაც ჯილდოდ პერსონალურ კომპიუტერს მიიღებ და ინგლისური ენის დასაუფლებლად ერთი თვით ინგლისში წასვლის შესაძლებლობა მოგეცემა“, — იხსენებს თორნიკე.

მას შემდეგ თორნიკე ჭუმბურიძემ მრავალგზის დაამტკიცა, რომ მართლაც „ყველაზე ჭკვიანია“: სკოლაში სწავლის პერიოდში ორჯერ გახდა პოპულარული სატელევიზიო პროექტის — „ეტალონის“ გამარჯვებული და სტიპენდიატი. იგი ერთი წლის მანძილზე თავიდან 50 ლარს, ხოლო შემდეგ 100 ლარს იღებდა. ალბათ ამიტომ, აღარავის უკვირს, რომ თორნიკემ ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბარა და 100%-იანი დაფინანსება მოიპოვა. განსაკუთრებით მაღალი შეფასება — 100 ქულა მან ინგლისურ ენაში მიიღო. ამჟამად იგი თავის მომავალ სპეციალობაზე ფიქრობს. როგორც თავად ამბობს, ამ ეტაპზე სოციოლოგიით დაინტერესდა და სწავლის გაგრძელებასაც ამ მიმართულებით გეგმავს. ყველა ამ სიკეთესთან ერთად თორნიკე წერს... მისი მოთხრობები ლიტერატურულ ჟურნალ „ჩვენ მწერლობაში“ გამოქვეყნდა და მკითხველის მოწონებაც დაიმსახურა.

კითხვაზე, როგორ მოსწონს უნივერსიტეტში სწავლა და მის ირგვლივ არიან თუ არა მასავით „ჭკვიანები“, თორნიკე იღიმება და ამბობს, რომ, საბედნიეროდ, მის გარშემო ბევრი ნაკითხი და მოტივირებული ახალგაზრდაა, უნივერსიტეტში სწავლა კი ძალიან მოსწონს.

თორნიკეს სწავლის გარდა უყვარს მთების დალაშქვრა კარვით და ზურგჩანთით, უსმენს მუსიკას, მოსწონს რაგბი და სათხილამურო სპორტი. ამ უნარ-ჩვევებით შემკულ სტუდენტს მომავლის დასაგეგმად „ყველაზე ჭკვიანური“ გადაწყვეტილებების მიღება, ალბათ, მაინც წინ აქვს...

GIPA-ს კონფერენციაში გამარჯვებული თსუ-ის სტუდენტები

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში გამართულ კონფერენციაზე, რომლის სახელწოდება იყო „საქართველო — 2008 წლის კონფლიქტის შედეგები“, გამოვლენილ გამარჯვებულთა შორის დასახელდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებმაც წარდგენილი მოხსენებებით მეორე და მესამე ადგილები მოიპოვეს.

თამარ ურუშაძე

შურთხია ბერეშვილი

27 მაისს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA) სახელმწიფო მმართველობის სკოლისა და კვლევითი ცენტრის მიერ ორგანიზებული და ამერიკის შეერთებულის შტატების საელჩოს მიერ დაფინანსებული კონფერენცია „საქართველო — 2008 წლის კონფლიქტის შედეგები“ გაიმართა. კონფერენციას ესწრებოდნენ მოწვეული ექსპერტები სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენლები. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტების მოხსენებები. შერჩეული ათი მოხსენებიდან ჟიურიმ გამოავლინა სამი საუკეთესო მოხსენება, რომელთა ავტორები ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ.

კონფერენციის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებმაც საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს. თსუ-ის სტუდენტების თამარ ურუშაძისა და ნინო ტაბეშაძის ნაშრომებმა ჟიურის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს. შედეგად, ისინი მეორე და მესამე ადგილების მფლობელნი გახდნენ.

თამარ ურუშაძე თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების II კურსის სტუდენტია. იგი უკვე რამდენიმე კონფერენციის მონაწილე და გამარჯვებულია. მან 2009 წელს ოქროს მედლით დაამთავრა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლა და თსუ-ში იმავე წელს ჩააბარა.

კონფერენციაზე წარმოდგენილ მის ნაშრომში — „აგვისტოს კონფლიქტის შემდგომ საქართველოს წინაშე ეკონომიკის მიმართულებით წამოჭრილი ამოცანები“, სტრუქტურულად, სამ ნაწილად არის დაყოფილი. I ნაწილში დარგობრივ ჭრილში ნაჩვენებია საქართველოსთვის ომის შედეგად მიყენებული ეკონომიკური, პოლიტიკური და მორალური ზიანი. II ნაწილში სტუდენტი ცდილობს გააანალიზოს საქართველოს ხელისუფლების მიერ კრიზისული ვითარების დასაძლევად განხორციელებული ღონისძიებები, III ნაწილი კი მოიცავს ქვეყნის განვითარების მომავლის ხედვას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრატეგიას, კერძოდ, საუბარია საქართველოს, როგორც ერთიანი კავკასიის ლიდერ რეგიონად ჩამოყალიბების პერსპექტივაზე, რის საფუძველსაც გვაძლევს კავკასიაში ჩვენი ქვეყნის პირველობა დასავლეთთან ინტეგრაციის კუთხით და საქართველოს აქტიური თანამშრომლობა ორ დაპირისპირებულ სახელმწიფოსთან — სომხეთთან და აზერბაიჯანთან.

„ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა გაანალიზდეს რეგიონის ეკონომიკური პოტენციალი და შეიქმნას სამომავლო განვითარების ზუსტი კონცეფცია, რაც სამხრეთ კავკასიის ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბების საფუძველი გახდება. სწორი ეკონომიკური სტრატეგიისა და საერთაშორისო სტრუქტურებში ინტეგრაციის მეშვეობით საქართველო შეძლებს, უახლოეს მომავალში, გადალახოს არსებული პრობლემები და ეფექტურად განავითაროს ეკონომიკური პოტენციალი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, რეგიონის მასშტაბით“, — აღნიშნავს თამარ ურუშაძე თავის მოხსენებაში.

მესამე პრიზის მფლობელი, როგორც აღვნიშნეთ, გახდა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი ნინო ტაბეშაძე, რომელიც არა ერთი სამეცნიერო კონფერენციის (კონფერენცია — „ჰაინრიხ თეოდორ ველეს მოგზაურობა საქართველოში“, სტუდენტური კონფერენცია — „ენა და კულტურა“, ინგლისურენოვანი კონფერენცია — „ამერიკა“, და სხვ.) მონაწილე და კონკურსებში გამარჯვებულია. ნინო ტაბეშაძე, პარალელურად, სწავლობს ჯორჯ ვაშინგტონის სახელმწიფო უნივერსიტეტში ონლაინ მაგისტრატურის კურსზე არტ-მენეჯმენტის განხრით და მუშაობს ერთ-ერთ ევროპულ სკოლაში და საპროდიუსერო ცენტრში „გეიმ-ტივი“-ში.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში გამართულ კონფერენციაზე ნინო ტაბეშაძემ წარმოადგინა საინტერესო ნაშრომი სახელწოდებით: „2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი, როგორც კოლექტიური ტრამვა და მასკულტურა, როგორც მისი დაძლევის ხერხი“. სტუდენტის თვალთახედვით, აგვისტოს კონფლიქტი ყველაზე მძიმედ გასახსენებელი მოვლენაა საქართველოს უკანასკნელი წლების ისტორიაში, რასაც შეგვიძლია ვუწოდოთ კოლექტიური ტრამვა, რომლის დაძლევასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მომავალი პოლიტიკის წარმართვისთვის.

„ჩემს მოხსენებაში შევეცადე, რომ მეჩვენებინა ამ ფენომენის მნიშვნელობა და მისი დაძლევის ხერხები, რომელთა შორის მოიაზრება ხელოვნებაც. ხშირად, სწორედ ვიზუალური ხატები დაგვაძლევინებს ტრავმულ გამოცდილებას — ამის ნათელ მაგალითად გამოგვადგება აგვისტოს ომის პერიოდში შექმნილი და მის შედეგად გაჩენილი მასკულტურის თავისებური მიმართულება. ეს არის ინტერნეტ-კარიკატურები, შარჟები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, თავად რუსების შექმნილია. ხელოვნების ეს ძალზე საინტერესო მიმართულება უშუალოდ ჩაერთო მიმდინარე პროცესებში, რამაც გვიჩვენა, რომ ტრავმული გამოცდილების გახსენება საჭიროა, რათა გავაანალიზოთ მომხდარი და ვიზრუნოთ მომავალზე“, — აღნიშნავს ნინო ტაბეშაძე თავის მოხსენებაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ნინო ტაბეშაძე და თამარ ურუშაძე სამომავლო გეგმებს სამეცნიერო მუშაობას უკავშირებენ. მათ, ალბათ, წარმატებაც გარანტირებული აქვთ, რადგან ამ მიმართულებით უკვე საკმაო გამოცდილებაც დაუგროვდათ და იციან პრიზის ფლობის ფასი.

ნინო ტაბეშაძე

ტურიზმის საერთაშორისო სკოლამ სასერტიფიკაციო კურსებზე მიღება გამოაცხადა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლამ სასერტიფიკაციო კურსებზე მიღება გამოაცხადა. კურსის ხანგრძლივობა განისაზღვრება ერთი წლით და მისი ღირებულება განისაზღვრება კურსის ხანგრძლივობის მიხედვით.

თამარ დადიანი

ტურიზმის საერთაშორისო სკოლა ტურიზმისა და მასპინძლობის თანამედროვე სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტია. მისი მიზანია: ქვეყანასა და მთლიანად კავკასიის რეგიონში ტურიზმის სწავლებასა და გადამზადებაში მოწინავე პოზიციის დაკავება და მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდა. სკოლა საქართველოში ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში სწავლების, გადამზადებისა და კვლევებისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხის პროგრამებს ამზადებს და მათ განხორციელებას გეგმავს.

„ჩვენი მიზანია, მოგაწოდოთ მდიდარი და საინტერესო სასწავლო მასალა, გადმოგცეთ ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება და შეგიქმნათ სწავლის ისეთი პირობები, რაც მიზნის წარმატებით მიღწევაში დაგეხმარებათ. სკოლის მთელი კოლექტივის ძალისხმევა მიმართულია სწავლების, კვლევებისა და განვითარების თანამედროვე ხედვის რეალიზაციისკენ – ენერგიული აკადემიური გარემოს შემოთავაზებისკენ, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციურ და საფუძვლიან სწავლებას ყველა დონეზე: გადასამზადებელ, სასერტიფიკატო, უმაღლეს პროფესიულ, ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. თქვენი აქტიური პოზიცია და მონდომება გახდება თქვენი წარმატების საწინდარი“, — ასე მიმართა სტუდენტებს ტურიზმის საერთაშორისო სკოლის დირექტორმა მაია მარგველაშვილმა.

პროგრამის მონაწილეები შეიძენენ ცოდნას ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის შესახებ, ტურიზმის ოპერირებასა და პროცედურებზე, ბიზნესის დაგეგმვასა და ოპერირებაზე, მომხმარებლის მომსახურების მენეჯმენტზე და სხვ. ექნებათ უნარ-ჩვევები იმოქმედონ დამოუკიდებლად ტურიზმის დაგეგმვის, მარკეტინგისა და განვითარების ამოცანების გადაწყვეტაში, მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები, გამოიჩინონ ორიგინალობა პრობლემების გადაწყვეტაში და სხვ. საკურორტო და სასტუმრო მენეჯმენტის სერტიფიცირებულ სპეციალისტს ექნება სასტუმროს ოპერირების, საკვებისა და სასმელის მენეჯმენტის, მასპინძლობის ადმინისტრირების ცოდნა, ღრმად ჩაწვდება ამ დინამიური სფეროს მენეჯმენტისა და ოპერირების თავისებურებებს. ამასთან ერთად, მიიღებს საჭირო ცოდნას ისეთ მომიჯნავე სფეროებში, როგორიცაა – აღრიცხვა, ფინანსები, მარკეტინგი, კომუნიკაციები, კომპიუტერული ტექნოლოგიები და სხვ. ტრენინგის შედეგად მონაწილეები შეიძენენ ადგილობრივ დონეზე ტურიზმის განვითარების, ტურისტული დანიშნულების ადგილების დაგეგმვის და მენეჯმენტის თეორიული საფუძვლების, ტურიზმის განვითარებისათვის ადგილობრივი რესურსების შეფასების ცოდნასა და უნარ–ჩვევებს, ტურიზმის განვითარების გეგმების მომზადების, დაგეგმვისა და დანერგვის ტექნიკასა და უნარ–ჩვევებს, ტურიზმის მენეჯმენტის სხვა ფუნქციების ცოდნას, ტურიზმის პოლიტიკის ანალიზის საფუძვლების ცოდნას.

იმედია, სტუდენტები დაინტერესდებიან აღნიშნული კურსებით, რადგან საქართველოს თავისი ბუნებრივი, გეოგრაფიული, რეკრეაციული შესაძლებლობებისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გამო ტურიზმისა და საკურორტო საქმიანობის დიდი პოტენციალი გააჩნია.

დღეისათვის საქართველოში საერთაშორისო ტურიზმი ხასიათდება ორი უარყოფითი მოვლენით: გასვლითი ტურიზმი ჭარბობს შემოსვლითს და მთლიანად დარგში სავალუტო გადასახდელები ჭარბობს შემოსავლებს; ტურისტული ფირმები, რომლებიც გასვლით ტურიზმს ემსახურებიან (თანამშრომლობენ უცხოეთის ტურისტულ ფირმებთან), მთლიანად არ არიან დაინტერესებული ქვეყანაში ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარებით.

საქართველოში მაღალეფექტური და კონკურენტუნარიანი ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება დაკავშირებულია რიგი აქტუალური საკითხების გადაწყვეტასთან, როგორიცაა - ტურისტული საქმიანობის ნორმატიულ სამართლებრივი ბაზის და სახელმწიფო რეგულირების სისტემის საფუძვლის შექმნა, თანამედროვე სამამულო ტურისტული ბაზრის ფორმირება კონკურენციის განვითარების საფუძველზე, საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიო ტურისტული ბაზრის სისტემაში და ტურიზმის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება.

როდის ჩაანაცვლებს WWW-ს სისტემას მომავლის ინტერნეტი

სამუშაო შეხვედრა თსუ-ში

28 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის (CERN) 12 ექსპერტი ესტუმრა. ვიზიტის მიზანი იყო CERN-ის ყველაზე მასშტაბური პროექტის — ATLAS-ის ფარგლებში შექმნილი ახალი ინტერნეტსისტემის — GRID-ის პრეზენტაცია. მათ სამუშაო შეხვედრა მოაწყვეს ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ სპეციალისტებთან და სტუდენტებთან, რომელთაც ახალი ინტერნეტსისტემის შესაძლებლობები და მოხმარების წესები გააცნეს.

მაია ტორაძე

სამუშაო შეხვედრა გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიტაშვილმა, რომელმაც წარმატება უსურვა მეცნიერებს და განაცხადა, რომ ასეთი დონის ვორქშოპის ჩატარება კარგ სამსახურს გაუწევს როგორც ქართველ მკვლევრებს და სტუდენტებს, ასევე უნივერსიტეტს. რექტორმა დაინტერესება გამოხატა უნივერსიტეტში IT ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ალტერნატიული ვარიანტის დანერგვით.

როგორც ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრში მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა, ვორქშოპის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, პროფესორმა ლაშა შერმაზანაშვილმა აღნიშნა, საქართველოში ბირთვული კვლევების ცენტრი პირველად ატარებს სამეცნიერო შეკრებას, რომელიც არა ფიზიკას, არამედ IT ინჟინერიას ეძღვნება.

„CERN თავისი შინაარსით ფიზიკოსებისაა, მაგრამ ისინი კვლევებისთვის ყველა თანამედროვე მიგნებასა და ტექნოლოგიას იყენებენ. ამიტომ CERN არის ადგილი, სადაც ასეთი ტექნოლოგიები იქმნება ისე, როგორც თავის დროზე აქვე შეიქმნა WWW – ს კომბინაცია. არსად, არც ერთ უნივერსიტეტში, არც ერთ IT-კომპანიაში არ არის თავმოყრილი ისეთი ინოვაცია, როგორიც CERN-ში და გასაკვირი არ არის, რომ სწორედ აქ შეიქმნა მომავლის ინტერნეტი — GRID სისტემა. ამ ეტაპზე CERN-მა გადაწყვიტა ამ სისტემის პოპულარიზაცია, რისთვისაც ტარდება ვორქშოპი სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის. აქ წარმოდგენილია არა მხოლოდ თეორიული მოხსენებები, არამედ პრაქტიკული მეცადინეობები. ჩვენს მომხმარებელს შეუძლია უშუალოდ შეეხოს ახალ ინტერნეტსისტემას“, — აღნიშნა ლაშა შერმაზანაშვილმა.

დელეგაციას ხელმძღვანელობს ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრის (CERN) ახალი ინტერნეტსისტემის (GRID) პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი დარიო ბარბერისი, რომელიც გასულ წელს თბილისში გამართულ ფიზიკოსთა კონფერენციაშიც მონაწილეობდა. სწორედ მას გაუჩნდა იდეა — სამხრეთ კავკასიის რეგიონის მეცნიერთათვის ჩაეტარებინა სამუშაო შეხვედრა. ეს, მისი აზრით, კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს, რომ ამ რეგიონში თბილისი არის ის სამეცნიერო ცენტრი, რომელიც ხელს უწყობს სამი ქვეყნის მეცნიერთა დაახლოებას ერთმანეთთან და დასავლელ კოლეგებთან.

„შეხვედრის მიზანია, შეკრიბოს სამხრეთ კავკასიის სპეციალისტები და დასახოს დასავლელ კოლეგებთან მათი თანამშრომლობის გეგმები. ამ შეხვედრებზე ჩვენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მეცნიერებს ვაცნობთ GRID სისტემას, რომელიც ახალი და დიდი შესაძლებლობების მქონე პროგრამაა“, — განაცხადა მან.

ვორქშოპში მონაწილეობდნენ მეცნიერები და სტუდენტები სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ერევნის ფიზიკის ინსტიტუტის პროფესორმა რაშიდ აკოფიანმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრი არის ის ადგილი, სადაც უამრავი მეცნიერი მუშაობს, მათ შორის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდანაც და რომ ეს შეხვედრა არის მცდელობა ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ მეცნიერებს შორის თანამშრომლობის განმტკიცებისა.

„ახალი ტექნოლოგია, რომელზეც ახლა ტარდება სამუშაო შეხვედრები, მნიშვნელოვანია არა თავად CERN-ის, არამედ ჩვენი ახალგაზრდობისა და მეცნიერებისთვის, რომლებმაც ამ ტექნოლოგიებზე უნდა იმუშაონ. ჩვენ სტუდენტები სომხეთიდან ჩამოვიყვანეთ. ისინი ქართველ და აზერბაიჯანელ სტუდენტებთან ერთად გადიან ტრენინგებს, რომელსაც მაღალი პროფესიონალიზმის მქონე მეცნიერები ატარებენ. ეს ღონისძიებები მომავალში ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მეცნიერების დაახლოებას და მათ შორის კონტაქტების გაღრმავებას“, — აღნიშნა მან.

ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრი კიდევ ერთხელ ხდება მომავლის ტექნოლოგიური რევოლუციის სათავე. როგორც ჩვენთან საუბარში პროფესორმა ჯემალ ხუბუამ განაცხადა, ფიზიკა არ არის განყენებული მეცნიერება. იგი თავის თავში მოიცავს მეცნიერების სხვადასხვა მიღწევებს. მათ შორისაა კომპიუტერული მეცნიერებები, რომლის გარეშეც შეუძლებელია იმ ინფორმაციის გადამუშავება, რომელიც CERN-ში ATLAS-ექსპერიმენტზე გროვდება. ეს, დაახლოებით, იმ რაოდენობის ინფორმაციაა, რამდენიც შეიძლება 100 000 CD-ზე დაეტიოს. კომპიუტერული ტექნიკის განვითარება და მძლავრი სისტემის შექმნა ამ ინფორმაციის გადამუშავების აუცილებლობამ გამოიწვია.

GRID ბადეს ნიშნავს და ეს სისტემა, ჯერჯერობით, სამეცნიერო სივრცეში იწყებს ფეხის მოკიდებას. წლების შემდეგ იგი ისეთივე ხელმისაწვდომი გახდება ყველასთვის, როგორც დღეს WWW -ს სისტემაა.

თსუ-ის მკვლევართა ბრძოლა ლეიკემიის დასამარცხებლად

თამარ დადიანი

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის მიმართულებაზე რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინასებული მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება. ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფი წარმატებით აგრძელებს მუშაობას. თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ქვემიმართულებაზე არსებული მეორე ძირითადი კვლევითი თემატიკაა: B ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის იმუნოთერაპია. ამ თემატიკის ფარგლებში ამჟამად მიმდინარეობს სესფ-ის საგრანტო პროექტი „CD4+ ციტოტოქსიური T უჯრედებით განპირობებული იმუნური პასუხები B უჯრედული ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის (B-ქლლ) დროს“.

პროექტის შესახებ გვესაუბრება პროექტის მენეჯერი, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ქვემიმართულების სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნინო კულიკოვა: „B ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემია (B-ქლლ) – დასავლეთის ქვეყნებში ლეიკემიის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ზრდასრულებში. დაავადებულთა ასაკია 45 წელს ზემოთ. დაავადება მეტად ჰეტეროგენულია სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით, მათ შორის პროგნოზულადაც: პაციენტთა ნაწილში დაავადება ნელა მიმდინარეობს და არ საჭიროებს ინტენსიურ თერაპიას იმ დროს, როცა ნაწილ პაციენტებში დაავადება სწრაფად პროგრესირებადია და აგრესიულ თერაპიას საჭიროებს.

წლების განმავლობაში ჩვენი კვლევითი ჯგუფი, აღნიშნული თემატიკის ფარგლებში, ძირითადად ორი მიმართულებით მუშაობს: ახალი პროგნოზული მარკერების გამოვლენა და სიმსივნური უჯრედების განადგურების ახალი მიდგომების შემუშავება (მაგალითად, სიმსივნური უჯრედების განადგურება ე.წ. ბისპეციფიური მონოკლონური ანტისხეულების გამოყენებით). თემატიკის ფარგლებში დიდი ხნის თანამშრომლობა გვაკავშირებს ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის (ქ. ლონდონი, დიდი ბრიტანეთი) იმუნოლოგიის დეპარტამენტთან და ვესტმინსტერის უნივერსიტეტის (ქ. ლონდონი, დიდი ბრიტანეთი) ბიოსამედიცინო მეცნიერებების დეპარტამენტთან, ასევე, ბრესტის უნივერსიტეტის (ქ. ბრესტი, საფრანგეთი) იმუნოლოგიის დეპარტამენტთან. 1999 წლიდან აღნიშნული თემატიკის ფარგლებში მივიღეთ რამოდენიმე სამეცნიერო გრანტი.

ასევე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული თემატიკის ფარგლებში ჩვენი შედეგები წარმოდგენილი გვქონდა 20-მდე საერთაშორისო მაღალი დონის კონფერენციებზე და გამოცემულია 5 სამეცნიერო ნაშრომი მაღალ იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში. მიღებული შედეგები წარმოდგენილია რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციასა და კონგრესზე.

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ

ვიცნობთ თუ არა პროფესორ არნოლდ გეგეჭკორს?

ᲑᲔᲕᲠᲘ ᲒᲐᲘᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲡ, ᲕᲘᲪᲜᲝᲑᲗ ᲐᲑᲐ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲜᲝᲑᲗ, ᲘᲡ ᲮᲝᲛ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ �პᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲪ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ „ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲖᲔ“ ᲒᲐᲕᲘᲖᲐᲠᲓᲔᲗᲝ? ᲛᲔᲪ ᲛᲔᲒᲝᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲪᲜᲝᲑᲓᲘ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲓᲘᲓ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒ ᲝᲠᲐᲢᲝᲠᲡ, ᲛᲔᲒᲝᲜᲐ, ᲠᲝᲛ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲔᲑᲘᲗ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲣᲙᲘᲓᲔᲒᲐᲜᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲨᲔᲕᲪᲓᲘ.... ᲘᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲔᲢᲧᲕᲘᲗ, ᲠᲐᲢᲝᲛ...

ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ

ᲐᲠᲜᲝᲚᲓ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ... ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲘ... ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲝᲢᲝᲮᲔᲚᲝᲒᲕᲐᲜᲘ... ᲘᲡ ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ ᲓᲘᲓᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲕᲐᲯᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ ᲮᲛᲔᲚ ᲬᲘᲤᲔᲚᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲨᲕᲚᲘᲡ ᲜᲣᲙᲠᲗᲐᲜ, ᲗᲣᲗᲐᲡᲐᲪ ᲒᲐᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ, ᲝᲨᲙᲘᲪ ᲛᲝᲘᲜᲐᲮᲣᲚᲐ, ᲛᲗᲐᲡᲐᲪ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲕᲐᲚᲖᲔᲪ ᲘᲓᲒᲐ... ᲛᲔᲠᲔ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲮᲚᲝᲡ, ᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲬᲕᲓᲔᲜᲐᲖᲔ ᲛᲝᲒᲖᲘᲢᲐᲜᲐ — ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲐ ᲓᲐ „ᲐᲛᲐᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲪᲝᲓᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲔᲮᲝᲡᲣ“...

ᲛᲔ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲝᲗᲘᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲖᲔ ᲣᲙᲔᲗ ᲕᲔᲠ ᲕᲘᲢᲧᲕᲐ... ᲘᲡ ᲙᲘ ᲡᲣᲚ ᲠᲐᲦᲪᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ ᲬᲔᲠᲡ: „ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘᲐ ᲐᲠᲜᲝᲚᲓ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲗᲮᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲞᲔᲢᲔᲚᲝᲑᲡ, ᲮᲐᲡᲗᲐᲡᲐ ᲮᲐᲕᲘᲠᲓᲝᲕᲐᲜ ᲙᲝᲠᲓᲡ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲛᲝᲡᲐᲑᲓᲔᲓᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲡ, ᲞᲘᲠᲘᲛᲖᲔ ᲧᲕᲐᲕᲘᲓᲒᲐ... ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲐ ᲓᲐ „ᲐᲛᲐᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲪᲝᲓᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲔᲮᲝᲡᲣ“...

ᲛᲔ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲝᲗᲘᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲖᲔ ᲣᲙᲔᲗ ᲕᲔᲠ ᲕᲘᲢᲧᲕᲐ... ᲘᲡ ᲙᲘ ᲡᲣᲚ ᲠᲐᲦᲪᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ ᲬᲔᲠᲡ: „ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘᲐ ᲐᲠᲜᲝᲚᲓ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲗᲮᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲞᲔᲢᲔᲚᲝᲑᲡ, ᲮᲐᲡᲗᲐᲡᲐ ᲮᲐᲕᲘᲠᲓᲝᲕᲐᲜ ᲙᲝᲠᲓᲡ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲛᲝᲡᲐᲑᲓᲔᲓᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲡ, ᲞᲘᲠᲘᲛᲖᲔ ᲧᲕᲐᲕᲘᲓᲒᲐ ᲛᲝᲡᲐᲑᲓᲔᲓᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲐ ᲓᲐ „ᲐᲛᲐᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲪᲝᲓᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲔᲮᲝᲡᲣ“...

ᲛᲔ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲝᲗᲘᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲖᲔ ᲣᲙᲔᲗ ᲕᲔᲠ ᲕᲘᲢᲧᲕᲐ... ᲘᲡ ᲙᲘ ᲡᲣᲚ ᲠᲐᲦᲪᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ ᲬᲔᲠᲡ: „ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘᲐ ᲐᲠᲜᲝᲚᲓ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲗᲮᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲞᲔᲢᲔᲚᲝᲑᲡ, ᲮᲐᲡᲗᲐᲡᲐ ᲮᲐᲕᲘᲠᲓᲝᲕᲐᲜ ᲙᲝᲠᲓᲡ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲛᲝᲡᲐᲑᲓᲔᲓᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲛ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲨᲘ ᲓᲐᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲝᲠᲘ ᲠᲐᲦᲪᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲛ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲨᲘ ᲓᲐᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ 24 ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲧᲐᲕᲡ ᲓᲐ, ᲐᲛ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ, ᲘᲛᲔᲓᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲔᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ“, — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲨᲢᲔᲤᲘ ᲮᲝᲢᲘᲕᲐᲠᲛᲐ.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲰᲣᲛᲑᲝᲚᲓᲢᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲨᲢᲔᲤᲘ ᲮᲝᲢᲘᲕᲐᲠᲘ-ᲘᲣᲜᲒᲔᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲛᲤᲐᲡᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝ�პᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡᲢᲘᲐ. ᲛᲐᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲗᲐᲠ�გᲛᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ. ᲛᲘᲡᲘ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲘᲗ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲗ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲗ, ᲔᲜᲘᲗ... ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ. ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲰᲣᲛᲑᲝᲚᲓᲢᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ III ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ �გᲐᲪᲕᲚᲘᲗᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔᲓᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲗ �გᲐᲕᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲚ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲨᲢᲔᲤᲘ ᲮᲝᲢᲘᲕᲐᲠᲘ-ᲘᲣᲜᲒᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ „Georgishe Verbtabellen“-ᲘᲡ (ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲖᲛᲜᲘᲡ ᲪᲐᲑᲣᲚᲔᲑᲘ) ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ �გᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲬᲘ�გᲜᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ Bruske-Მ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ. ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ: ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲓᲐᲛᲐᲜᲐ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲐ ᲕᲘᲢᲘᲪᲘ. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ �გᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘᲐ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲰᲣᲛᲑᲝᲚᲓᲢᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ. ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲓᲐᲛᲐᲜᲐ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐᲛᲡᲬᲠᲔ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲐᲮᲡᲔᲜᲐ, ᲗᲣ ᲠᲝ�გᲝᲠ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲐᲛ ᲢᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲘᲓᲔᲐ: „ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲨᲔᲕᲮᲕᲓᲘ ᲨᲢᲔᲤᲘ ᲮᲝᲢᲘᲕᲐᲠᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲨᲔᲛᲝᲛᲗᲐᲕᲐᲖᲐ — ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲒᲕᲔᲙᲔᲗᲔᲑᲘᲜᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲘᲛ �გᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲡᲣᲠᲗ. ᲔᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲐᲜᲐᲚᲝ�გᲘᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲕᲘᲪᲜᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲗ ᲒᲐᲕᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲚ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲨᲢᲔᲤᲘ ᲮᲝᲢᲘᲕᲐᲠᲘ-ᲘᲣᲜᲒᲔᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲛᲤᲐᲡᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝ�პᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡᲢᲘᲐ. ᲛᲐᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲗᲐᲠ�გᲛᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ. ᲛᲘᲡᲘ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲘᲗ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ �გᲐᲪᲜᲝᲑᲘᲗ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲗ. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲙᲔᲗᲔᲑᲐᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲘᲡ ᲑᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲨᲘᲪ �გᲐᲪᲮᲐᲓᲓᲐ: „ᲓᲐᲕᲘᲑᲐᲓᲔ 1952 ᲬᲚᲡ �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ. 17 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲨᲘ ᲛᲝᲕᲮᲕᲓᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲡᲢᲘᲪ... ᲔᲠᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲮᲣᲗᲘᲕᲔ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲘ ᲛᲝᲣᲕᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲤᲔᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲕᲔᲚᲣᲠ ᲢᲝᲛᲔᲑᲗᲐᲜ ᲗᲕᲔᲔᲑᲘ ᲣᲪᲮᲝᲕᲠᲘᲐ...

ᲛᲘᲕᲧᲕᲔᲗ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲗᲣ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲕᲘᲓᲐ, ᲘᲥᲜᲔᲑ ᲔᲠᲗᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲢᲠᲘᲰᲘᲪ ᲨᲔᲕᲘᲛᲐᲗᲝᲗ ᲐᲠᲜᲝᲚᲓ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘᲡ �პᲝᲠᲢᲠᲔᲢᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲮᲐᲢᲕᲐ ᲛᲔ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲝᲡᲔᲑᲡᲐᲪ ᲣᲪᲓᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲐᲗ.

2000-2001 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ „ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ“

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲖᲝᲝᲚᲝ�გᲘ, ᲑᲘᲝ�გᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘ, ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲝ�გᲖᲐᲣᲠᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲐᲠᲜᲝᲚᲓ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲐᲠᲜᲝᲚᲓ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜᲐᲪ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲑᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲑᲝᲚᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲖᲔ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲕᲚᲔᲑᲘᲗ ᲕᲘᲪᲜᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲯᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲒᲠᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ, Პ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ Ი. ᲒᲝ�გᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ ᲓᲐ 2000-2001 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ „ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘᲐ.

ᲘᲒᲘ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲓ ᲛᲘᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲑᲘᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ �გᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲔᲑᲖᲔ: ᲐᲨᲨ-ᲨᲘ (ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ), ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲨᲘ (ᲡᲘᲓᲜᲔᲘ – ᲐᲮᲐᲚᲘ ᲣᲔᲚᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ, ᲛᲔᲚᲑᲣᲠᲜᲘ – ᲛᲝᲜᲐᲨᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ), ᲐᲮᲐᲚ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ (ᲝᲙᲚᲔᲜᲓᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ), ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ (�კᲔᲜᲘᲐ — ᲜᲐᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ, ᲢᲐᲜᲖᲐᲜᲘᲐ – ᲓᲐᲠ-ᲔᲡ-ᲡᲐᲚᲐᲛᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ), ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐᲨᲘ (ᲛᲔᲰᲘᲙᲝ-ᲡᲘᲢᲘᲡ ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ), ᲔᲙᲕᲐᲓᲝᲠᲨᲘ (ᲙᲘᲢᲝᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ).

ᲛᲔ-16 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲖᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲪᲜᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫ

რამდენად აკმაყოფილებს მოთხოვნებს სამეცნიერო ხარისხების დაცვის დონე

საბჭოთა პერიოდში მეცნიერთა ერთი ნაწილის სამეცნიერო ხარისხებზე ხუმრობდნენ: „ერთი სამეცნიერო სტატიიდან სტრიქონების გადმოწერას ციტირება ეწოდება, ბევრიდან ამოკრეფას კი – სადისერტაციო ნაშრომი“. სამწუხაროდ, ამ ხუმრობას საფუძველი ჰქონდა, რადგან მაშინ სერიოზულ და ფუნდამენტურ ნაშრომებთან ერთად ისეთი დისერტაციებიც იწერებოდა, რომელსაც სამეცნიერო ღირებულება არ გააჩნდა. შედეგად, იკლო სიღრმისეულმა სამეცნიერო კვლევებმა და სამეცნიერო ხარისხების დაცვის დონემ და იმატა გადაწერ-გადმოწერის ხელოვნებამ. საბოლოო ჯამში, აქა-იქ გამონათებულ საფუძვლიან კვლევებსა და მეცნიერულ ნაშრომებთან ერთად, დაგროვდა მდარე ხარისხის დისერტაციები, რომლებმაც ადგილი ბიბლიოთეკების კატალოგებში დაიმკვიდრეს.

მაია ტორაძე

უმაღლესი განათლების რეფორმამ ამ პრობლემაზე სხვაგვარად დაგვაფიქრა. გადაიდგა ბოლონიის პროცესთან დაახლოებისთვის აუცილებელი ნაბიჯები: გაუმჯობესდა სამსაფეხურიანი სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თავიდან დაიწერა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, ფაკულტეტების მიხედვით შემუშავდა სამივე საფეხურზე მიღების წინაპირობები, ჩამოყალიბდა სადისერტაციო საბჭოები და დისერტაციის დაცვის დებულებები. დღეს უკვე უნივერსიტეტის, როგორც კვლევითი და სასწავლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დონე იმით განისაზღვრება, თუ როგორ ასწავლის, რა დონის სამეცნიერო კვლევებს აწარმოებს და როგორ ხდება სამეცნიერო ხარისხების მინიჭება მისი სადისერტაციო საბჭოების მიერ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს რეფორმის განხორციელებაში იოლი გზა არ აურჩევია. ახლად ჩამოყალიბებული (მათ შორის დღეისათვის რეიტინგული) უნივერსიტეტებისაგან განსხვავებით, მას პარალელურ რეჟიმში მოუწია ძველის შეცვლამ და ახლის დამკვიდრებამ, რაც გაცილებით რთული და მტკივნეული პროცესი იყო.

რეფორმის მოთხოვნის შესაბამისად, შეიცვალა დოქტორანტურაში ჩაბარების და სამეცნიერო ხარისხის მინიჭების წესიც. ყველაზე მეტი დრო დასჭირდა სადისერტაციო საბჭოების დებულებების შემუშავება-დამტკიცებას, რის გამოც გარკვეული ხნით შეჩერდა დისერტაციების დაცვის პროცედურა. უნივერსიტეტის ახალი დებულების თანახმად, ის ასპირანტები, ვისაც საკანდიდატო მინიმუმები უკვე ჩაბარებული ჰქონდათ, უცხო ენის ჩაბარების შემდეგ თავიდან გახდნენ დოქტორანტები. მათ ხელმძღვანელები შეეცვალათ (ან დაემატათ) და ნაშრომების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე გადაკეთება მოუხდათ. ამ ეტაპზე სწორედ დოქტორანტების ეს თაობა იცავს სამეცნიერო ხარისხს.

რა მდგომარეობაა დღეის მონაცემებით? ამაღლდა თუ არა დისერტაციების სამეცნიერო ღირებულება? ამ კითხვებზე ჯერ გადაჭრით საუბარი ნაკლებად შესაძლებელია, რადგან, როგორც სადისერტაციო საბჭოების წარმომადგენლებმა განაცხადეს, დოქტორანტთა ახალი თაობა დისერტაციებზე ჯერ ისევ მუშაობს, ინდივიდუალური პროგრამით მომუშავე დოქტორანტები კი (ყოფილი ასპირანტები) ეტაპობრივად იცავენ სადოქტორო დისერტაციებს, რომლებიც ძირითადად ძველი სტრუქტურითაა შესრულებული და მათი ხარისხი ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

ელგუჯა ხინთიბიძე, თსუ-ის პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:

„დღევანდელი სადისერტაციო საბჭოს სტრუქტურა აბსოლუტურად შეცვლილია. მისი ფუნქციაა, დოქტორანტს დაუმტკიცოს დისერტაციის თემა და ხელმძღვანელი, შემდგომ კი დაამტკიცოს მისი სამეცნიერო ხარისხი. რაც შეეხება დისერტაციის დაცვის პროცედურას, ეს ხდება დარგობრივი კომისიის წინაშე, რომელიც მუდმივი არ არის, რადგან ყველა დისერტანტისთვის საგანგებო კომისია იქმნება.

ახალი დებულებით, საბჭო ამოწმებს დოქტორანტის დოკუმენტაციას, არეგულირებს — შეიძლება თუ არა ნაშრომი გაიგზავნოს დაცვაზე, ვინ გამოიყოს ოპონენტებად, როდის შედგეს დაცვა და ა.შ. განსაკუთრებულ შემთხვევაში ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, თავიდან გადაიხედოს დოკუმენტაცია და თუ საჭიროება მოითხოვს, საბჭოს სხდომაზე დისერტანტთან გასაუბრებაც გაიმართოს. დებულების შემუშავებაზე ჩვენ დიდხანს ვიმუშავეთ, მოსაზრებები შევაჯერეთ და საბოლოოდ დავამტკიცეთ მიმართულებისთვის მისაღები ვარიანტი, რომელშიც თითქმის ყველა წინააღმდეგობა გავითვალისწინეთ.

რაც შეეხება სამეცნიერო ხარისხების დაცვის დონეს — ამ ეტაპზე ახლად ჩარიცხული დოქტორანტები სადისერტაციო ნაშრომებზე ჯერ კიდევ მუშაობენ და საბოლოო შედეგის მიღებამდე 3-5 წელი აქვთ. ამიტომ ახალი დებულების მიხედვით შექმნილი ნაშრომები ჩვენამდე თითქმის არ მოსულა. მიუხედავად ამისა, დისერტაციების დაცვის რიცხვი მაინც მაღალია, რადგანაც სადისერტაციო საბჭოს მუშაობის განახლებიდან დღემდე დისერტაციები მოაქვთ იმ ასპირანტებს, რომლებსაც თემაზე მუშაობა ახალი დებულების მიღებამდე დასრულებული ჰქონდათ. უნდა ითქვას, რომ ახალმა მოთხოვნებმა, ახალმა დებულებამ და ხელმძღვანელების ცვლამ (ზოგიერთს უცხოელი თანახელმძღვანელი ჰყავს და უფრო მეტადაა ნაშრომში ჩართული ევროპული გამოცდილება), დისერტაციების შესრულების ხარისხზე გავლენა მოახდინა, თუმცა გადაჭრით არ შემიძლია გითხრათ, გაუმჯობესდა თუ არა მათი ხარისხი, რადგან ეს რომ თქვა, ძალიან დაწვრილებით უნდა შეისწავლო თითოეული დისერტაცია.

ჩემი ზოგადი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით გახლავთ ის, რომ ხარისხობრივად, ჯერჯერობით, დაახლოებით იგივე დონე გვაქვს, რაც ახალი დებულების ამოქმედებამდე გვქონდა, რადგან ეს იგივე თემები და იგივე წესით შესრულებული ნაშრომებია, როგორიც ადრე გვქონდა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სადისერტაციო საბჭოს დებულების შემუშავების პროცესი ჩვენს უნივერსიტეტში საკმაოდ გაიწელა, რადგან გვინდოდა ობიექტური სამართლიანი და, ამავე დროს, ხარისხზე ორიენტირებული დებულება მიგვეღო. ამ მიზნით გადავწყვიტეთ, რომ ასპირანტებს უცხო ენა ჩაებარებინათ, დოქტორანტები გამხდარიყვნენ და ახალი მოთხოვნების შესაბამისად ნაშრომში ბევრი რამ შეეცვალათ. სხვა უნივერსიტეტები ასე არ მოქცეულან. მათ პირდაპირ მისცეს ასპირანტებს დისერტაციის დაცვის უფლება და არ დაფიქრდნენ, ჰქონდათ თუ არა კონკრეტულ დარგში სამეცნიერო ხარისხის მინიჭების სტატუსი. იმის გამო, რომ ჩვენ მაღალი მოთხოვნები დავაწესეთ, ბევრი ასპირანტი წავიდა და სხვაგან დაიცვა დისერტაცია. მაგალითად, ბერძნულ ენაში, რომელიც, ფაქტობრივად, მხოლოდ ჩვენთან ისწავლება, ჩვენმა ყოფილმა ასპირანტებმა ტექნიკურ უნივერსიტეტში დაიცვეს დისერტაცია. ეს დიდი შეუსაბამობაა და ბევრ კითხვას ბადებს – არ ვიცით, რა დაიცვეს, როგორ დაიცვეს და რამდენად სერიოზული იყო ეს პროცედურა“.

დღეისთვის თსუ-ში 90-მდე სადოქტორო პროგრამა მოქმედებს. თითოეული მათგანი მიბმულია კვლევაზე, რაც საბოლოო ჯამში სამეცნიერო ნაშრომების ხარისხსაც აამაღლებს და დოქტორანტების პროფესიულ და კარიერულ ზრდასაც ჩაუყრის საფუძველს.

როგორც ჩვენთან საუბარში თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ანასტასია ზაქარიაძე აღნიშნავს, იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს ხარისხიანი სამეცნიერო ნაშრომების შექმნას და მაღალი დონის დოქტორების მომზადებას, სხვადასხვა ღონისძიების გატარებაა დაგეგმილი.

ანასტასია ზაქარიაძე:

„უნივერსიტეტრის სადოქტორო პროგრამებისადმი დიდ ინტერესს ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მაღალია სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან მობილობის წესით გადმოსულ დოქტორანტთა რიცხვი. ჩვენთან სადოქტორო პროგრამები ძირითადად კვლევაზეა მიბმული, რასაც გარდა მაღალკვალიფიციური კადრებისა, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებიც სჭირდება. ამისთვის, რეკომენდაციით შევდივართ ადმინისტრაციის წინაშე, რომ უნივერსიტეტმა ბიუჯეტში გაითვალისწინოს და გაზარდოს ხარჯები სამეცნიერო, მათ შორის, სადოქტორო კვლევებისთვის.

ასევე ვგეგმავთ, რომ გამოვაცხადოთ კონკურსი შიდასაუნივერსიტეტო გრანტების მოპოვებაზე. წინაპირობაში აუცილებლად იქნება მითითებული, რომ ამ გრანტებში უნდა ჩაერთნონ დოქტორანტები, რომლებიც სერიოზული კვლევის შედეგად დაიცავენ დისერტაციებს, ამასთანავე, გაეხსნებათ გზა კარიერული წინსვლისაკენ. თანაც ისინი იმუშავებენ უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულ საკითხებზე.

ვფიქრობ, ამ კუთხით ძალიან დიდ დახმარებას გაგვიწევენ უნივერსიტეტის სისტემაში გაერთიანებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომელთაც დიდი სამეცნიერო პოტენციალი აქვთ და დახმარებას გაუწევენ უნივერსიტეტს მაღალი დონის კვლევების წარმოებაში.

ამ კუთხით კიდევ ერთი სერიოზული ჩანაფიქრი გახლავთ ის, რომ გვინდა უნივერსიტეტში ჩამოყალიბდეს სადოქტორო სკოლა, რომელშიც დოქტორანტები გაერთიანდებიან. ეს მათ საშუალებას მისცემს, მუდმივად საქმის კურსში იყვნენ, გაიგონ, ვინ რა თემაზე მუშაობს, რა ხდება მათ მომიჯნავე და მონათესავე დარგებში. საერთო სემინარებზე, დისკუსიისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის პირობებში წარმოიშობა ახალი იდეები, ახალი კონტაქტები, ინტერდისციპლინური ნაშრომების შექმნის წინაპირობა და საფუძვლები“.

რეფორმის შემდგომ პირველი თაობის დოქტორანტებისთვის კვლევისა და დისერტაციის დასრულების ვადები ჯერ არ ამოწურულა. სულ ცოტა ხანში სრული სურათი გამოიკვეთება – გაიზარდა თუ არა სამეცნიერო დისერტაციების ხარისხის დონე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

აკაკის კვირეული თსუ-ში

პირველი გვერდიდან

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია სხვიტორში, აკაკი წერეთლის სახელობის სახლ-მუზეუმში გაიმართება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიტაშვილმა ღონისძიების მონაწილეებს კვირეულის გახსნა მიულოცა და მწერლის შემოქმედებაზე ისაუბრა. მისი აზრით, სიმბოლურია ის ფაქტი, რომ აკაკი წერეთლის 170 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული პირველი ქართული უნივერსიტეტიდან დაიწყო.

როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ შეხვედრაზე განაცხადა, აკაკი წერეთლის შემოქმედებას უნივერსიტეტში კიდევ არა ერთი საინტერესო ღონისძიება მიეძღვნება. „სასიამოვნოა, რომ დარბაზში ახალგაზრდების სიმრავლეა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული კვირეულის ფარგლებში, რომელშიც აქტიურად ჩაერთვნენ ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, კიდევ ერთხელ მოგვეცა იმის საშუალება, რომ გავიხსენოთ დიდი პოეტი და მისი შემოქმედება“, — განაცხადა დარეჯან თვალთვაძემ.

პლენარული სხდომა პროფესორმა ლადო მინაშვილმა გახსნა, რომელმაც თავის მოხსენებაში ვრცლად ისაუბრა აკაკი წერეთლის ღვაწლსა და შემოქმედებაზე. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ასოცირებული პროფესორის ნანა ფრუიძის მოხსენებამ „აკაკი წერეთლის თხზულებების აკადემიური გამოცემა“ დამსწრე საზოგადოების ინტერესი გამოიწვია. მისი ინფორმაციით, რადგან 2010 წელი აკაკის საიუბილეო წლად გამოცხადდა, დიდი მგოსნის ხსოვნის პატივსაცემად შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის ირმა რატიანის ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორობით და რუსთაველის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით არა მარტო მომზადდა აკაკი წერეთლის სრული კრებულის ახალი აკადემიური გამოცემის პროექტი 20 ტომად, არამედ დაიწყო პირველი ათტომეულის გამოცემაც. მომდევნო ტომებსაც მკითხველი მალე მიიღებს.

ახალ აკადემიურ გამოცემას დაამშვენებენ აკაკის ლირიკის მშვენიერი ნიმუშები, ლირიკულ ლექსებთან ერთად ოცტომეულში შევა სამი პოემა: „წმინდა ნინო“, „ანდრია პირველწოდებული“ და „ასი წლის ამბავი“.

ოცტომეულში შევა აკაკის დრამატული პოემები, დრამატული თხზულებანი, პოეტური თარგმანები, თარგმნილ-გადმოკეთებული ლექსები, იგავ-არაკები, თარგმნილი პიესები, ეპისტოლარული მემკვიდრეობა; ასევე, ექვს ტომად იქნება წარმოდგენილი პუბლიცისტური წერილები; გამოქვეყნდება უთარიღო, დაუმთავრებელი და ყრმობის-დროინდელი ლექსები.

„აკაკი წერეთლის შემოქმედება ჩვენი კულტურული საგანძურის ნაწილია. ვიმედოვნებთ, რომ აკაკის თხზულებათა აკადემიური გამოცემა ეროვნული მნიშვნელობის კულტურულ-ლიტერატურულ მოვლენად იქცევა“, — აღნიშნა ნანა ფრუიძემ.

პლენარულ სხდომაზე მოხსენებები წაიკითხეს სტუდეტებმა: ჟანა ხელაშვილმა („აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ პრობლემატიკა და სტილი“), სოფიო ხელაშვილმა („ქართული ეკლესიის როლი ქვეყნის ცოვრებაში აკაკი წერეთლის თორნიკე ერისთავის მიხედვით“) და დოქტორანტმა ნათია სიხარულიძემ („აკაკი წერეთლის პოეტური ენის თავისებურებები და გალაკტიონ ტაბიძის სიტყვათწარმოება“). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა მომხსენებელი სტუდენტები სიგელებით დააჯილდოვა.

ღონისძიებას ესწრებოდა აკაკი წერეთლის სხვიტორის სახლ-მუზეუმის დირექტორი ლეილა ზამბახიძე, რომელმაც თსუ-ის ბიბლიოთეკას მუზეუმის მიერ გამოცემული წიგნები: „აკაკი ბავშვებს“ და „აკაკი ქრისტიანობის ჭეშმარიტი მქადაგებელი“ გადასცა.

„კილო ჩემის მწერლობისა, — აცხადებდა აკაკი, სულ სხვაგვარი იქნება: ისეთს, ისეთს დავყეფ, რომ კურდღლები ჩირგვებში აკანკალდნენ და მხეცები სოროებიდან გამოვიყვანო. ვიცი, ბევრჯერ მესვრიან ქვას... ბევრჯერაც დამიტატანებენ, მაგრამ მე მაინც, სანამ ცოცხალი ვიქნები, ჩემსას არ მოვიშლი: პატარა ფინიასავით სხვის კალთაში თბილად წოლას და ნებივრობას, შარაგზაზედ ყეფის დროს სიკვდილი მირჩევნია“.

ყველამ უნდა ისწავლოს თუ არა საქართველოს ისტორია?

უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტების (გარდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა) სტუდენტები საქართველოს ისტორიის შესწავლით არ ინტერესდებიან, რადგან მხოლოდ პრაგმატული მიდგომით ირჩევენ საგნებს. რამდენად აუცილებელია საქართველოს ისტორიის შესწავლა ყველა სტუდენტისთვის, განურჩევლად პროფესიისა და რამდენად საჭიროა ამ საგნის პოპულარიზაცია? — ამ კითხვით მივმართეთ, არსებული პრობლემის ფონზე, გამოსავალის საპოვნელად იმ სპეციალისტებს, რომელთაც იციან, რა არის გასაკეთებელი ამ მიმართულებით...

ვაჟა კიკნაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ისტორიკოსი:

— საინტერესოა, რა დოზით ისწავლება საქართველოს ისტორია პირველ ქართულ უნივერსიტეტში?

— საქართველოს ისტორია, როგორც სავალდებოლო საგანი, დღეს მხოლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიმართულებებზე ისწავლება. უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებზე კი საქართველოს ისტორია არჩევით საგნებს შორის არის შეტანილი. მაგრამ მიმაჩნია, რომ საქართველოს ისტორია, ლექტორის მიერ საგნის კარგად მიწოდების შემთხვევაში, საინტერესო და საჭირო უნდა იყოს სხვა ფაკულტეტის სტუდენტებისთვისაც. საგანი 5 კრედიტიანია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ საგნის ასათვისებლად სტუდენტმა ერთი სემესტრის განმავლობაში 125 საათი უნდა დახარჯოს. ეს დრო ძალიან მცირეა იმისათვის, რომ სტუდენტს საქართველოს ისტორიის შესახებ საფუძვლიანი ცოდნა მისცე – ეს მხოლოდ არსებითი და მთავარი საკითხების გასაცნობადაა საკმარისი. საქართველოს ისტორიასთან ასეთი მინიმალური შეხება უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტების სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ, არსებულ რეალობაში კი სტუდენტისთვის საქართველოს ისტორიის მთავარ არსში გარკვევას მხოლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ვახერხებთ. თანაც სწავლა მხოლოდ ერთ სემესტრს მოიცავს, რაც ძალიან ცოტაა. სტუდენტი არა მხოლოდ ფაქტობრივ მასალას უნდა ფლობდეს, არამედ უნდა იაზროვნოს კიდეც ლექტორთან ერთად – ასეთი ანალიზისთვის ახალგაზრდა ჰუმანიტარებს საგნის კარგად ფლობა სჭირდებათ. დღევანდელობა — ეს არ არის ის ეპოქა, როდესაც აკრძალულია რომელიმე საკითხზე მსჯელობა, თუნდაც გიორგი სააკაძის პიროვნების ირგვლივ... მე ყოველთვის ვეუბნები ჩემს სტუდენტებს, რომ მჭირდება მათი დახმარება ამ პიროვნების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეების წარმოჩენის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ფილმის შემდეგ გიორგი სააკაძე ისეთ გმირად იქცა, რომლის **შესახებაც, ფაქ**ტობრივად, აღარ მიმდინარეობს მსჯელობა კრიტიკული თვალსაზრისით, სტუდენტებმა მის ფიგურას ყველა მხრიდან მაინც უნდა შეხედონ — ეს მათ აზროვნებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს შესძენს. საქართველოს ისტორიის სწავლება ხომ მხოლოდ ფაქტობრივი მასალის გადაცემას არ გულისხმობს, იგი მოგვიწოდებს კრიტიკული აზროვნებისკენაც. მაგალითად, ძალიან მიხარია, როცა 200 კაციანი აუდიტორია მსჯელობაში მოგყვება და ცდილობს საწინააღმდეგო აზრების ჩამოყალიბებას. მე მათ ვაფრთხილებ, რომ თვითმიზნად არასდროს არ უნდა გაიხადონ რომელიმე ცნობილი პიროვნების ან აღიარებული გმირის კვარცხლბეკიდან ჩამოგდება, მაგრამ აუცილებელია, კრიტიკული თვალითაც შეხედონ სხვადასხვა ისტორიულ ფრაგმენტებს. არის რიგი საკითხებისა, რომელიც სახელმძღვანელოში წერია, რასაც ვერ დავეთანხმები... მიუხედავად ამისა, მე წყაროდ მაინც ვუთითებ სტუდენტებს ამ სახელმძღვანელოს და მათაც სრული უფლება აქვთ — თემა ისე ააგონ, როგორც ამ სახელმძღვანელოშია მოცემული, მაგრამ, ამავე დროს, უნდა იცოდნენ ბევრად მეტი, ვიდრე ამ წყაროებში წერია. სწორედ ამ მიზნით ვუთითებ ხოლმე მათ — გაეცნონ როგორც უცხოურ წყაროებს, ასევე ქართული წყაროების სერიოზული ანალიზის შედეგებს. ისტორია არის ტენდენციური, თუ ჩვენ წინა პლანზე ერთი რანგის ფაქტებს წამოვწევთ და მეორეს მივაჩუმათებთ. ამიტომ ყველა ფაქტი უნდა შევაფასოთ და შევადაროთ ის სხვა ეპოქებსაც. უნდა ვისაუბროთ თანამედროვეობაზეც, თუ რატომ მოვედით დღემდე რაღაც ნაკლოვანებებით და ა.შ.

— სხვა რომელ ფაკულტეტებზე ირჩევენ სტუდენტები საქართველოს ისტორიას, როგორც საგანს? თუ გაქვთ სტატისტიკა?

— სხვა ფაკულტეტებზე სტუდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი ითხოვს ისტორიის შესწავლას. შეიძლება ამის მიზეზი ჩვენი პასიურობაცაა, რადგან სხვა ფაკულტეტებზე ამ საგნის პოპულარიზაციას არ ვეწევით, არ ვუხსნით სტუდენტებს, რომ ეს არ არის პარტისტორია, რაც თავიდან ბოლომდე შეთხზული, გამოგონილი სიყალბე იყო. საქართველოს ისტორია არ გახლავთ ისეთი საგანი, რომელიც იძულებით უნდა ისწავლო. ამ საგნის პოპულარიზაციის კუთხით მუშაობას ორგანიზებაც სჭირდება. დეკანატი სტუდენტებთან შეხვედრებისთვის პირობებს უნდა გვიქმნიდეს.

— ამ მხრივ თქვენი ფაკულტეტის დეკანი რამდენად აქტიურობს?

— ჩვენი ფაკულტეტის დეკანს სხვა ფაკულტეტებზე ისტორიის აქტიურად სწავლების სურვილი ნამდვილად აქვს. ჩვენ უფრო მეტი კონსულტაციები უნდა გვქონდეს ერთმანეთთან, რათა ეს საგანი სტუდენტებს ერთობლივი ძალისხმევით შევთავაზოთ.

— სახელმწიფოს მხრიდან რაიმე დახმარება გჭირდებათ? თუნდაც აგიტაცია...

— აგიტაცია უნდა დაიწყოს არა იმაზე აქცენტირებით, რომ აუცილებელია საქართველოს ისტორიის სწავლა, არამედ საზოგადოებრივ მაუწყებელზე უნდა დაიწყონ პოპულარული ფილმების ჩვენება საქართველოს ისტორიიდან. ეთერში უნდა გავიდეს ისეთი ფილმები, რაც სტუდენტს მეტი ცოდნის მიღების სურვილს გაუჩენს.

— საინტერესოა, სტუდენტებთან თანამედროვე ისტორიაზე თუ საუბრობთ გულახდილად?

— თანამედროვეეპოქაზეხშირადვერვასწრებ ლექციის კითხვას და არც მინდა ამ თემას შევეხო, რადგან სანამ არ გავა რაღაც პერიოდი, მანამდე ძნელია აბსოლუტური ობიექტურობით თანამედროვეობაზე საუბარი.

— როგორ ფიქრობთ, საგანმანათლებლო რეფორმამ საქართველოს ისტორია „გაწირა"?

— რეფორის გატარება ყველგან მტკივნეული და რთული პროცესია. არ არსებობს ქვეყანა, სადაც რეფორმის შემდეგ იგივე პრობლემები არ წარმოიშვას იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ სრულიად ახალი სწავლების ფორმაზე გადავდივართ. მიმაჩნია, რომ რეფორმა საქართველოს ისტორიასთან მიმართებაში არაფერ შუაშია. უბრალოდ, ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მეტი მოქნილობა, რათა რეალობას მოვერგოთ. არ შეიძლება, ყველა მიმართულებით ბოლონიის პროცესს დავეყრდნოთ და ადგილობრივ დონეზე წამოჭრილი თავისებურებანი არ გავითვალისწინოთ. ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში საერთოდ არ კითხულობენ საქართველოს ისტორიას. მისი სწავლება მათთვის არავის აუკრძალავს, უბრალოდ, თავად ეს სასწავლებლები თვლიან, რომ საქართველოს ისტორიის სწავლა არ არის საჭირო. მე კი მიმაჩნია, რომ თუ საქართველოს ისტორია არ იცის ადამიანმა, შემდეგ უკვე ზოგად პრობლემებზე, ინტერნაციონალიზმზე, მსოფლიო გლობალურ პროცესებზე და ა.შ. ვერ ისაუბრებს.

— ანუ თვლით, რომ საქართველოს ისტორიას, როგორც საგანს, მეტი პოპულარიზაცია სჭირდება, რათა სტუდენტებმა სხვა ფაკულტეტებზეც აირჩიონ ეს საგანი...

— ჩვენ ამას არავინ გვიკრძალავს, არც რაიმე დირექტივაა ზემოდან წამოსული, უბრალოდ მიმაჩნია, რომ ეს საკითხი უნდა მოაგვაროს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ თუნდაც აგიტაციის გაწევის გზით.

მიხეილ ბახტაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ისტორიკოსი:

— ჩვენთვის დადებით ტენდენციად შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტთა ერთი ნაწილი ისტორიას აბარებს, ანუ მათ სკოლაში უკვე გავლილი აქვთ ეს საგანი და მათთვის, ვინც უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე მოხვდება, მხოლოდ ახალი ინფორმაციის მიწოდებაღა გვჭირდება. ასე რომ, ამ მხრივ, კატასტროფული სიტუაცია ნამდვილად არ არის. თუმცა უნივერსიტეტში მოდის ის კონტიგენტიც, რომელსაც მისაღებ გამოცდებზე ისტორია არ ჩაუბარებია. მათთვის საქართველოს ისტორიის ერთ სემესტრში შესწავლა კი ცოტა გვიჭირს.

— სხვა ფაკულტეტებზე ისტორიას, როგორც არჩევით საგანს, ცოტა სტუდენტი ირჩევს. რა არის ამის მიზეზი?

— ალბათ ჩვენ, საქართველოს ისტორიის მიმართულებაზე ვინც ვასწავლით, ცოტა მეტად უნდა ვაქტიურობდეთ — რაღაც ტიპის ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ სხვა ფაკულტეტის სტუდენტებს, რომელთაც გასაუბრების საფუძველზე საქართველოს ისტორიის შესწავლით დავაინტერესებთ. ზოგს, მაგალითად, ვინც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლობს, იმდენად დატვირთული გრაფიკი აქვს, რომ ურჩევნია მომიჯნავე საგნის არჩევა და არა ისტორიის შესწავლა, რაც სტუდენტების პრაგმატული გადაწყვეტილებით აიხსნება.

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— ჩვენც უნდა გავაქტიურდეთ და სტუდენტებსაც უნდა გაუჩნდეთ ინტერესი ამ საგნის შესასწავლად. შეიძლება მათ შევთავაზოთ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა კურსი, მაგალითად, პოლიტიკური ისტორია, ან მხოლოდ კულტურა და ა.შ. სხვა ფაკულტეტების სტუდენტთა დასაინტერესებლად რაღაც სპეციფიკა აშკარად მოსაფიქრებელია. იდეა მაქვს, რომ მათ შევთავაზოთ ალტერნატიული კურსების მოსმენა, რის დამუშავებასაც დრო ნამდვილად სჭირდება.

დარეჯან თვალთვაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— როგორც ისტორიის მიმართულების პროფესორები აცხადებენ, საქართველოს ისტორიის, როგორც საგნის ასარჩევად, მისი მეტი პოპულარიზაციაა საჭირო. თქვენ როგორ უყურებთ ამ საკითხს და, რეალურად, რა არის გასაკეთებელი?

— საქართველოს ისტორია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სავალდებულო საგანია, რაც იმას ნიშნავს, რომ ფაკულტეტზე ჩარიცხული ყველა სტუდენტი აუცილებლად გაივლის საქართველოს ისტორიის ერთ სემესტრიან კურსს. ხოლო ისტორიის სპეციალობის სტუდენტებისთვის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი აგებულია ისე, რომ 5 სემესტრის განმავლობაში საქართველოს ისტორიის ცალკეულ პერიოდებს ეტაპობრივად სწავლობენ. რაც შეეხება სხვა ფაკულტეტების სტუდენტებს, ნებისმიერ მათგანს, ნებისმიერ სემესტრში შეუძლია აირჩიოს საქართველოს ისტორიის ერთ სემესტრიანი კურსი, ასევე, ისტორიის საბაკალავრო პროგრამით შეთავაზებული 5 ეტაპიანი კურსიდან ნებისმიერი. მათ შეუძლიათ აირჩიონ საქართველოს ისტორია თავისუფალი კრედიტების ფარგლებში.

მიმაჩნია, რომ საჯარო ლექციების გამართვა საინტერესო ისტორიულ თემებზე ამ საგნის მეტ პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. უფრო უნდა გააქტიურდეს პროფესურაც, რათა სხვა ფაკულტეტების სტუდენტებს საქართველოს ისტორიის შესწავლა შესთავაზონ. ზოგიერთი სტუდენტი უკვე სარგებლობს ამ უფლებით და რეგისტრირდება კიდეც ჩვენს ფაკულტეტზე.

საქართველოს ისტორიის შესწავლა სავალდებულო რომ გახდეს ყველასთვის, საკითხი ფაკულტეტებმა უნდა გადაწყვიტონ. მათ შეუძლიათ თავიანთ სასწავლო პროგრამებში ეს საგანი შეიტანონ და მას 5 კრედიტი დაეთმოს. თუ ფაკულტეტები ამ გადაწყვეტილებას მიიღებენ და მსგავს სურვილს გამოთქვამენ, ჩვენი ფაკულტეტი მზადაა — მოემსახუროს ყველა სპეციალობის სტუდენტს და მას ერთსემესტრიანი საინტერესო კურსი შესთავაზოს.

მარიამ ლორთქიფანიძე, პროფესორი:

— თქვენი აზრი, როგორც ცნობილი ისტორიკოსისა, მეტად საგულისხმოა იმის თაობაზე, რომ საქართველოს ისტორია უნივერსიტეტში საფუძვლიანად ისწავლებოდეს. თქვენ ამ პრობლემაზე არაერთხელ გისაუბრიათ აკადემიურ წრეებში. ჩვენ გვაქვს ასეთი რეალობა, რომ სხვა ფაკულტეტების (გარდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა) სტუდენტები საქართველოს ისტორიის შესწავლით არ ინტერესდებიან, რადგან მხოლოდ პრაგმატული მიდგომით ირჩევენ საგნებს. რამდენად აუცილებელია საქართველოს ისტორიის შესწავლა ყველა სტუდენტისთვის, განურჩევლად პროფესიისა და რამდენად საჭიროა ამ საგნის პოპულარიზაცია?

— ჩემი სტუდენტობის დროიდან მოყოლებული, ავადსახსენებელი საბჭოთა ხელისუფლების პირობებშიც კი, ჩვენს უნივერსიტეტში საქართველოს ისტორია ნომერ პირველი საგანი იყო. ახლა კი, საერთოდ, სადღაც ბოლოში „მიჩანჩალებს". მშობლიური ისტორიის ცოდნა საქართველოში უძველესი დროიდანვე სავალდებულოდ მიაჩნდათ. X საუკუნის სასწავლო წიგნში — „შატბერდის კრებულში" საქართველოს ისტორია შეტანილია. ეკლესიებში წმინდანთა ხსენების დღეებში მრევლს სამშობლოსათვის თავდადებულ წმინდანთა შესახებ მოუთხრობდნენ და საქართველოს ისტორიიდან ეპიზოდებს უკითხავდნენ. დღეს კი საქართველოს ისტორიის სწავლა მხოლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზეა სავალდებულო.

პრეზიდენტმა ბრძანა, რომ განათლებისთვის გამოყოფილი დაფინანსების 70% ფიზიკა-მათემატიკის დარგების განვითარებას მოხმარდება. ხელისუფლება მიხვდა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს მეტი ყურადღების მიქცევა სჭირდება. დაფინანსების ის დანარჩენი 30% კი რას მოხმარდება, არ ვიცი. თუმცა ვთვლი, რომ რომ ჩვენთან ყველაზე მეტი მნიშვნელობა ქართველურ დარგებს უნდა მიენიჭოს. ამ დარგების კერა ყოველთვის იყო საქართველო.

— თქვენი აზრით, რამდენად არიან სტუდენტები დაინტერესებულნი საქართველოს ისტორიის სწავლით? იქნებ მათმა ინდიფერენტულობამაც გამოიწვია ის, რომ ყველა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორია სავალდებულო საგნად არ არის პროგრამებში შეტანილი...

— უბედურება ის არის, რომ ჩვენი დარგი უპერსპექტივოა. საქართველოს მიმართულების მაგისტრანტებს თემებს ვაძლევ ხოლმე, რომელსაც ამუშავებენ და მერე კითხულობენ. ერთი ბიჭი კითხულობდა შესანიშნავ მოხსენებას, ვუყურებ და ვფიქრობ: — შვილო, შენ ჭკუა არ გაქვს? ან პატრონი არ გყავს? რომ იფიქრო იმაზე, რომ როცა დაამთავრებ მაგისტრატურას, მერე რა უნდა ქნა? ჩემი 4 მაგისტრანტიდან, რომლებიც შარშან მყავდა, 2 უკვე უცხოეთში წავიდა. აქ ვერსად დასაქმდნენ და იმიტომ...

— ანუ სამსახურის პოვნის პრობლემაა?

— რასაკვირველია, ერთი გერმანიაშია, მეორე რიგაში....

— მასწავლებლად მუშაობა პერსპექტიული არ არის?

— იშოვით კი მასწავლებლის ადგილს? არც ეგ არის ადვილი... თუმცა ვფიქრობ, რომ ბაკალავრიატდამთავრებულს მასწავლებლობის უფლება უნდა ჰქონდეს IX კლასამდე.

„სამარცხვინო ომი“ რუსეთს დღესაც დაღად ატყვია

140 წელი შესრულდა ქართველი მამულიშვილის კიტა აბაშიძის დაბადებიდან

ქართველმა მკითხველმა გამომცემლობა „ნაკადულისაგან“ ამას წინათ შესანიშნავი საჩუქარი მიიღო — ქართული მწერლობის XXVIII ტომი, რომელშიც გაერთიანებულია დიდი ქართველი მამულიშვილის — კრიტიკოსის, პუბლიცისტის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, პირველი ქართული ეროვნული პარტიის, ქართველ სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებლისა და ლიდერის — კიტა აბაშიძის (1870-1917 წ.წ.) რჩეული ლიტერატურული და პუბლიცისტური ნაწერები. ეს არის უძვირფასესი მემკვიდრეობა, რომელსაც ყოველი წიგნიერი ქართველი უნდა იცნობდეს.

გარდა კიტა აბაშიძის ფუძემდებლური ნაშრომისა — „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“, რომელმაც ფრიად საგულისხმო წვლილი შეიტანა ქართული ეროვნული ცნობიერების აღორძინებაში და უდიდესი როლი შეასრულა ქართული კრიტიკული და ესთეტიკური აზროვნების განვითარებაში, მასში შესულია, აგრეთვე, არაერთი ძალზე მნიშვნელოვანი, თუმც ფართო მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილი ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილებიც, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ შემეცნებითი ღირებულება და აქტუალობა.

ერთ-ერთი ასეთი პუბლიცისტური წერილია „სამარცხვინო ომი (მიმართვა რუს ადამიანებს)“, რომელიც 1906 წლის თებერვლის დამლევს დაიწერა — იმ ტრაგიკულ დღეებში, როცა კავკასიის მეფისნაცვლის — გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის განკარგულებით, რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად გამოგზავნილმა რუსულმა დამსჯელმა რაზმებმა, მუსლიმი მაქსუდ ალიხანის — გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით მთელი დასავლეთ საქართველო ააოხრეს, ათობით ქართული ქალაქი, დაბა და სოფელი გადაბუგეს და ასობით ადამიანი გაჟლიტეს.

როგორც ტომისათვის დართული კომენტარებიდან ვიგებთ, „მიმართვა“ რუსულ ენაზე ყოფილა დაწერილი და რუსული პრესისთვის ნავარაუდევი. წერილის „სამარცხვინო ომი“ გამოქვეყნებას კიტა აბაშიძე პეტერბურგის რომელიმე პოპულარულ გაზეთში აპირებდა „ქართველის“ ფსევდონიმით (წერილის ქართული თარგმანი, ისევე, როგორც კომენტარები, ტომის შემდგენელსა და რედაქტორს ბ-ნ გიორგი აბაშიძეს ეკუთვნის).

1906 წლის 24 თებერვალს კიტა აბაშიძე ივანე ჯავახიშვილს წერდა (თბილისიდან პეტერბურგში):

„ძვირფასო ძმაო ვანო! ჩვენი ქვეყნის უბედურებამ ისე აგვაშფოთა, ისეთი თავზარი დაგვცა, რომ არათუ ასე მალე, მგონი კარგა ხანი გაივლის, ვიდრე გონებაზედ მოვიდოდეთ. არ აიწერება კალმით ის განსაცდელი, რომელშიც დასავლეთ საქართველო ჩავარდა... პირდაპირ ტვინი გეყინება კაცს და სისხლი გიშრება: აიკლეს, სწორედ რომ აიკლეს ჩვენი ქვეყანა ამ ურჯულოებმა და ოხრებმა...

ეხლა ერთი თხოვნით უნდა მოგმართოთ და შეგაწუხოთ. გაახლებთ ჩემ დაწერილ წერილს, ამ ამბებით გამოწვეულს. ეს წერილი წავიკითხე აქ, მეგობართა წრეში და ყველამ მოიწონა და პირდაპირ დამავალეს, რომ პეტერბურგის რომელიმე გაზეთში იქმნეს დასტამბული, უფრო კი “Наша жизнъ“-ში, რადგან უფრო ყურადღებას გვაქცევს და უფრო გავრცელებულიც არის. გთხოვთ, მიიღოთ შრომა თქვენს თავზედ და მოელაპარაკოთ რედაქციაში, თუმც შეიძლებოდეს დასტამბონ გამოუკლებლად. მართალია, რუსი ხალხის წინააღმდეგ გამოილაშქრე, მაგრამ შეიძლება ისე აუხსნათ, ვითომ მე, ქართველი, როგორც გამწარებული ამ ამბებით, პირველ ჩემს გრძნობას ვსწერ, თორემ, მართლაც, რას ვემართლები იმ საწყალ რუსებს, რომელნიც ციხეში ლპებიან, თუმც ხშირად მოხდება ხოლმე, რომ „რუსეთში ტანჯული“ შემდეგ “Охранное отделение“-შიც შედიან, მაგრამ, ეს ყოველგან მოხდება. ძალიან ბოდიშს ვიხდი, რომ გაწუხებთ, მაგრამ ეს, ასე ვსთქვათ, საზოგადო საქმეა... პასუხს შემატყობინებთ, იმედია“.

საპასუხო წერილი არ შემონახულა, მაგრამ კიტა აბაშიძის შემდეგი წერილიდან, რომელიც ამავე წლის 9 აპრილითაა დათარიღებული, ჩანს, რომ ივანე ჯავახიშვილის მცდელობას ამაოდ ჩაუვლია და სტატიის გამოქვეყნებაზე უარი უთქვამთ:

„ძვირფასო ძმაო ვანო! დიდ ბოდიშს ვიხდი თქვენთან, რომ შეგაწუხეთ, — ვკითხულობთ მითითებულ წერილში, — მაგრამ არათუ მარტო მე ვიყავი დაინტერესებული მაგ წერილის დასტამბვაში, თუმც დარწმუნებული ვარ და ვიყავი, რომ არ დასტამბავდნენ: რაც უნდა ლიბერალი და რადიკალი იყოს, რუსი მაინც რუსია და „სრულიად რუსეთის“ გინების ნებას არ მოგცემს, მარტო ბიუროკრატიას გაგინებინებს, რადგან მისთვის ხელსაყრელია, თუმცა თითქმის მაგავე ხასიათის წერილები იყო „რუსში“ და „მოლვაში“ დასტამბული. საქმე იმაშია, რომ აქ ზოგიერთებს ისე აინტერესებთ მაგის დასტამბვა, რომ კიდეც დამაძალეს... თუ შეხვდებით სამსონ ფირცხალავას, რომელიც მანდ არის, გადაეცით, იქნებ „გრუზია ი გრუზინის“ გამომცემელმა ამხანაგობამ იკისროს, მგონი თვით არის მეთაური“... — წერდა კოტე აბაშიძე.

„სამარცხვინო ომის“ გამოქვეყნება მაინც ვერ მოხერხდა: რედაქციებმა, ალბათ, მეტისმეტად სახიფათოდ ჩათვალეს ამ მძაფრი პუბლიცისტური წერილის დაბეჭდვა, რომელიც, ფაქტობრივად, არსებული ხელისუფლების დამხობის მოწოდებას წარმოადგენდა. ბუნებრივია, წერილის გამოქვეყნება საბჭოური რეჟიმის ზეობის ხანებში შეუძლებელი იყო.

„სამარცხვინო ომი“, პირველად, მხოლოდ 1989 წელს გამოქვეყნდა — „საჯაროობის“ პერიოდში, სიტყვის თავისუფლების ანაზდეული ტალღის წყალობით, ისიც ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაში“ (№9), გიორგი აბაშიძის პუბლიკაციით, წინათქმითა და შენიშვნებით.

მკითხველი ინტერესით გაეცნობა კიტა აბაშიძის მამხილებელ წერილს

მკითხველს არ ეგონოს, რომ მე რუსეთ-იაპონიის ომზე ვლაპარაკობ, რომელმაც სამარცხვინო ბოძზე გააკრა რუსეთის თვითმპყრობელური ბოუროკრატია, ომზე, რომლის დამთავრებას ჩვენ ასე გულით ვნატრობდით, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ გვესმოდა, რომ თუკი რუსეთის თვითმპყრობელური ბიუროკრატია სამუდამოდ არ დასამარდებოდა მანჯურიის ველებზე, იგი კვლავ აღდგებოდა მთელი ქვეყნის დასაღუპავად. არა, მე იმ ომზე ვლაპარაკობ, რომელიც გამხეცებულმა თვითმპყრობელურმა ბიუროკრატიამ „შინაური მტრების“ წინააღმდეგ გააჩინა, ომზე, რომელმაც ამჯერად სამარცხვინო დაღით დადაღა არა მარტო თვითმპყრობელური ხელისუფლება, არამედ მთელი რუსული არმია და, გარკვეულწილად, მთელი რუსი ხალხიც.

რაც არ უნდა თქვათ, თანამედროვე არმიაც ხალხის წარმომადგენლად გვევლინება და მისი ნაკლოვანებანი, ნაწილობრივ მაინც, მთელი ხალხის ნაკლოვანებებია.

იმ საარაკო სისასტიკეს, იმ გაუგონარ სიმხეცეს, რომლითაც რუსულმა არმიამ ისახელა თავი უიარაღო, უმწეო, სრულიად უდანაშაულო მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ომში, ალბათ, მთელი კაცობრიობის ისტორიაში არ მოეძებნება რაიმე შესატყვისი.

აბა, შუა საუკუნეების რომელი მეომარი ან რომელი თურქი ბაშიბუზუკი შეედრება შლეგ ველურობასა და არაადამიანურობაში რუს სალდათსა თუ კაზაკს, რომელიც ებრძვის არა გულად, შეიარაღებულ მონინააღმდეგეს, არამედ სუსტ, უმწეო „შინაურ მტერს“?!

დამეთანხმებით, რომ ნიშან-თვისებები ველური მძვინვარებისა და სიგიჟემდე მისული სიმხეცისა, ის წარმოუდგენელი სისასტიკე, რაც ნიშანდობლივია პასიური, მხდალი და მონური ბუნების მქონე ადამიანთათვის, — დამეთანხმებით, ეს თვისებები საუკუნეთა მანძილზე დამონებული რული ხალხისთვისაცაა რამდენადმე დამახასიათებელი.

მართალია, ამგვარი მხეცური ინსტიტუტები სადღაც სიღრმეშია ჩაბუდებული და მათს გამოვლენას შავრაზმული ხულიგნებისა და თვითმპყრობელური ჰიპნოტიზიორების ძალისხმევა სჭირდება, მაგრამ მათ ხომ არ ძალუძთ რაიმე ახალი თვისებების შთაბერვა: ნაირგვარ ინსინუაციათა მაგიური კვერთხის მეშვეობით მათ მხოლოდ მზის სინათლეზე ამოაქვთ ქვესკნელში მთვლემარე ძალები. ამდენად, მორალურად პასუხისმგებლებად, რა თქმა უნდა, ეს ყოვლად უღირსი და სინდისგარეცხილი ჰიპნოტიზიორები უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ არც იმაზე უნდა დავხუჭოთ თვალი, რომ თუ არ სათანადო ნიადაგი, ჩაგდებული თესლი დაიღუპებოდა და ვერ აღმოცენდებოდა რუსი ხალხის ისტორიის შესარცხვენად.

ნუ გამინაწყენდებით, რუსო ადამიანებო, ვისდამიცაა მიმართული ეს ჩემი წერილი, თუკი მე, სასოწარკვეთილების ჟამს, პასუხისმგებლობას ვიტეების, დუბასოვების, ალიხანოვებისა თუ სხვა tutti quanti „ჭეშმარიტად რუსი“ ადამიანების ცოდვების გამო, — ადამიანებისა, რომელნიც მეტწილად რუსულ გვარებსაც კი არ ატარებენ, მაგრამ რომელთაც საკუთარი გვარები რუსული ჩინოვნიკობის საკეთილდღეოდ უარყვეს, — თუკი პასუხისმგებლობას მათი დანაშაულის გამო მთელს რუს ხალხს ვაკისრებ. მაგრამ სანამ ეს ხალხი, რომლის წიაღიდანაც გამოვიდნენ უდიდესნი მებრძოლნი და წამებულნი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისთვის, სანამ ეს ხალხი უნდობლობას არ გამოუცხადებს და ძალაუფლებას არ ჩამოართმევს ახლად გამომცხვარ მინისტრთა საბჭოში ნაბარტყეე ნაირგვარ ხულიგნებს, მანამდე ქართველების თვალში იგი პასუხისმგებლად ჩაითვლება მისი მთავრობისა, — იმ ტრაფარეტის მიხედვით, რომ ყოველი ხალხი იმ მთავრობას იმსახურებს, რომელიც მას ჰყავს.

XVIII საუკუნის დამლევს ბედი ქართლისა გადაწყვეტილ იქნა ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელთა მიერ: საქართველომ სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი მაჰმადიანურ სამყაროსთან, ერთმორწმუნე რუსეთს მიმართა და მისი პროტექტორატი მიიღო. ამ გადაწყვეტილების გამო საქართველო სასტიკად დაისაჯა: საქართველოში აღა-მაჰმად-ხანის მეთაურობით სპარსთა ურდოები შეიჭრნენ და ქვეყანას ცეცხლითა და მახვილით გადაუარეს. და ეს იმიტომ, რომ საქართველოს მეფე (ერეკლე II) არ დაჰყვა სპარსეთის გამგებლის შეგონებას და პირი არ უტეხა რუსეთს. „არათუ აღა-მაჰმად-ხანმა, აზიის ყველა სახელმწიფომ რომ გამომიცხადოს ომი, მაშინაც კი არ შეველევი რუსეთის ერთგულებას“, — უპასუხა საქართველოს მეფემ აღა-მაჰმად-ხანის ელჩებს.

ასეთ გრძნობათა სამადლობლად და „აღსასრულებლად ტრაქტატებისა“, რომლებიც რუს მეფეთა სიტყვით იყო განმტკიცებული, რუსეთმა თავისი გაბატონების პირველსავე წლებში ყველაფერი წაართვა საქართველოს: სკოლა, ენა და სარწმუნოება. რუსეთი მთელი თავისი ძალებითა და ხერხებით აფერხებდა საქართველოს კულტურულ და სულიერ განვითარებას და სისტემურად სპობდა იმ ეროვნულ თვითმყოფადობას, რომლის დასაცავად მიიღო საქართველომ რუსეთის პროტექტორატი.

მაგრამ ქართველი ხალხი ითმენდა და ელოდა... ჩვენ რუსეთის განახლებას ველოდით... ჩვენ გვჯეროდა, რომ „დამღუპველ კავკასიაში“ გამწესებული ყველა ეს შანტაჟისტები — როზენები, დონდუკოვები და გოლიცინები — წარმომადგენლები იყვნენ ოდენ რუსული ბიუროკრატიისა, რომელიც ისევე ავიწროებდა რუს ხალხს, როგორც ქართველობას. ჩვენ ვხედავდით, თუ როგორ ებრძოდა რუსეთის საუკეთესო ნაწილი თვითმპყრობელურ ხელისუფლებას და, სახელები — ამ დიდ რუს წამებულთა და რუსული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთა, წმიდათანწმიდა სახელებია ჩვენთვის.

ჩვენ პატივს ვცემდით რუსულ არმიას, რომელიც გვიცავდა საძულველი მაჰმადიანური სამყაროსგან; ჩვენ, რუსი ხალხის მხარდამხარ, ამ არმიასთან ერთად ვიბრძოდით რუსული სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის იმავე მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ; ჩვენ ვიბრძოდით ჩვენი მეზობლების წინააღმდეგაც, რათა კავკასიაში რუსეთის ძალაუფლება დაგვემკვიდრებინა. და ვფიქრობ (ყოველ შემთხვევაში ახლა), რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ, შეიძლება ეს ითქვას, რომ ჩვენი დახმარების გარეშე ე.წ. „კავკასიის დამორჩილება“ სადღეისოდაც ისეთივე განუხორციელებელი

რუსული ბიუროკრატია მარტოოდენ თავისი პირადი გამორჩენისა და პოლიტიკური შანტაჟის მიზნით ცდილობდა ჩვენში სეპარატიზმის შექმნას და რადგან ამას მშვიდობიანი საშუალებებით ვერ მიაღწია, ცეცხლითა და მახვილით შეეცადა მის დანერგვას.

იდეალი იქნებოდა რუსებისათვის, როგორიც რუსეთის ბატონობის დამკვიდრებაა წყნარი ოკეანის ნაპირებზე. ჩვენი მხრივ არაკეთილმოსურნე დამოკიდებულების შემთხვევაში ჩვენ შეგვეძლო საკმაოდ საგრძნობი სიძნელეები შეგვექმნა ყირიმის კამპანიის დროს, როცა კოალიციური მთავრობის წარმომადგენლები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ქართველი ხალხის წარმომადგენლებთან. და ახლაც, სულ ცოტა ხნის წინ, როცა ხმა დაირხა, რომ თურქეთმა სამხედრო კორპუსები დაძრაო ჩვენი საზღვრებისაკენ, ჩვენ ყველა ერთხმად ვამბობდით, რომ ეს რუსეთ-იაპონიის ომი არაა და რომ ყველანი წინ აღვუდგებით თურქებს.

და, აი, ყოველივე ამის სამადლობლად თქვენ რა დაგვმართეთ, რა დაგვმართა ჩვენ თქვენმა არმიამ თქვენი „მამაცი“ გენერლების წინამძღოლობით, რა დამართეთ თქვენ თქვენს ერთმორწმუნე ხალხს, რომელიც ბრძოლისა და წინააღმდეგობის გარეშე, საკუთარი ინიციატივით შემოვიდა თქვენი პროტექტორატის ქვეშ იმ იმედით, რომ თქვენ მას ბარბაროსთა შემოსევებისაგან დაიცავდით.

ის, რაც თქვენ — ჩვენმა „მფარველებმა“, ჩვენმა „მეგობრებმა“, ჩვენმა „მართლმადიდებელმა ძმებმა“ გვიყავით ამ ორი-სამი თვის მანძილზე, არ გაუკეთებია ჩვენთვის არც ერთ მაჰმადიან ტირანს — დაწყებული თემურ-ლენგით და დამთავრებული შაჰ-აბასითა და აღა-მაჰმად-ხანით, რომელთაც ყოველი ქართველი წყევლიდა და თავისი ისტორიისა და ხალხის ბოროტ დემონებად თვლიდა. მაგრამ აღა-მაჰმად-ხანმა თბილისში მხოლოდ მეფისა და მისი ოჯახის რამდენიმე სასახლე გადაწვა, მოსახლეობა კი არ დაურბევია, მხოლოდ ტყვედ მიჰყავდა. ისტორიკოსთა მოწმობით, თვით მეფე ერეკლე იყო გაკვირვებული აღა-მაჰმად-ხანის ასეთი მოპყრობით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაჰმადიანთა შემოსევამ საბოლოოდ დაარწმუნა ქართველობა იმაში, რომ აუცილებელი იყო შელეოდნენ დამოუკიდებლობას და მართლმადიდებელი რუსეთის მფარველობა მიეღოთ.

მაგრამ არასოდეს არავითარ მაჰმადიანურ ურდოს არ ჩაუდენიათ არაფერი მსგავსი იმისა, რაც ჩაიდინა რუსულმა „ქრისტესმოყვარულმა მხედრობამ“, რომელმაც იაპონიის ომში თავისი მარცხის მთელი ჯავრი ჩვენზე ამოიყარა...

თითქოსდა ჩვენი მიამიტური მიმდობლობისა და რუსეთის სახელმწიფოსადმი ჩვენი რწმენის დასაცინად, თვითმპყრობელური რუსული ბიუროკრატია დასავლეთ საქართველოში მუსლიმ ალი-ხანს აგზავნის — ქართველებთან ბრძოლებში დაღუპული მეომრებისთვის აღაპის გადასახდელად და მას carte blanche-ს აძლევს მისი ველური სისხლისმსმელური ინსტიქტების დასაკმაყოფილებლად. ალი-ხანიც თბილისიდან ქუთაისამდე „ძლევამოსილ მარშს“ ახორციელებს და გზად ყოველივეს ცეცხლითა და მახვილით ანადგურებს; „სახელოვანი“ ლაშქარი ხოცავს და ხვრეტს მშვიდობიან მოსახლეობას, ამაზრზენ ძალმომრეობას ხმარობს ქალებზე და ბავშვებზე (ამ ძალმომრეობის მსხვერპლნი — 11-12 წლის გოგონები ქუთაისის საავადმყოფოში წვანან) და მთელს ქვეყანას აჩანაგებს; „ძლევამოსილი“ გენერალი ავალდებულებს მხოლოდ და მხოლოდ ერთი მაზრის მოსახლეობას ერთი კვირის ვადაში 200 000 მანეთის გადახდას და გაპარტახებულ ხალხს აიძულებს ათეული ათასი მანეთებით უზრუნველყონ მოკლული პოლიციელებისა და ბოქაულების ოჯახები!... ცეცხლმა შთანთქა (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) მთელი ქალაქები და დაბები, ზოგიერთისა კი — საუკეთესო ნაწილი. ასეთებია ბელაგორი, ყვირილა, სვირი, ბაღდადი, ახალსენაკი, სამტრედია, საჩხერე, ჭიათურა, ოზურგეთი, ნაგომარი, ონი, ცაგერი... ხოლო გადაბუგული სოფლები ვერც კი დაითვლება; დამწვარია ქალაქ ქუთაისის საუკეთესო ცენტრალური ნაწილიც.

არა, არასოდეს მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველოს, განსაკუთრებით კი — დასავლეთ საქართველოს, არაფერი ამის მსგავსი არ ახსოვს. აღმოსავლეთ საქართველო თავისი მკერდით იცავდა დასავლეთს უცხოელ ურდოთა შემოჭრისაგან და უკანასკნელ დღეებამდე შესძლო გადაერჩინა ეს მარგალიტი — ყველა ქვეყნის პოეტთა მიერ ნაგალობები ეს ბრწყინვალება ბუნებისა და სილამაზისა, რის გამოც ქუთაისის გუბერნია, კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით, ყველა მეზობელ გუბერნიებს ჯობდა.

მაგრამ ყოველივე, რაც შექმნილი იყო რამდენიმე საუკუნისა და თაობის რუდუნებითა და ძალისხმევით, ორ-სამ კვირაში მოისპო და გაჩანაგდა.

განა რა დაგიშავეთ საამისო? რისთვის, რა მძიმე ცოდვებისათვის დაგვსაჯა ასე სასტიკმა ერთმორწმუნე რუსმა ხალხმა? განა ჩვენ რასმე ისეთს მოვითხოვდით, რაც თუნდ ოდნავ მაინც უპირისპირდება რუსი ხალხის ინტერესებსა და მოთხოვნებს? რა დააშავეს ჩვენმა რევოლუციონერებმა, რა შესცოდა ჩვენმა ხალხმა, რომელმაც მთელი თავისი რევოლუციური განწყობილება მხოლოდ კულტურული პასიური წინააღმდეგობით გამოხატა, რითაც თვით გრაფი ლ. ტოლსტოი იყო აღტაცებული?! ჩვენმა ხალხმა ბოიკოტი გამოუცხადა სინდისგარეცხილ რუს ჩინოვნიკობას, მაგრამ განა ეს ეწინააღმდეგება რუსი ხალხის ინტერესებს? ვინ უპირისპირდებოდა ჩვენთან რუსული კულტურის ინტერესებს — ჩვენ, თუ თქვენი ბიუროკრატია, რომელიც ჩვენკენ გადმოისროდა ხოლმე ხელმოცარულ, ქურდ-ბაცაცა და ზნეობრივად და გონებრივად გაკოტრებულ ჩინოვნიკებს?! ხალხმა ზურგი უჩვენა სამღვდელოებას, მაგრამ განა თქვენს მიერ ხელდასხმულმა იერარქებმა არ მოაშთეს მასში ყოველგვარი რელიგიური გრძნობები?!

მე-11 გვერდზე

„სამარცხვინო ომი“ რუსეთს დღესაც დაღად ატყვია

140 წელი შესრულდა ქართველი მამულიშვილის კიტა აბაშიძის დაბადებიდან

მე-10 გვერდიდან

ჩვენმა ხალხმა იგივე დემოკრატიული მოთხოვნები წამოაყენა, რომლებიც წამოაყენა ზოგიერთმა რუსულმა პარტიამაც და ეს იმიტომ, რომ ჩვენი ხალხი არ არის დაავადებული იმ „ცრუმორწმუნეობით“, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიონ ისეთმა ადამიანებმაც კი, როგორიც სტრუვეა... მაგრამ ჩვენი დემოკრატიზაციაც ისევ და ისევ თქვენივე ბიუროკრატიის წყალობით მოხდა.

ეჭვგარეშეა, რომ XIX საუკუნის დამდეგს ქართველი ხალხიც იყო განმსჭვალული „ცრუმორწმუნეობით“ მონარქიული ხელისუფლების მიმართ, მაგრამ რუსული ბიუროკრატიის წარმომადგენლები ისე უწყალოდ და ულმობლად მოეპყრნენ საქართველოში სამეფო გვარის ყველა წევრს, ისე ამცირებდნენ და შეურაცხყოფდნენ ქართველების ყოველგვარ მონარქიულ გრძნობებს, რომ ამ გრძნობათა სრულ გაქრობას მიაღწიეს.

ამრიგად, ჩვენ ჩვენი პასიური წინააღმდეგობით იმისთვისვე ვიბრძოდით, რისთვისაც მოსკოვი, რუსეთის გული, იარაღით ხელში აჯანყდა. არასდროს არავითარი სეპარატისტული მისწრაფებები ჩვენს ხალხს არა ჰქონია, მას ამაზე არც კი უოცნებია არასოდეს. „სეპარატიზმი“ კავკასიის რუსული ჩინოვნიკობის შეთხზულია, — მონაჭორია ნაირგვარი დონდუკოვებისა და გოლიცინებისა, ამ ქარაფშუტა და უგუნური მმართველებისა, რომელთაც სხვაგვარად არ ძალუძდათ ძალაუფლების შენარჩუნება, თუკი ცენტრალურ ბიუროკრატიას „სეპარატიზმის აჩრდილით“ არ დააშინებდნენ. რუსული ბიუროკრატია მარტოოდენ თავისი პირადი გამორჩენისა და პოლიტიკური შანტაჟის მიზნით ცდილობდა ჩვენში სეპარატიზმის შექმნას და რადგან ამას მშვიდობიანი საშუალებებით ვერ მიაღწია, ცეცხლითა და მახვილით შეეცადა მის დანერგვას.

რუსულმა თვითმპყრობელურმა ბიუროკრატიამ, ალი-ხანის ხელით, საქართველოში მრავალი წლით გააქრო ის ძმური, კეთილი გრძნობები, რომლითაც მთელი ქართველი ხალხი იყო განმსჭვალული რუსი ხალხისადმი, ხალხისადმი, რომელთანაც დაკავშირებული იყო რელიგიის ერთობითა და იმ მსხვერპლით, რომელიც ისტორიულ წარსულში ორივე ხალხის მიერ იქნა გაღებული საერთო კეთილდღეობისათვის. ეს ყოველივე ახლა განქარდა და საეჭვოა, ახლო მომავალში შევძლოთ რაიმე სხვა გრძნობები ვიქონიოთ რუსეთის მიმართ, გარდა შიშისა და ძრწოლისა. აღა-მაჰმად-ხანის აჩრდილი დაიბინდა ალი-ხანის სისასტიკეთა წინაშე და ამ უკანასკნელმა, ქართველი ხალხის თვალში, პირველის რეაბილიტაცია მოახდინა.

დიახ, რუსული თვითმპყრობელური ბიუროკრატიის ამიერკავკასიის ფილიალი იქადდა, რომ დაიპყრობდა საქართველოს, რათა ყოველგვარი ნიშანწყალი მოესპო ნებაყოფლობითი მორჩილებისა და მან სავსებით მიაღწია ამას. მაგრამ იგი უსინდისოდ და მზაკვრულად მოიქცა — მიპარვით და ანაზდეულად მოიხელთა ხალხი, რომელმაც თავისი ბედი იმ სახელმწიფოს მიანდო, რომლის წარმომადგენლადაც ეს ბიუროკრატია გვევლინება, მოიხელთა ხალხი, რომელსაც რუსეთისათვის წინააღმდეგობის გაწევა არასდროს აზრადაც არ მოსვლია და რომელიც, პირიქით, დამწუხრებული იყო რუსეთის არმიის „სასიქადულო მოსკოვური“ გამარჯვებებით და მთელი გულით თანაუგრძნობდა რუს ხალხს.

რუსულმა ბიუროკრატიამ მიაღწია მიზანს: რუსეთისადმი ძმურად განწყობილი ხალხის ნაცვლად, ამიერიდან, ჩვენი სახით, თქვენ მორჩილი მონები გყავთ, რომელთაც მთელი ძალით სძულთ თავისი მჩაგვრელები — ეს ვითომდა „მფარველები“ ჩვენი. ნაყოფი ასწლოვანი კულტურისა, შექმნილი რუსული განაწამები გონებისა და ტანჯული რუსი ინტელიგენციის მიერ, რომლის წმინდა და უმნიკვლო აზრები და მისწრაფებები ჩვენამდე კონტრაბანდით აღწევდა, რამდენსამე დღეში იქნა მოსპობილი გრაფი ვორონცოვის მიერ მოვლინებული ალი-ხანის ველურ ურდოთაგან.

არ გვიშველის ჩვენ, რა უშველის ჩვენს ტანჯულ სამშობლოს, ჩვენს განაწამებ სულს, რამ შეგვიხორცოს თქვენს მიერ მოყენებული სასიკვდილო ჭრილობები? მარტოოდენ შურისძიებას ძალუძს დააკმაყოფილოს ჩვენი შეურაცხყოფილი გრძნობები სიყვარულისა და ნდობისა, რომლითაც ჩვენ მუდამ ვიყავით განმსჭვალულნი რუსი ხალხის მიმართ, — მარტოოდენ შეუბრალებელ შურისძიებას მათზე, რომელთაც თავიანთი ქმედებით ჩირქი მოსცხეს რუსულ კულტურას საქართველოში, ჩირქი მოსცხეს რუსულ არმიას, რუს ხალხს, მათზე, ვინც საძულველად გვიქცია რუსის ძმური სახელი!

ჩადენილ ბოროტმოქმედებაში დამნაშავეთა ამ სამართლიან, შეუბრალებელ დასჯას ჩვენ მთელი რუსი ხალხისაგან მოვითხოვთ; ამას, რუსო ადამიანებო, თქვენგან მოითხოვს მოვალეობა პატიოსნებისა, კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობისა. რასაკვირველია, თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ შიშსა და ძრწოლაში გვამყოფოთ, მაგრამ ეს არამყარი ბალავარია „რუსული საქმისათვის“ ჩვენში. გეშინოდეთ დამონებული ხალხისა, „მკვდრების გეშინოდეთ“, როგორც ამბობს ჩვენი თანამემამულე, გენიალურად წარმოსახული ზეინაბის ბაგით („ღალატი“ იუჟინისა), რომელიც საქართველოს მთელი ისტორიული ბედისწერის განმასახიერებელია. გეშინოდეთ ცხოვრების ლოგიკისა, გეშინოდეთ, რომ სამართლიანობისა და ადამიანურობის გაქელვისათვის დაგიდგებათ დღენი, ოდეს სამაგიერო მოგეზღვევათ, — უარესი დღენი, ვიდრე მანჯურიის ველებსა და წყნარი ოკეანის ტალღებს უნახავთ.

მასალა მოგვაწოდა: პროფესორმა ლადო მინაშვილმა

რუსეთის პრეზიდენტების ფსიქოლოგიური პორტრეტი

დღეს საერთაშორისო არენაზე ბევრს საუბრობენ იმის თაობაზე, რომ რუსეთის თანამედროვე პოლიტიკა შეიძლება სერიოზულ პრობლემად იქცეს მსოფლიოს საზოგადოებისათვის. ამგვარი აზრი განსაკუთრებით გაძლიერდა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, როცა ცივილიზებულმა სამყარომ დაინახა, თუ რაოდენ სახიფათო შეიძლება იყოს რუსეთი და, შედეგად, ერთხმად დაგმო მისი აგრესია საქართველოს მიმართ. ფსიქოლოგებსა და ფსიქოანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ რუსეთის ბოლო ორი პრეზიდენტის ამბიციებს სწორედ მათი ფსიქოლოგიური თავისებურებების მნიშვნელოვანი დეტალები განსაზღვრავს, რასაც ისინი ყურადღებით აკვირდებიან და სწავლობენ.

თამარ დადიანი

რუსეთის პრეზიდენტების ფსიქოლოგიური პორტრეტის „დახატვაზე“ მუშაობს თსუ-ის პროფესორი, ფსიქოლოგი **შალვა აბზიანიძე**, რომელმაც ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი ხედვა გაგვიზიარა:

— პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში არსებობს მრავალი განსხვავებული მიდგომა მაღალი რანგის პოლიტიკური მოღვაწეების და, პირველ რიგში, პრეზიდენტების პიროვნული თავისებურებების შესასწავლად. განსხვავებულ ფსიქოლოგიურ თეორიებზე დაყრდნობით იქმნება მათი „პოლიტიკური პორტრეტები“ და „პიროვნული პროფილები“... რა თქმა უნდა, გამონაკლისს არც რუსეთის პრეზიდენტები – ვლადიმერ პუტინი და დიმიტრი მედვედევი წარმოადგენენ და ეს განპირობებულია არა მხოლოდ მათი პოლიტიკური ამბიციებითა და ქმედებებით, არამედ მათ შორის არსებული, ჯერაც აუხსნელი ურთიერთობებითაც.

რუსეთის პრეზიდენტების — ვლადიმერ პუტინისა და ალექსანდრე მედვედევის **შეფასებისას** ფსიქოანალიტიკური მიდგომები უფრო გამოგვადგება, ვინაიდან **ისინი, თავიანთი მოქმედებებით,** პიროვნების ისეთ თავისებურებებს უსვამენ ხაზს, რაც ფსიქოანალიზის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს. მაგალითად სიმაღლე, რაც, თავისთავად, ძალაუფლების სიმბოლოა. მაღალი ადამიანი უფრო ძალაუფლების მქონედ „განიცდება“, ვიდრე დაბალი, **რადგან იგი უფრო იქცევს ყურადღებას,** მას უფრო უსმენენ და ა.შ. როგორც ეტყობა, რუსეთის ორივე პრეზიდენტს აწუხებს სიმაღლის პრობლემა, რის დასამალადაც ისინი სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ: იცვამენ მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს (რომლის ქუსლიც გარედან **ნორმალური ჩანს, მაგრამ მაღალი** ქუსლი ფეხსაცმლის შიგნით არის დამალული), საჯარო გამოსვლისას იყენებენ დახურულ ტრიბუნებს, ითხოვენ სპეციალურად გაწვრთნილი პირადი ფოტოგრაფებისა და ოპერატორების მომსახურებას (რომლებიც მათ ისეთ რაკურსში აფიქსირებენ, რომ მოსაუბრეზე დაბალი არ გამოჩნდნენ) და ა.შ. სიმაღლის გარდა სხვა მნიშვნელოვანი ბიოგრაფიული ცნობები (რაც ხშირად გულმოდგინედ იმალება და ყალბდება) მიუთითებენ იმაზე, რომ მათ გააჩნიათ არასრულფასოვნების კომპლექსი, რომლის დასაძლევადაც ისინი იყენებენ ე.წ. კომპენსაციის და ზეკომპენსაციის მექანიზმებს. მაგალითად, ისინი მიმართავენ ისეთ ქცევებს, რაც ხალხის თვალში საწინააღმდეგო ეფექტს იწვევს: მოჰყავთ განსაკუთრებულად გამორჩეული ცოლები (ჩვეულებრივ მეორედ), ნადირობენ საშიშ ცხოველებზე, ახდენენ საკუთარი ძალების ან შესაძლებლობების დემონსტრირებას, იქცევიან როგორც „ნამდვილი მამაკაცები“, „მაჩოები“, „მაგარი ბიჭები“ და ა.შ. ამის ფონზე ისინი ისახავენ ზეადამიანურ და ისტორიული მნიშვნელობის მქონე ძნელად მისაღწევ მიზნებს (მაგალითად იმპერიის აღდგენა). ხშირად კომპენსაციის და **ზეკომპენსაციის ეს საშუალებები** გამოიყენება „კომპლექსურად“, რაც პოლიტიკოსის პოპულარობისა და რეიტინგის აწევის საფუძველი ხდება.

რუსეთის პრეზიდენტები — დიმიტრი მედვედევი და ვლადიმერ პუტინი თვითონვე იპყრობენ საზოგადოების ყურადღებას თავისივე ქცევებით. ისინი სხვადასხვა გზით ცდილობენ — დამალონ საკუთარი არასრულფასოვნების კომპლექსები რაღაცის კომპენსაციის ხარჯზე. მაგალითად, როდესაც **მედვედევი საზოგადოების** წინაშე სიტყვით გამოდის, მისთვის განკუთვნილ — სპეციალურად ამაღლებულ ადგილზე დგება, იცვამს უჩვეულოდ მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს... იგი ფოტორეპორტიორებმა, ბარაკ ობამასთან შეხვედრის დროს, განსაკუთრებული რაკურსით დააფიქსირეს. არნოლდ **შვარცნეგერთან მისი შეხვედრის ამსახველი** ფოტოები კი საერთოდ კურიოზული იყო, ვინაიდან მედვედევი მათზე გვარიანად მაღალი ჩანდა, რამაც ჟურნალისტურ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის – ვლადიმერ პუტინის აგრესიულობაც არასრულფასოვნების კომპლექსის შედეგია, თუმცა პუტინმა, მთელი მოღვაწეობის მანძილზე, ნაწილობრივ, მოახერხა ამ კომპლექსების დაძლევა. მისი სიძულვილი და აგრესიულობა ქართველების მიმართ ქართველი **„მამინაცვლის“ საქციელი**თაც შეიძლება იყოს ინსპირირებული (პატარა პუტინი ბავშვთა სახლში იზრდებოდა). საერთოდ ბავშვთა სახლის თემა თვით არის არასრულფასოვნების განცდის საფუძველი და სწორედ ამით აიხსნება, რომ **პუტინის ოფიციალური** ბიოგრაფიის ადრეული ბავშვობის პერიოდი საიდუმლოებით არის მოცული. ვლადიმერ პუტინმა თავისი არასასურველი სიმაღლე და ბიოგრაფიის ტრავმული **მომენტები ძალის** დემონსტრირებით ჩაანაცვლა. გავრცელებულია ფოტოები, სადაც წელს ზემოთ შიშველი **პუტინი** კუნთების დემონსტრირებას ახდენს, ასევე სურათი, სადაც იგი ბატერფლაით ცურავს. მას ბევრი ფოტო აქვს გადაღებული თავის **ნანადირევ** ცხოველებთან, სამხედრო ტექნიკასთან, რითაც ხაზს უსვამს ისევ და ისევ საკუთარ სიმამაცეს. პუტინს ეტყობა, რომ ქალებთან ურთიერთობის საკითხშიც პრობლემა ჰქონდა, რადგან დღეს უკვე ხმამაღლა საუბრობენ მის რომანზე რუს ლამაზმან ალინა კაბაევასთან. იმ სახელმწიფოში, სადაც პრეზიდენტზე ყველაფერს ვერ იტყვი, დღეს, რატომღაც ხაზგასმით საუბრობენ მის რომანზე — ამით პუტინი თავის „მამაკაცურ მომხიბვლელობას“ აფიქსირებს. და აი, შედეგიც: რუსმა სტუდენტმა გოგოებმა მას კალენდარი მიუძღვნეს, რომელზეც ნაჩვენებია, ნახევრად შიშველი „შეყვარებული წყვილი“ როგორ პოზიორობს. თქვენ რომ მისი ადრინდელი ფოტოები ნახოთ (როცა იგი **სობჩაკის** თანაშემწედ მუშაობდა) და ახლანდელს შეადაროთ, აუცილებლად დაინახავთ დიდ ხასიათობრივ განსხვავებას. ახალგაზრდობის ფოტოებზე უსუსური, საკუთარ თავში ნაკლებად დარწმუნებული პიროვნება ჩანს, ცოტა მზაკვრული და ცბიერი გამოხედვით. **ხოლო ახლანდელი** ფოტოებიდან უკვე ძლიერი, თავდაჯერებული და კმაყოფილი ადამიანი იყურება. ასე რომ, პუტინმა თავისი კომპლექსების მეტნაკლებად დაძლევა შეძლო.

მედვედევსა **და პუტინს შორის ამ საკითხთან** დაკავშირებით დიდი და პრინციპული სხვაობაა. რუსეთის ექსპრეზიდენტი პუტინი თავის პრობლემებს ჩუმად, **არატრანსპარენტულად** აგვარებს. იგი აფიშირებას უკეთებს შედეგს, მაგრამ არ აჩვენებს შედეგების მიღწევის გზებს. რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის მედვედევის პოლიტიკური ცხოვრების სტილი კი პუტინის სტილის საწინააღმდეგოა. იგი ვერ იქნება ჩუმად! რომ გაჩუმდეს, **პუტინის ჩრდილში აღმოჩნდება... მედვედევს აკომპლექსებს** არა მარტო საკუთარი სიმაღლე და სხვა თვისებები, არამედ თავად **პუტინიც. ამიტომ** მან საკუთარი **პიარის საკეთებლად რუსული** ტრადიციული თემა – ძალა-უფლება კი არ აირჩია, რომელიც ძალის დემონსტრირებაში გამოიხატება, არამედ ჭკვიანი პოლიტიკოსის იმიჯი. ამით მან ხაზი გაუსვა თავის ინტელიგენტურ წარმომავლობასა და განათლებასაც, რაც, ჩემი აზრით, ცოტა სადავო საკითხია. მედვედევი რუსული საზოგადოებისათვის უფრო ღია ხდება, ამით კი მის რეფორმატორობას ესმება ხაზი. იგი მსოფლიო საზოგადეობის თვალშიც რეფორმატორის იმიჯის დამკვიდრებას ცდილობს. თუ რუსეთის **პრემიერ-მინისტრი პუტინი ლაპარაკობს, რომ ქვეყანაში ყველაფერი** კარგად არის, მედვედევი თვლის, რომ ეს ასე არ გახლავთ და რომ საჭიროა ძირეული რეფორმების გატარება. ასე რომ, მედვედევი რეფორმატორის იმიჯის დამკვიდრებით ცდილობს დაუპირისპირდეს პუტინს, რომელსაც **„კრუტოი პარენის“ იარლიყი კარგად აქვს შეფერებული** — რუსეთში ასეთი იმიჯის მქონე ლიდერის **დამარცხება კი არც ისე იოლია. ამიტომ** მედვედევი პუტინს თავისი ინტელექტის გაპიარებით უნდა დაუპირისპირდეს, მაგრამ რუსულ საზოგადოებაში ეს იმიჯი ნაკლებად მუშაობს. იქ ძალა ფასობს და არა ინტელექტი. ამიტომ ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ძალის დემონსტრირებაზეც უნდა იზრუნოს... მოსკოვის მერის ლუჟკოვის მოულოდნელი განთავისუფლება თანამდებობიდან ამ ძალის დემონსტრირების საუკეთესო მაგალითი გახდა — ამ ნაბიჯით მან, ამავე დროს, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი კორუფციასთან შეურიგებელ ბრძოლასა და თავის რეფორმატორულ ხასიათს.

რუსეთის ამ ორივე პრეზიდენტს თითქმის ერთნაირი კომპლექსები აწუხებს, მაგრამ ორივეს მათი დაფარვის გზები აქვს სხვადასხვა. რუსულ პოლიტიკაში ყოველთვის ცბიერი იმარჯვებდა. ცბიერება რუსულ კულტურაში ძალიან ხაზგასმულია, მით უფრო ახლა, როცა სტალინის იმიჯი დღემდე მუშაობს. მაგარი პოლიტიკოსია ის, ვინც ყველას მოატყუებს — თავის დროზე რუსეთში შევარდნაძეც ამით ფასობდა... გახსოვთ, ალბათ, „თეთრი მელა“... პოლიტიკაში დღეს ცბიერება აღიქმება ჭკუად, ჭკუა აღიქმება ძალად, ძალა კი ხელისუფლების საფუძვლად. ეს ყველაფერი კი იმ დოზით, როგორც ეს დღევანდელ რუსულ პოლიტიკაშია, ძალიან შორსაა დემოკრატიისა და თანამედროვე დასავლური პოლიტიკური იდეალებისაგან.

აშშ-ს პრეზიდენტის პოლიტიკისადმი „ნდობის რეფერენდუმი“ 2 ნოემბერს გაიმართება

თამარ დადიანი

27 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მთავარი მრჩეველი საქართველოს საკითხებში კრისტიან მური ეწვია. ამერიკის საელჩოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საელჩოს პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მრჩეველმა ერიკ ჰოლმგრენმა და უინტერბერგის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯორჯ ჰადსონმა. მომხსენებლებმა წაიკითხეს საჯარო ლექცია თემაზე: „შუალედური არჩევნები ამერიკის შეერთებულ შტატებში“.

„ამერიკის შეერთებულ შტატებში უახლოეს პერიოდში გაიმართება შუალედური არჩევნები, რომელიც განსაკუთრებული მოვლენაა ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში“, — ამ აქცენტით ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის თავმჯდომარემ ვასილ კაჭარავამ ხაზი გაუსვა ამერიკისთვის ამ არჩევნების მნიშვნელობას.

2010 წლის 2 ნოემბერს დაგეგმილ შუალედურ არჩევნებში წარმომადგენლობითი პალატის 435 წევრსა და 37 სენატორს აირჩევენ. ამერიკაში შუალედური არჩევნების შედეგად შეიცვლება წარმომადგენელთა პალატის შემადგენლობა და სენატის მესამედი. ამჟამად ამერიკის პარლამენტის ორივე პალატაში უმრავლესობას დემოკრატიული პარტია ფლობს, თუმცა საზოგადოებრივი აზრის ბოლო გამოკითხვის თანახმად მომავალ არჩევნებში რესპუბლიკელთა წარმატებას ვარაუდობენ. ამ არჩევნებს ანალიტიკოსები პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და მისი პოლიტიკის მიმართ ნდობის რეფერენდუმს უწოდებენ.

მომხსენებლებმა საკუთარი შეხედულებები გამოთქვეს შუალედური არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ორგანიზაციულ მხარეზე, სარეკლამო კამპანიასა და დაფინანსების წყაროებზე, საზოგადოების როლსა და არჩევნების გამჭვირვალეობის მნიშვნელობაზე.

საჯარო ლექციის დამთავრების შემდეგ გაიმართა დისკუსია, სადაც სტუმრები ქართველ ექსპერტებთან ერთად შუალედური არჩევნების თავისებურებებსა და სპეციფიკაზე საუბრობდნენ. შეხვედრის ბოლოს ამერიკელმა პოლიტოლოგებმა მადლობა გადაუხადეს თსუ-ის ადმინისტრაციასა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციას საინტერესო შეხვედრისთვის და იმედი გამოთქვეს, რომ ორივე მხარისათვის აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე მსგავსი ღონისძიებები მომავალშიც გაიმართება.

გერმანიის „საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდია“ — ტრამპლინი ახალგაზრდებისთვის

ნატო ოგოლაძე

15 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გერმანიის ბუნდესტაგის დელეგაცია ეწვია. დელეგაციის წევრები თსუ-ისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების IV კურსის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შეხვდნენ. უცხოელმა სტუმრებმა ახალგაზრდებს გერმანიის ბუნდესტაგის პროგრამის „საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის“ პირობები გააცნეს და მოკლემეტრაჟიანი ფილმი აჩვენეს, რომელიც სტიპენდიის მფლობელთა სამუშაო პროცესს ასახავდა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის პროგრამის მომდევნო ეტაპი 2011 წლის მარტში დაიწყება. „საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის“ მისაღებად შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატებს ბაკალავრიატის დამთავრების დამადასტურებელი დიპლომი და გერმანული ენის ცოდნა სჭირდებათ. კონკურსანტების დარეგისტრირება საქართველოში გერმანიის საელჩოში დეკემბრიდან დაიწება. სტიპენდიის მფლობელებს სპეციალური კომისია გამოავლენს, შეირჩევა 5 აპლიკანტი, რომელიც 2011 წლის ივნისიდან მომდევნო 5 თვის განმავლობაში ბერლინში, გერმანიის ბუნდესტაგში პრაქტიკულ სასწავლო კურსს გაივლის.

„ამ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია გერმანული ენის ცოდნა. სტიპენდიატები გერმანიაში ყოფნის პერიოდში სასტუმროში იცხოვრებენ და სტიპენდიის სახით თვეში 450 ევროს მიიღებენ. დაინტერესების შემთხვევაში მათ ექნებათ საშუალება — იარონ ლექციებზე ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში და მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკური ფონდების მიერ გამართულ ტრენინგებში. რაც მთავარია, ისინი გაიცნობენ გერმანიის ბუნდესტაგის სამუშაო პროცესს“, — განაცხადა გერმანიის ბუნდესტაგის ჯანდაცვის კომიტეტის წევრმა შტეფენ-კლაუდიო ლემემ.

გერმანიის ბუნდესტაგის „საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის“ ფარგლებში, ყოველ წელს, მსოფლიოს 28 ქვეყნიდან 120 სტიპენდიატს აქვს საშუალება — გაეცნოს გერმანიის საპარლამენტო სისტემას. პროგრამის მიზანია მასში ჩართული ახალგაზრდებისთვის უფრო თვალსაჩინო გახადოს პოლიტიკური ცხოვრება და დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამის ყოფილმა სტიპენდიატებმა ჩამოაყალიბეს სპეციალური კავშირი, რომლის მიზანი კულტურათა შორის დიალოგის შენარჩუნება და საერთაშორისო ქსელის შექმნაა. გერმანიის ბუნდესტაგის დელეგაციის ვიზიტს თსუ-ში „საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის“ პროგრამის ყოფილი მონაწილე თორნიკე დარჯანიაც ესწრებოდა.

„პროგრამა მრავალფეროვანია და ბევრ სასარგებლო ასპექტს მოიცავს: მე, როგორც იურისტი, პირადად ვესწრებოდი ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩატარებულ ლექციებს, გერმანიის პარლამენტში ვისწავლეთ ბიუროში მუშაობა, თუ როგორ ხდება სამუშაო წერილების შედგენა და პასუხების დაწერა, სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის მომზადება, ინფორმაციის მოპოვება და ა.შ. ამ პროგრამაში მონაწილეობა პიროვნული თვალსაზრისით და პროფესიული კუთხით ძალიან ბევრს გაძლევს — ეს არის ტრამპლინი მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად“, — გვითხრა თორნიკე დარჯანიამ.

„საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის“ პროგრამას გერმანიის პარლამენტის თავმჯდომარე ნორბერტ ლამერტი უწევს პატრონაჟს. პროგრამა ბერლინის სამ უნივერსიტეტთან ერთად ხორციელდება და გათვლილია მაღალი კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდებზე, რომლებსაც სურთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკუთარი ქვეყნის დემოკრატიის განვითარების პროცესში. გერმანიის ბუნდესტაგი თავად აფინანსებს სტიპენდიატების მგზავრობის, ბინის, დაზღვევისა და სტიპენდიის ხარჯებს.

ვიზიტის ფარგლებში გერმანიის საპარლამენტო დელეგაცია საქართველოს პარლამენტის წევრებს და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს გიორგი წერეთელსაც შეხვდა.

კაიროს უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი განახლებას მოითხოვს

22 ოქტომბერს თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტმა ეგვიპტის ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის ორგანიზებულ სასწავლო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად კონკურსის შედეგები გამოაცხადა. კონკურსში მონაწილეობა 11 სტუდენტმა და 6 პროფესორმა მიიღო, აქედან 6 სტუდენტმა და 6 პროფესორმა გაიმარჯვა. ისინი ეგვიპტის ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად ეგვიპტეში გაემგზავრებიან.

თამარ დადიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ეგვიპტის სამეცნიერო და სასწავლო წრეებთან ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე გვესაუბრა თსუ-ის არაბისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ДАРЕ-ЖАН ГАРДАВАДЗЕ**:

— არაბისტიკა ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ტრადიციული დარგია, რომლის განვითარება საქართველოში მჭიდროდაა დაკავშირებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. არაბული ენა თსუ-ში ისწავლება დღიდან მისი დაარსებისა (1918 წლიდან მას აკაკი შანიძე კითხულობდა), ხოლო 1945 წელს ცნობილი ქართველი არაბისტის, აკადემიკოს გიორგი წერეთლის ინიციატივით თსუ-ში გაიხსნა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, სადაც წამყვანი დარგი არაბისტიკა იყო (ირანისტიკისა და თურქოლოგიის გვერდით).

არაბისტი სტუდენტები, ყოფილი საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში, ყოველთვის უზრუნველყოფილნი იყვნენ სხვადასხვა არაბულ ქვეყანაში სტაჟირების გავლის თვალსაზრისით, ამიტომაც აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე არაბული ენის ჯგუფში მოხვედრა პრესტიჟული გახლდათ. ყველაზე მაღალი კონკურსებიც, წლების მანძილზე, სწორედ არაბისტიკის პროფილის პროგრამებზე იყო.

ეგვიპტეში, კაიროში საქართველოს საელჩოს გახსნის (1998 წ.) შემდეგ, ეგვიპტურ მხარესთან დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტენსიური სასწავლო-სამეცნიერო თანამშრომლობა სხვადასხვა ტიპის პროგრამების მეშვეობით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კაიროს უნივერსიტეტს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებში 1999 წლიდან დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაბისტი სტუდენტებისა და პროფესურის მოკლევადიანი სტაჟირებები კაიროს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაბული ენის ცენტრში. ეს გაცვლითი პროგრამა რეგულარულ ხასიათს ატარებს და, ყოველწლიურად, კაიროში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 6-7 სტუდენტი მიემგზავრება. ეგვიპტის ტექნიკური თანამშრომლობის ფონდი ზრუნავს არაბისტიკის მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ტექნიკურ უზრუნველყოფასა და არაბულენოვანი წიგნადი ფონდით (სახელმძღვანელოებითა და სამეცნიერო-პერიოდული გამოცემებით) მათ აღჭურვაზე.

ეგვიპტის ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის ორგანიზებულ სასწავლო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად გამართულ კონკურსს, გასულ წლებში, არაბისტიკის დეპარტამენტი უზრუნველყოფდა. წელს, მაგალითად, კონკურსი თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის ორგანიზებითა და არაბისტიკის დეპარტამენტის პროფესურის მონაწილეობით ჩატარდა. შედეგად, შეირჩნენ ისეთი სტუდენტები, რომლებიც ღირსეულად წარმოაჩენენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახეს.

რაც შეეხება პროფესორ-მასწავლებელთა გაცლით პროგრამებში მონაწილეობის მიღებას, ასეთი ღონისძიებები ყოველწლიურად არ იგეგმება. ეგვიპტეში პროფესურის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების გავლა დამდეგი წლის იანვარშია მოსალოდნელი. ეს კურსები იმითაც იქნება გამორჩეული, რომ მას ქართველი პედაგოგები კაიროს ამერიკული უნივერსიტეტის დაქვემდებარებულ ცენტრში გაივლიან. სწორედ ეს ფაქტორი ზრდის ჩვენს ინტერესსა და მოტივაციას ამ კურსებში მონაწილეობის მისაღებად. ყველასათვის ცნობილია, რომ ამერიკული უნივერსიტეტების ქსელი არაბულ ქვეყნებში მეტად პრესტიჟულ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებადაა მიჩნეული, აქვთ უმდიდრესი ბიბლიოთეკები როგორც არაბულ, ისე ევროპულენოვანი წიგნადი ფონდით. იქ გავლილი ტრენინგი ნამდვილად დიდი შენაძენი იქნება ქართველი პროფესურისთვის.

ეგვიპტეს უკავშირდება, ასევე, თსუ-ის არაბისტი სტუდენტებისთვის ერთწლიანი სასწავლო პროგრამაც. 10 წელზე მეტია, რაც ეგვიპტის განათლების სამინისტრო ყოველწლიურად გამოყოფს რამდენიმე სტიპენდიას ქართველი სტუდენტებისთვის კაიროს უნივერსიტეტის არაბული ენის ცენტრში სასწავლებლად. ამ სტიპენდიით, ამჟამად, კაიროში 5 ჩვენი სტუდენტი იმყოფება.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კაიროს უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი განახლებას მოითხოვს, რაზეც ამჟამად ზრუნავს საქართველოს საელჩო ეგვიპტეში და პირადად ელჩი, ბატონი გოჩა ჯაფარიძე, რომელიც დიპლომატიურ სამსახურში სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორის თანამდებობიდან წავიდა.

იმედს გამოვთქვამთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან ეგვიპტის სამეცნიერო და სასწავლო წრეებთან კონტაქტები, სამომავლოდ, კიდევ უფრო ინტენსიურ ხასიათს მიიღებს და ბევრად მეტ სფეროს მოიცავს.

„საბავშვო უნივერსიტეტი" მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭის მქონეთ როდი ეპატიჟება

*„აღმოაჩინე ცოდნის სამყარო შენში" — ამ სიტყვებით მიმართა **თსუ-ის ჰუმანიტარულ** მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ 16 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეკრებილ სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც „საბავშვო უნივერსიტეტის" ახალი სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნად გამართულ ღია კარის დღეს დაესწრნენ. ტრადიციულად, მათ **თსუ-ის ადმინისტრაციისა** და ფაკულტეტების წარმომადგენლები შეხვდნენ და „საბავშვო უნივერსიტეტის" ფარგლებში დაგეგმილი ლექციათა კურსი გააცნეს.*

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

სკოლის მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ჩომახიძემ, თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მრჩეველმა მარინე ლომოურმა და თსუ-ის ფაკულტეტების დეკანებმა. თითოეულმა ფაკულტეტმა საინტერესო სალექციო კურსი წარადგინა. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, პროექტის ფარგლებში მოსწავლეები მათთვის გასაგებ და პოპულარულ ენაზე მოისმენენ თსუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა ლექციებს ფიზიკის, ქიმიის, ისტორიის, გეოგრაფიის, მათემატიკის, ეკონომიკის, მედიცინის თუ სხვა მეცნიერებების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ „საბავშვო უნივერსიტეტში" სწავლა საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეს შეუძლია, ანუ დასწრება თავისუფალია, სწავლა კი უფასო.

რექტორის მრჩევლის მარინე ლომოურის ინფორმაციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყველანაირ პირობებს უქმნის სკოლის მოსწავლეებს — ეზიარონ მეცნიერებათა საფუძვლებს, მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ დაგეგმილ ყველა საინტერესო ექსპერიმენტში, დაესწრონ მათთვის საინტერესო ლექციებს, აწარმოონ საველე სამუშაოები არქეოლოგიურ ექსპედიციებში და კვალიფიციური სპეციალისტებისაგან მიიღონ ინფორმაცია საინტერესო კითხვებზე.

„გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს „საბავშვო უნივერსიტეტში" მხოლოდ ნიჭიერ და მაღალი აკადემიური მაჩვენებლის მქონე ბავშვებს იღებენ. გვინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. უნივერსიტეტი ელის ყველას, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვს! „საბავშვო უნივერსიტეტის კარი ყველა მსურველისთვის ღიაა", — ასე მიმართა ღია კარის დღეზე მოწვეულ ბავშვებს ქალბატონმა მარინა ლომოურმა.

ღონისძიებაზე „საბავშვო უნივერსიტეტის" მსმენელებს „ტაოპრივატბანკმა" სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

შეხვედრის შემდეგ ფიზიკით და ქიმიით დაინტერესებულ მოსწავლეებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა თსუ-ის ლაბორატორიებში საინტერესო ცდები უჩვენეს. ამ კუთხით ფაკულტეტის აქტიურობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებით ბავშვების დაინტერესება სკოლის მერხიდან უნდა დაიწყოს, თუ გვინდა, რომ ამ მიმართულების სპეციალისტები ქვეყანას ჰყავდეს.

თსუ-ის სტუდენტები ათასწლეულის განვითარების მიზნების ახალგაზრდულ სამიტზე წარსდგებიან

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

22 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე: „ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში (MDG) და ახალგაზრდობის როლი". ლექცია სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ქსელისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში გაიმართა. პროექტის მიზანი ახალგაზრდებისთვის ათასწლეულის განვითარების მიზნების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა. პროექტის ფარგლებში, ასევე, იგეგმება გაეროს „ათასწლეულის განვითარების მიზნები"-ს ახალგაზრდული ხედვის ჩამოყალიბება.

ლექცია სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ქსელის წევრმა ქეთევან ღუდუშაურმა წაიკითხა. მან სტუდენტებს წინასწარ დამუშავებული მასალები გააცნო. ლექციის შემდეგ სტუდენტებთან შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

„ახალგაზრდებს მივეცით შესაძლებლობა, რომ წარმოეჩინათ საკუთარი თავი და ცოდნა, ეაქტიურათ და ჩვენთვის საინტერესო კითხვები დაესვათ. სწორედ ამ გზით გავიგეთ, თუ რამდენად კარგად გაიაზრეს სტუდენტებმა ლექციის ძირითადი არსი. შედეგად, ჩვენ გამოვავლინეთ სამი საუკეთესო ახალგაზრდა: დემეტრე მოდებაძე, ანა აკოფაშვილი და თამუნა ბერიძე. ისინი 17 ნოემბერს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" დაგეგმილ ათასწლეულის განვითარების მიზნების შემაჯამებელ ახალგაზრდულ სამიტზე დამსწრის სტატუსით მიიღებენ მონაწილეობას", — განაცხადა სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ქსელის თავმჯდომარემ შმაგი ჩოხელმა. სამიტზე საქართველოში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების ლიდერები მიიღებენ მონაწილეობას, რის შედეგადაც ათასწლეულის განვითარების მიზნებთან დაკავშირებით ახალგაზრდული ხედვა და რეკომენდაციები შემუშავდება. დოკუმენტი როგორც გაეროს, ასევე, საქართველოს მთავრობას და პარლამენტს გადაეგზავნება.

სამოქალაქოგანვითარებისსაერთაშორისო ქსელისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთობლივი პროექტი 19 ოქტომბერს აგრარულ უნივერსიტეტში გაიხსნა. ეტაპობრივად ლექციების ჩატარება თბილისის 7 უმაღლეს სასწავლებელში და ასევე, რუსთავის, გორისა და ქუთაისის უნივერსიტეტებში იგეგმება. თითოეული უმაღლესი სასწავლებლიდან სამ-სამი სტუდენტი შეირჩევა, რომლებიც ათასწლეულის განვითარების შემაჯამებელ ახალგაზრდულ სამიტში მიიღებენ მონაწილეობას. სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ქსელის თავმჯდომარე შმაგი ჩოხელი, პროექტის შედეგად, ახალგაზრდული დელეგაციის შექმნას გეგმავს, რომელიც MDG-ის მსოფლიო ახალგაზრდულ კონგრესებში მიიღებს მონაწილეობას.

გაეროს ათასწლეულის განვითარების მიზნების შესახებ მისი წევრი სახელმწიფოები 2000 წელს შეთანხმდნენ. სულ არის 8 მიზანი, რომელსაც ამ ქვეყნებმა 2015 წლამდე უნდა მიაღწიონ: 1) უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა; 2) დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა მთელს მსოფლიოში; 3) გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებამოსილებების გაზრდა; 4) ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება; 5) დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება; 6) შიდსთან, მალარიასა და სხვა დაავადებებთან ბრძოლა; 7) ეკოლოგიური მდგრადობის ურზუნველყოფა; 8) მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბება განვითარებისათვის.

ვინ უერთდება „ივერიელთა ერთობის ტრაქტატს"

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 15 700 სტუდენტმა უკვე მოაწერა ხელი „ივერიელთა ერთობის ტრაქტატს", რომელიც სრულიად საქართველოს კათოლოკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა კურთხევით გამოიცა. აღნიშნული დოკუმენტი 1790 წლის „ივერიელთა ერთობის ტრაქტატის" მსგავსად შეიქმნა და მასზე ხელის მოწერა საქართველოს ყველა მოქალაქეს შეუძლია. პროექტი ჯერ არ დასრულებულა. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ხელის მოწერის პროცესი თბილისის 11 უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარეობს.

„აღნიშნულ ტრაქტატში მითითებულია, თუ რა არის ქართველი ერის ძირითადი მიზანი და რას მოუწოდებს პატრიარქი ქართველებს. სტუდენტების დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი მეტად დადებითი გახლავთ. ჩვენ თსუ-ის კორპუსების ყველა შესასვლელში დავდგით მერხები, სადაც სტუდენტური თვითმმართველობის წევრები კორპუსში შემოსულ ყველა სტუდენტს თუ პროფესორს ტრაქტატზე ხელის მოწერას სთავაზობდნენ. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანმა ამ პროექტში მონაწილეობის მიღების დიდი სურვილი გამოთქვა", — განაცხადა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა დაჩი გუბაძემ.

„კვლავაც განვამტკიცებთ ჩვენს საუკუნო ერთობას და ყოვლადძლიერი ღმერთის სახელით აღვუთქვამთ საქართველოს ერთგულებას, ერთმანეთს კი — მტკიცე თანადგომასა და სიყვარულს, გამოხატულს ჩვენს აზრსა და ქმედებაში, რათა თითოეულმა ჩვენგანმა, გმირი წინაპრების მსგავსად, დავიცვათ ჩვენი მინა-წყალი და ტრადიციები, ჩვენი თავისუფლება და ღირსება!" — აღნიშნულია „ივერიელთა ერთობის ტრაქტატში". ამ ფასეულობების გაზიარება და დამოწმება საქართველოს ყველა მოქალაქეს შეუძლია, მათ შორის, სკოლის მოსწავლეებსაც. აღსანიშნავია, რომ მას ხელი უკვე 45 000-მა მოსწავლემ მოაწერა. პროექტს თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად ორგანიზებას უწევს მამა გიორგი ყიფშიძე, რომელიც წმიდა ივლიტასა და კვირიკეს ტაძრის მოძღვარი გახლავთ.

მამა თეოდორე სტუმრად თსუ-ში

ერთი წელია, რაც ჯვართამაღლების სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი თეოდორე გიგნაძე საჯარო ლექციებს ატარებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ლექციები ჟურნალ „კარიბჭისა" და თსუ-ის საპატრიარქოსთან ურთიერთობის ცენტრის ორგანიზებით იმართება. მამა თეოდორეს ქადაგებები უნივერსიტეტში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ლექციაზე სტუდენტების რაოდენობა იზრდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოძღვრის სტუმრობა უნივერსიტეტში მნიშვნელოვანი და აუცილებელია. ლექციების ციკლი დოგმატურ ღვთისმეტყველებას ეხება. ლექციის შემდეგ ნებისმიერ დაინტერესებულ სტუდენტს შეუძლია მიიღოს კომპეტენტური და არგუმენტირებული პასუხი ამა თუ იმ რელიგიის თემაზე.

თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობასთან არსებული საპატრიარქოსთან ურთიერთობის ცენტრი ყოველთვის ატარებდა საჯარო ლექციებს, რომლებსაც სასულიერო პირები კითხულობდნენ, აღსანიშნავია, რომ მამა თეოდორეს ლექციებზე დამსწრე სტუდენტთა რაოდენობა ლექციიდან ლექციამდე იზრდება. ბევრმა სტუდენტმა ეკლესიური ცხოვრება სწორედ ამ ლექციების შემდეგ დაიწყო, ისინი დიდად ემადლიერებიან მამა თეოდორეს და თსუ-ის საპატრიარქოსთან ურთიერთობის ცენტრს", — აღნიშნა თსუ-ის საპატრიარქოსთან ურთიერთობის ცენტრის თავმჯდომარემ დავით რეკვავამ.

„მამა თეოდორეს ლექციები დიდ სულიერ განათლებას აძლევს სტუდენტ-ახალგაზრდობას. აღსანიშნავია, რომ იგი საუბრობს არა მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესიის დოგმებზე, არამედ ეკლესიის ისტორიაზე და თავის მოსაზრებას მეცნიერული არგუმენტებით ასაბუთებს, რითაც ადამიანში ღვთის რწმენას აძლიერებს. ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია დღევანდელი თაობისთვის ასეთი საუბრები", — აღნიშნა თსუ-ის საპატრიარქოსთან ურთიერთობის ცენტრის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნინო მჭედლიშვილმა.

მარინე შენგელია – თავისი საქმის ერთგული

უმძიმესი სენით გარდაიცვალა შესანიშნავი პედაგოგი, მეცნიერი, ორგანიზატორი, საზოგადო მოღვაწე, გამორჩეული პიროვნება, თავმდაბალი, სათნო და ყურადღებიანი ადამიანი – ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასისტენტ-პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის მიმართულების სასწავლო პროცესის მართვისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის ხელმძღვანელი მარინე გრიგოლის ასული შენგელია.

მარინე შენგელიამ შრომითი საქმიანობა სკოლის დამთავრებისთანავე ქ. თბილისის მე-60 საშუალო სკოლის ლაბორანტად დაიწყო. 1967-1972 წლებში იგი თსუ-ის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, ხოლო 1972-1975 წლებში თსუ-ის ბიოფიზიკის კათედრის ასპირანტი. 1975-1979 წლებში მარინე შენგელია მუშაობას იწყებს ამავე კათედრის ლაბორანტად. 1979-1986 წლებში იგი კანცეროგენეზის მოლეკულური მექანიზმების ს/კ პრობლემური ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელია, ხოლო 1986 წლიდან 1998 წლამდე ამავე ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. მარინე შენგელიამ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და 2000-2006 წლებში იგი თსუ-ის ბიოფიზიკის კათედრის დოცენტი გახდა.

მარინე შენგელია 1992 წლიდან მუშაობდა ჯერ ბიოლოგიის, შემდეგ კი ბიოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ. 2000 წლიდან იგი კვლავ ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეა, ხოლო 2005 წლიდან გარდაცვალებამდე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი და ბიოლოგიის მიმართულების სასწავლო პროცესის მართვისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის ხელმძღვანელი გახლდათ. მარინე შენგელიას უდიდესი წვლილი მიუძღვის ბიოლოგიის ფაკულტეტისა და შემდეგ ბიოლოგიის მიმართულების სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვაში.

ჩვენი მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება მარინე შენგელია – როგორც გამორჩეულად თავმდაბალი, ყურადღებიანი და ყოველთვის გაწონასწორებული პიროვნება. მისი მაგიდის გარშემო მუდამ ხალხმრავლობა იყო, რადგანაც ქალბატონმა მარინემ ზუსტად იცოდა უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესების ყველა ნიუანსი და ყოველთვის ამომწურავ პასუხს იძლეოდა.

მარინე შენგელია საოცარი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა და დასვენების დღეებშიც, შაბათ-კვირას, ხშირად იხილავდით თავის სამუშაო მაგიდასთან, როგორც თავისი საქმის ერთგულ ჯარისკაცს. უკურნებელი სენით შეპყრობილი, მძიმე ფიზიკური შეჭირვების მიუხედავად, ჩვეული ერთგულებით ემსახურებოდა საყვარელ საქმეს...

ყველასათვის საყვარელი ადამიანის, გამორჩეული პიროვნების მარინე შენგელიას გარდაცვალებამ დიდი სევდა და ტკივილი დაგვიტოვა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული...

გახსენება

ქართველ ლინგვისტთა შორის გამობრწყინებული

საერთაშორისო საენათმეცნიერო საზოგადოებას გამოაკლდა თანამედროვე ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების, ქართული კავკასიოლოგიური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ხალხების ერთიანობის სიმბოლო, მათი უსაყვარლესი შვილი და იმედი მიხეილ ქურდიანი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1998 წ.), პროფესორი (2000 წ.), საქართველოს საპატრიარქოს გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1995 წ.) და პრეზიდენტი (2007 წლიდან 2010 წლის გაზაფხულამდე); არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების გამგე; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი (2010 წლის გაზაფხულამდე), 2003 წლიდან სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი, მწერალთა კავშირის წევრი (1992 წლიდან).

მიხეილ ქურდიანის სამეცნიერო ინტერესების ძირითადი სფეროებია: ზოგადი ენათმეცნიერება, კომპარატივისტიკა, გრამატოლოგია, იბერიულ-კავკასიური ენები, ეთნოლინგვისტიკა, ლიტერატურის თეორია, ლექსთმცოდნეობა. სამეცნიერო შრომების რაოდენობა 265 (მათ შორის — 3 მონოგრაფია და ერთი წიგნი).

მიხეილ ქურდიანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ზოგადი ანუ თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერების განვითარების საქმეში. მან საუნივერსიტეტო სწავლების სამივე საფეხურისათვის წარმოადგინა ზოგადი (რესპ. თეორიული) ენათმეცნიერების უწყვეტი კურსის კონცეფცია, რომლის სისრულე, სიახლე და აქტუალობა ამ დარგის სპეციალისტებისათვის მოიაზრება როგორც ერთიანი იერარქიული სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს ლინგვისტის პროფესიული მომზადების ყოველ საფეხურზე უწყვეტად, შესაბამისი საუნივერსიტეტო საფეხურის მიზანდასახულობასთან სამეცნიერო დისციპლინის ინტერესთა სრული შესაბამისობით და პარალელიზმის გამორიცხვით.

პროფესორ მიხეილ ქურდიანს ყოველთვის აწუხებდა ის მდგომარეობა, რომელშიაც ამჟამად იმყოფება თეორიული ლინგვისტიკა საქართველოში. იგი აღნიშნავდა, რომ გვყავს ცალმხრივად განსწავლული ლექტორები, რომლებიც, მათი მაღალი სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მიუხედავად, არიან შეზღუდულნი ამა თუ იმ მიმდინარეობის ან სკოლის თვალსაზრისით, მეტიც, მოდური თუ მოდიდან გამავალი მეცნიერული პარადიგმით, რომელსაც აწვდიან სტუდენტებს, როგორც მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას უნივერსიტეტში ბაკალავრის, მაგისტრის ან დოქტორის სამეცნიერო ხარისხმიღებული ლინგვისტი კი თავისი სამეცნიერო ხარისხის შესაბამისად, უნდა ფლობდეს ზღვრულ, კვალიფიცირებულ ინფორმაციას თავის სპეციალობაში, კორექტულად, მეთოდოლოგიური იმანენტიზმის დონეზე იყენებდეს სპეციალურ მეთოდებს და, რაც მთავარია, აზროვნებდეს კრიტიკულად.

პროფესორი მიხეილ ქურდიანი თვლიდა, რომ ლინგვისტიკა ზუსტი და ვერიფიცირებადი მეთოდების მქონე მეცნიერებაა და ამ მხრივ ტოლს არ უდებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, მაგრამ ლინგვისტიკა, ამ შემთხვევაში თეორიული, შედგება რამდენიმე დარგისაგან და ამ დარგებს შორის არ არსებობს ტერმინთა სინონიმურობა (სემიოტიკაში, კომპარატივისტიკაში, ანთროპოცენტრულ (კომუნიკაციურ) ლინგვისტიკასა და სოციოლინგვისტიკაში); არადა, ყველა მათგანი ზოგადი (რესპ. თეორიული) ლინგვისტიკის დარგია. მიხეილ ქურდიანისათვის პრინციპულად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან მათი კვლევის მეთოდებიც.

პროფესორ მიხეილ ქურდიანს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტები საუნივერსიტეტო სწავლების ტრადიციის მიხედვით ზოგადი ენათმეცნიერების პროპედევტიკური ნაწილით, ანუ ენათმეცნიერების შესავლით, პროფესიული სიყვარულით შეჰყავდა ზოგადი ენათმეცნიერების მრავალფეროვან სამყაროში. აძლევდა მათ ენის, როგორც ენათმეცნიერების საგნისა და ენობრივი ნიშნის დეფინიციებს თეორიული ლინგვისტიკის სხვადასხვა დარგის მიხედვით, თვალსაჩინოს

ხდიდა ამ დარგების იმანენტურ მარკერებს, აწვდიდა მათ ფუნდამენტური ლინგვისტიკის ტერმინთა მნიშვნელობას და მათ არასინონიმურობას დარგების მიხედვით და ა.შ. აძლევდა სტუდენტებს საბაზისო ცოდნას, უვითარებდა მოწოდებული ინფორმაციის კლასიფიკაციისა და ვერიფიკაციის უნარს და ასწავლიდა მეთოდებს, ენობრივ ფაქტსა და ინტერპრეტაციას შორის განსხვავებას, ამა თუ იმ თეორიული საფუძვლის ამოცნობასა და განსაზღვრას რელევანტური ნიშნის მიხედვით, მათ ურთიერთშედარებას სინქრონიაში თანარსებულ ინტერპრეტაციებთან, რაც პროფესორ მიხეილ ქურდიანს მიაჩნდა პროფესიონალად ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტი ღირებულების მქონედ. ამით სტუდენტები განასხვავებენ თეორიულ ლინგვისტიკაში პოვნიერ მითოლოგემებს — „რწმენის“ საგანს — ცოდნისგან.

ზოგადი ენათმეცნიერების კურსი პროფესორ მიხეილ ქურდიანისათვის საბაკალავრო და სამაგისტრო დონეების მიხედვით განსხვავებული სახით იყო წარმოდგენილი. იგი თანამედროვე სოციოლინგვისტური კვლევის მეთოდებისა და თეორიების საკუთრივ ლინგვისტურ ინტერპრეტაციებს განიხილავდა სოციოლინგვისტური იმანენტიზმის ფარგლებში. მიხეილ ქურდიანისათვის ეს კურსი ორიენტირებულია მულტილინგვური მონაცემებით ოპერირებაზე, რომელშიც სათანადოდ არის ასახული ქართველური და მთის კავკასიური ენების მასალაც, რამაც სარწმუნო უნდა გახადოს წამოყენებული დებულებები, რათა მათი ვერიფიცირება არაჰომოგენური და არაიზომორფული ენების საშუალებით ხდება.

მეცნიერ მიხეილ ქურდიანის კვლევის პრიორიტეტები დაკავშირებულია საქართველოში და, საზოგადოდ, ენათმეცნიერებაში ისეთი კარდინალური და გაჭიანურებული საკითხის გადაწყვეტასთან, როგორიცაა ქართველური და მთის კავკასიური ენების ნათესაობის დამტკიცება მკაცრი და ვერიფიცირებული მეთოდების გამოყენებით. ამ საქმეში ქართველმა ლინგვისტებმა ითამაშეს გადამწყვეტი როლი (მ. ჩუხუა, მ. ქურდიანი...). მათმა ნაშრომებმა უკვე მოიპოვეს საერთაშორისო აღიარება კავკასიოლოგთა წრეებში. ამ ნაშრომებს მიეცათ ახალი პარადიგმის კვალიფიკაცია. ამგვარად, ქართველური და მთის კავკასიური ენების ნათესაობის დასაბუთებით გამოიკვეთა ახალი რეალობა, პერსპექტივები, პრიორიტეტები. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ლინგვისტური, არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მონაცემების ურთიერთვერიფიკაცია.

მიხეილ ქურდიანის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“ შემაჯამებელი, საეტაპო ნაშრომია იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის თეორიაში. მასში დადგენილია ამ ენობრივი ოჯახის თითოეულ ჯგუფში შემავალ ენებს შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობანი, ფუძე-ენის ფონოლოგიური სისტემის, მორფოლოგიური ინვენტარისა და სიტყვაფორმათა არქეტიპების ვერიფიცირებადი რეკონსტრუქციები და სარწმუნო ეტიმოლოგიები. ამ ნაშრომს შემდგომში უნდა დაეფუძნოს რაოდენობრივად ახალი ეტაპი — ახალი მასალისა და ახალი შეპირისპირებების გამოვლენა, შესატყვისობათა დადგენილი სისტემის რეინტერპრეტაციის პრობლემები და სხვა.

მიხეილ ქურდიანი იკვლევდა ქართველთა პირველსაცხოვრისს ენობრივი მონაცემების მიხედვით და საერთო-ქართველური საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას, პრაქართველთა ტომობრივ შედგენილობას, კულტურული და სამეურნეო ყოფის არაერთ საკითხს.

სემანტიკისა და ტიპოლოგიის დარგში კვლევას ანარმოებდა სამი მიმართულებით: ა) ნათესაობის ტერმინები, ბ) სივრცის სტრუქტურირება (რესპ. მარკირების) და გ) ფერის აღმნიშვნელი ლექსიკის ანალიზი (ისტორიულ-შედარებითი და შედარებით-ტიპოლოგიური) იბერიულ-კავკასიური, ინდო-ევროპული და სემიტურ-ქამიტური მასალის საფუძველზე. ამ კვლევევის თეორიული საფუძველია ლინგვისტური ანთროპოლოგია („ენათა შორის სინონიმურობა არ არსებობს“ — ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი).

მიხეილ ქურდიანის სამუშაო მაგიდაზე დარჩა მასალები სოციოლინგვისტიკის დარგში, რომლითაც იგი ცდილობდა კენეტ ლი პაიკის „ეთიქს“ და „ემიქს“ მიდგომის ახლებური „ენერგეისტული“ ინტერპრეტაციის დანერგვას და მისი ფართო შესაძლებლობის დემონსტრირებას კავკასიაში ენობრივ ქცევათა დესკრიფციის თვალსაზრისით.

ქართველურ ენათა და დიალექტთა კვალიფიკაციის სფეროში მიზანსწრაფულად შექმნილ კრიზისთან დაკავშირებით მიხეილ ქურდიანი მუშაობდა ენისა და დიალექტის სოციოლინგვისტური და კომპარატივისტული დეფინიციების სრულყოფისა და პრინციპული გამიჯვნისათვის, მომიჯნავე თეორიული პრობლემების დამუშავებისათვის, ქვეყანაში დიგლოსიური და ბილინგვური მოცემულობების მართვის თეორიული ბაზის ჩამოყალიბებისათვის.

ზემოთქმული მიხეილ ქურდიანის მხოლოდ კვლევითი პრიორიტეტებია. მათ პარალელურად იგი აწარმოებდა საერთაშორისო კონტაქტებით ნაკარნახევ კვლევებს, იყო არაერთი სამეცნიერო ფორუმის მონაწილე და თავადაც თვლიდა, რომ ნებისმიერი ლინგვისტური ინსტიტუციის არსებობას აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ამბიცია, იყოს იდეათა გენერატორი და დისკურსანტი საერთაშორისო მასშტაბით და მოიხვეჭს ძალებს ამ ამბიციების რეალიზაციისათვის. სწორედ ამიტომ მიხეილ ქურდიანი მხარში ედგა კავკასიოლოგიის ინსტიტუტს როგორც პირველი, ასევე მეორე საერთაშორისო კონგრესის ორგანიზებასა და სამეცნიერო მიმართულებების განსაზღვრაში. II კონგრესი, სამწუხაროდ, მის გარეშე გაიმართება.

მიხეილ ქურდიანს მიაჩნდა, რომ თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტი არა მარტო უნდა იდგეს თანამედროვე მსოფლიო ზოგადი ლინგვისტიკის დონეზე, არამედ თავადაც უნდა განაპირობებდეს ამ დონეს.

წავიდა ჩვენგან ახალგაზრდა, მაგრამ მაინც ვალმოხდილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, რომელსაც თამამად შეუძლია გაუსწოროს თვალი იმქვეყნად ფარნავაზს, ლეონტი მროველს, ივანე ჯავახიშვილს, არნოლდ ჩიქობავას. მისი მიწიერი ცხოვრების დასასრული აღსავსე იყო ემოციებით, ტანჯვითა და ტკივილით. უფალმა აქვე, მიწიერ ცხოვრებაში, მოახილვა სატანჯველი სასუფევლის დასამკვიდრებლად. იგი ქართველ ლინგვისტთა შორის გამობრწყინდა ვითარცა მთიები ხილულსა და განქარვებად ზეცის სამყაროში, რათა სამარადისო ნათელით იყოს მოცული მიხეილ ქურდიანის მარადიული სამკვიდრებელი.

ცირა ბარამიძე
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი

მიხეილ ქურდიანის მიერ სიყვარულით „დაჩაგრული“ სამყარო

,,ქრისტიანობის მთავარი არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ჩვენი სიყვარულით „დავჩაგროთ“ ყველა, ჩვენი სიყვარულით მოვერიოთ და დავამარცხოთ ყველა, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენი მსაჯული, უფლის გარდა, არავინ იქნება”, — მიხეილ ქურდიანის ეს სიტყვები მაშინ გაჟღერდა, როცა საქართველოს საპატრიარქოს ეგიდით, წმიდა ანდრია მოციქულის ხსენების დღესთან დაკავშირებით, დიდაჭარაში სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღო ქართველ მეცნიერთა დიდმა ჯგუფმა, რომელსაც მიხეილ ქურდიანი ხელმძღვანელობდა. ადგილობრივ მოსახლეობას, რომელთა შორის მრავლად არიან მუსლიმანური რელიგიის მიმდევარნი, მიხეილ ქურდიანმა „ერთსულოვნად ცხოვრების“ მოდელი ისე შესთავაზა, რომ მძაფრი შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფთ საწინააღმდეგო აზრის გამოთქმის სურვილი გაუქრათ. საპატრიარქოს მიერ დაგეგმილი ღონისძიება, რა თქმა უნდა, აგრესიას და დაპირისპირებას აჭარის მაღალმთიან სოფლებში არ ,,შეიტანდა” და ამაში ეჭვი არც არავის შეჰპარვია, მაგრამ აშკარად თვალშისაცემი იყო მიხეილ ქურდიანის გამოსვლები, რომელმაც თავისი მსოფლმხედველობის წარმოჩენით ერთ წამში ,,მოაქცია” ჩვენსკენ დიდაჭარის მკვიდრნი. ,,ერთ ფაქტს გავიხსენებ: ყაზახეთში მგზავრობის დროს ჩემს კუპეში მოხვდნენ ერთი ქრისტიანი მღვდელი, ყაზახი ბიზნესმენი და მოლა. ისე გამოვიდა, რომ მოლა და მღვდელი მთელი გზა ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. ყაზახი ბიზნესმენი ცოტა განაწყენდა და მოლას მიმართა — აქ მე ვარ მუსლიმანი და მე უნდა მელაპარაკო და არა ქრისტიან მღვდელსო. მოლამ უპასუხა — ამ კაცს ღმერთი სწამს. ჩვენ ღმერთზე ვლაპარაკობთ. შენ კი ღმერთი არ გწამს და რაზე უნდა გელაპარაკოო”, — მსგავსი მაგალითების მოყვანით გაიკვალა გზა მიხეილ ქურდიანმა იმ ადამიანების გულამდე, რომელთაც სარწმუნოების მიუხედავად, ქართულ სახელმწიფოში ერთად ცხოვრების პასუხისმგებლობის განცდა შეუქმნა – ამის გაკეთება იოლი ნამდვილად არ გახლდათ, მაგრამ ის, რაც თვალსაჩინო იყო, მუდამ უნდა აღიარო... ,,პატივი ვცეთ ერთმანეთის რწმენას ისე, როგორც ამას აკეთებს მისი უწმიდესობა, ხოლო შეჯიბრი — ვისი რწმენა ჯობია, ჩვენ კარგისკენ არასდროს წაგვიყვანს”, — ამით დაასრულა თავისი მრავლისმომცველი, ისტორიულ ფაქტებზე ,,დამყნობილი” არაერთი მაგალითით გაჯერებული სიტყვა მიხეილ ქურდიანმა, რომლის ჩასვლაც, მომდევნო წლებში, ღამის ზეიმად ექცათ დიდაჭარლებს.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციას ბატონ მიხეილ ქურდიანის სხვა მრავალი გამოსვლა და მოხსენება აქვს არქივში შენახული და ვერ ვიფიქრებდით, თუკი არქივის მოქექვა და იქიდან მიხეილ ქურდიანის სიტვების ამოკრება მოძიებული მარგალიტების მსგავსად გაგვაოცებდა. არ შეიძლება არ გაიხსენო საზოგადოებრივ მაუწყებელზე გასულ გადაცემა ,,დიდ ათეულში” საზოგადოების წინაშე მიხეილ ქურდიანის მიერ ივანე ჯავახიშვილის, როგორც მეცნიერის, უნივერსიტეტის დამაარსებლისა და პიროვნების წარდგენის ის 15 წუთი, რამაც დამსწრე საზოგადოება მონუსხა. სამწუხაროდ, ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ არის შემდგარი იმ პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებად, რომელმაც ზუსტად იცის — რომელი მოღვაწე იმსახურებს უფრო მეტ ხმას. ივანე ჯავახიშვილის ათეულში მოხვედრა ამიტომაც გახდა შეუძლებელი, მაგრამ მიხეილ ქურდიანმა გადაცემის მსვლელობისას ისე წარადგინა უნივერსიტეტის დამაარსებელი, რომ მას არაერთი ქულა შესძინა და ივანე ჯავახიშვილი მეთერთმეტე ადგილზეც კი გაიყვანა.

სიმართლის თქმა ერთხელ მაინც გეპატიება ცხოვრებაში და ამ დროს დასჯის მოლოდინი არ გაქვს - ეს ის დროა, როცა ზარები ჩამოჰკრავენ და სულიდან ამოხეთქილი სიტყვებით გინდა გაარღვიო გზა გარდაცვლილი ადამიანის სულამდე მისაღწევად... როცა ჩრდილში ამყოფებდი ადამიანს, რომელიც ხელის გულზე უნდა გეტარებინა, როცა ლიდერობისთვის ბრძოლის ჟინიც დაუკარგე შენი დაუნახაობითა და უმადურებით, როცა უსამართლობის განცდის ამოფრქვევის სურვილიც გაუქრე შენი თავდაჯერებული განაცხადით — რომ ყველა ნიჭიერი დაფასებულია ამ ქვეყანაში — მისი გარდაცვალების შემდეგ მაინც უნდა აღიარო, რომ ყველაფრისთვის მზად ხარ — ყველაფერი შეიწყნარო, გარდა გენიისა. ამ სიტყვების აღმოთქმა მომინდა მიხეილ ქურდიანის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, რომელმაც, თურმე მიზეზთა გამო, თსუ-ის ასოცირებული პროფესორის სტატუსსაც კი ვერ ,,გადაასწრო” მაშინ, როცა მთელი მისი შინაგანი ინტელექტუალური ენერგია, გამაოგნებელი განათლება, ცივილიზაციათა დიალოგის წარმოების დიდოსტატობა, საოცარი ორატორული ნიჭი და უამრავი მისი უნარ-ჩვევა, მინიმუმ მაინც, უნდა გამოეყენებინათ... სამწუხაროა, რომ დღეს არის ამ სიმართლის თქმის დრო, როცა გარდაცვლილ ადამიანს გინდა მისწვდე შენი მისდამი დამოკიდებულების გამომჟღავნებით.

„მოკვდა ადამიანი და ახლა რად იხოკთ პირს?“ - იტყოდა ნიკო ლორთქიფანიძე, მაგრამ მე ამასაც არავის ვაკადრებ, რადგან, დიახ, უნდა ვიტიროთ ის ადამიანიც და ჩვენი უგუნურებაც ამ ადამიანის წინაშე...

მიხეილ ქურდიანის მოულოდნელმა გარდაცვალებამ გააცოცხლა ჩვენს წინ ის ფაქტები, როცა ორატორობის ნიჭით შემკული კაცი აუდიტორიას, პირველ რიგში, გულწრფელი დამოკიდებულებითა და უშუალობით იპყრობდა. გვახსოვს, როგორ აღაფრთოვანა ,,საბავშვო უნივერსიტეტის” ფარგლებში გამართული ლექციის კითხვისას მიხეილ ქურდიანმა სკოლის ათასამდე მოსწავლე. „ინდაური, რომელიც დარბის ეზოში; ხახვი, რომელიც იზრდება ბოსტანში; კაკალი, რომელიც აბია ხეს; წიწაკა, რომელიც იზრდება ქოთანში; ზაფრანა, რომელიც კიდია აივნის ბოძზე; უცხო სუნელი, რომელიც ხმება სხვენზე; მარილი, რომელიც ინახება განჯინაში და წყალი, რომელიც არის ჭაში — ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს არის საცივი. საცივს იმ შემთხვევაში მივიღებთ, როდესაც ამ ყველაფერს ერთ ქვაბში მოვათავსებთ. ასევეა ერიც — თუ იგი ერთი სახელმწიფოს ქვაბში და ერთი ერის წვენში არ მოიხარშა, ერად ვერ ჩამოყალიბდება. აი, ასეთი სახელმწიფო შეგვიქმნა ფარნავაზმა ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებით“, — ასე განუმარტავდა მიხეილ ქურდიანი ,,საბავშვო უნივერსიტეტის” მსმენელებს, თუ საიდან იწყება სახელმწიფოებრივად აზროვნება. მან სკოლის მოსწავლეებს თამაშით შესთავაზა ენის უნიკალურობისა და მისი განვითარების მაგალითებიც. ბავშვები ძალიან გაამხიარულა „დროთა აღრევის“ თამაშმა: „წარმოიდგინეთ, რომ მეზობელი აკაკუნებს კარზე და გეუბნებათ: 3 მარტისთვის მეუღლეს საჩუქარი მოვუმზადე და თუ შეიძლება ცხედარს თქვენთან დავმალავო! — თქვენ გგონიათ, რომ კრიმინალურ ისტორიაში გაებით? — არა, უბრალოდ მეზობელი XII საუკუნის ადამიანია და მხოლოდ ტახტის შენახვას გთხოვთ... დიახ იმ დროში სწორედ ასე ერქვა ცხედარს”, — ასე შეიყვანა მიხეილ ქურდიანმა ბავშვები მათსავე სამყაროში და ისინი ისე ათამაშა, რომ მათ ენათმეცნიერება, ლამის, სასწავლო საგნად აირჩიეს. ლექციის დასრულების შემდეგ გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტისთვის” მიცემულ ინტერვიუში მიხელ ქურდიანმა ბავშვებთან საუბრის ხერხი და გამოცდილება ასე გაგვიზიარა: ,,არ არის ადვილი, სკოლის მოსწავლეებს აუხსნა ამ მეცნიერების ძირითადი პრინციპები, რადგან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შორის, ენათმეცნიერება, განსაკუთრებული სიზუსტით გამოირჩევა და არც ისე იოლი აღსაქმელია. გარკვეულწილად, მათთან ურთიერთობაში ჩემს შვილებთან მიღებული გამოცდილება გავითვალისწინე“, — გვითხრა მიხეილ ქურდიანმა.

ბოლოს მას გზად გადავეყარეთ და მოკითხვისას დაგვიგდო სიტყვა — როგორ მინდა, ჩემი ერთი წლის ,,მამიდა ბაიას” (მისი ქალიშვილი) დაქალებას მომასწრო და მერე თუნდაც მოვკვდეო... ასე უშუალო ადამიანად ზედმეტად ძირს მავალ მიხეილ ქურდიანს ვერ შეატყობდით, რომ, იმ წუთას, შენთან, დაპყრობილი მეცნიერების მწვერვალიდან ახლადჩამოსული იყო... ვერც იმას შეამჩნევდით, რომ ასოცირებულ პროფესორად მუშაობის გამო იმ პასუხისმგებლობებს იხსნიდა თავიდან, რაც, თუნდაც, ქვეყნის ლიდერებს მართებთ მოქალაქედ შენი აღზრდისას...

,,მამიდა ბაია” ღმერთმა გაზარდოს და ჩვენ, გაზეთის რედაქცია, მიხეილ ქურდიანის უეცრად გარდაცვალების გამო დამწუხრებულნი იმით ვინუგეშებთ თავს, რომ ჩვენს გაზეთებშია ,,დაბინავებული” ის კაპიტალი, რასაც მიხეილ ქურდიანის შესახებ მონაცემთა ერთი პატარა ბაზა ჰქვია. ეს ბაზა ყოველთვის იქნება ხელმისაწვდომი მისი შთამომავლობისთვის და მის აღზრდილთათვის, მეგობრებისთვის, რომელთაც მიხეილ ქურდიანის მიერ სიყვარულით ,,დაჩაგრული” სამყარო ჰქვია..

გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტის” რედაქცია

იგი ტერმინებით როდი „ოინბაზობდა“

მიშა ქურდიანს დიდი ხანია ვიცნობ, იგი ჩემი სტუდენტი იყო. მიშა 1971 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მაშინვე მივაქციე ყურადღება, ვინაიდან ყველასგან გამოირჩეოდა. დიდი ყურადღებით ისმენდა ლექციებს და საოცარ ინტუიციას ამჟღავნებდა... მას შეეძლო ჩემი დაწყებული აზრი დაემთავრებინა, რასაც ძალიან ზუსტად, პროფესიულად აკეთებდა. მისი განსაკუთრებული ნიჭი მაშინვე შესამჩნევი იყო.

უნივერსიტეტში ბევრი განსაკუთრებულად გამორჩეული სტუდენტი მყოლია. უნდა ითქვას, რომ ნიჭით გამორჩეულნი სხვა მხრივაც გამორჩეულნი არიან — თავისებურნი და არაორდინარულნი. პედაგოგმა უნდა გაუგოს და ხელი უნდა შეუწყოს მათ გამოვლენას, რათა ნიჭიერმა კაცმა სილაღე არ დაკარგოს. ასეთი ლაღი და კეთილი იყო მიშა. იგი თავშეკავებული და რბილი ჩანდა, თუმცა, არაორდინარული და გამორჩეული იყო თავის შეხედულებებში, დებულებებსა და მტკიცებულებებში.

სტუდენტობის შემდეგ მიშა დიდხანს არ მინახავს. იგი ხან მოსკოვში, ხან ლენინგრადში, ხან კიევში, ხანაც ბალტიისპირეთში იყო. დაუდგრომელი ბუნების ადამიანი გახლდათ, ერთ ადგილას გაჩერება არ შეეძლო. კარგა ხნის შემდეგ მას ენათმეცნიერების ინსტიტუტში შევხვდი. ჩემს წინ იდგა უკვე დიდი ცოდნით აღჭურვილი ბრწყინვალე ლინგვისტი და მჭერმეტყველი — მაღალი კლასის ორატორი. მას საოცარი სიმართლით შეეძლო ემსჯელა რომელიმე მეცნიერულ დებულებაზე. ის ტერმინებით კი არ ,,ოინბაზობდა”, არამედ კარგად ჰქონდა გათავისებული, რასაც ლაპარაკობდა, რომელსაც მსმენელიც კარგად იგებდა.

მიშა იყო ბრწყინვალე პოლემისტი. პოლემიკის დროს განათლებული ადამიანები ზოგჯერ დემაგოგიასაც კი მიმართავენ, მაგრამ მიშა არასდროს შეურაცხყოფდა მოწინააღმდეგეს. ზოგჯერ მისთვის არასასიამოვნო შენიშვნაც მიმიცია, მაგრამ არასდროს შემპასუხებია — მორიდებული და კარგად აღზრდილი ადამიანი იყო. მიშა კარგ ოჯახში აღიზარდა. თავდაპირველად მას ზრდიდა ბაბუა — ძალიან ცნობილი ექიმი სვანეთსა და სამეგრელოში... ბავშვობა აბაშაში გაატარა, ამიტომაც ბრწყინვალედ იცოდა მეგრული და მეგრული ხალხური პოეზია. მამაც ექიმი ჰყავდა, ამავე დროს, ლექსებსაც წერდა. დედა, ქალბატონი ნათელა, ბიოლოგი იყო.

1997 წელს იგი ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის წევრი გახდა. მას ღრმა ერუდიცია ჰქონდა როგორც თავის დარგში, ასევე მომიჯნავე დარგებშიც.

სრულიად თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ, როგორც სპეციალისტი, სიღრმისეულ ცოდნას ფლობდა. კარგი მეხსიერება ჰქონდა, რაც საშუალებას აძლევდა სპეციალურ ლიტერატურას ერთი წაკითხვით დაუფლებოდა.

ჩემი მონოგრაფიის — „ლაზურის ფონემატური სტრუქტურის“ მეორე რეცენზენტად (პირველი რეცენზენტი ქალბატონი მზია ანდრონიკაშვილი) მიშა მოვიწვიე. ასეთი სკრუპულოზურად დამუშავებული რეცენზია, შეკითხვებით თუ შენიშვნებით, იშვიათად შემხვედრია. მისი 20 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნა თუ შეკითხვა დღესაც სათუთად მაქვს შენახული.

ნათელა ქუთელია, პროფესორი

ბუნების კაცი

ვიცნობთ თუ არა პროფესორ არნოლდ გეგეჭკორს?

მე-8 გვერდიდან

აქ შეგნებულად აღარ ჩამოვთვალეთ ბევრი სხვა ევროპული უნივერსიტეტი, მხოლოდ იმიტომ, რომ გვეჩვენებინა, რამდენად ფართო გეოგრაფიულ არეალში ცნობენ არნოლდ გეგეჭკორს და რომელი ქვეყნების მეცნიერებსა და სტუდენტებს აცნობს კავკასიას და საქართველოს, როგორც სამიათასწლოვანი კულტურის მქონე ქვეყანას.

არნოლდ გეგეჭკორი პირველი ქართველი ბუნებისმეტყველია, რომელმაც სამეცნიერო მივლინებები საველე პირობებში გაატარა და დედამიწის ხუთი კონტინენტის ყველა ბუნებრივი ზონა შეისწავლა. მისი არც ერთი წიგნი არ ეყრდნობა მხოლოდ თეორიას, ყველა ნიმუში და მაგალითი, რომელზეც წერს (და ეს უიშვიათესი სამეცნიერო მასალაა), საკუთარი თვალით უნახავს და შეუსწავლია. თავად ამბობს, ამ კონტინენტებზე ფლორისა და ფაუნის ნებისმიერი ნიმუში პირველს თუ არა, მეორეს ან მესამეს მაინც მინახავსო... მისი წიგნების და თანდართული ფოტომასალის გაცნობა ამაში ადვილად დაგარწმუნებთ.

მან შეისწავლა დედამიწის ყველაზე გრძელი მდინარის — ნილოსის და ყველაზე დიდი წყალშემკრები მდინარის — ამაზონის სათავეები, ყველაზე დიდი ტბები: ბაიკალი და ტანგანიკა, მაღალმთის ყველაზე დიდი ტბა – ტიტიკაკა (სამხრეთ ამერიკა), ჩრდილოეთ ამერიკის ყველაზე დიდი ალპური ტბა ტაჰო, ყველაზე მლაშე ტბებიდან — ნატრონი (კენია), ყველაზე გრძელი ჩანჩქერებიდან — იოსემიტი, ყველაზე დიდი უდაბნოებიდან – საჰარა (აფრიკა), ყარაყუმი (ცენტრალური აზია) და კიდევ ბევრი რამ არაცოცხალი ბუნებიდან.

არნოლდ გეგეჭკორმა დაკვირვებები აწარმოა ცოცხალი ბუნებიდან: რელიქტურ სექვოიასა და სექვოიადენდრონის ტყეებში (კალიფორნია, აშშ), სამეფო ევკალიპტის ტყეებში (ტასმანია), ყველაზე პრიმიტიულ ძუძუმწოვრებზე (ავსტრალია), ტროპიკულ ტყეებზე, ათასობით სახეობის ეგზოტიკურ ცხოველსა და ფრინველზე. მან იცხოვრა ავსტალიის, აფრიკისა და ამერიკის აბორიგენებთან ერთად, რომელთა ნაწილი ამჟამადაც პალეოლითისა და ნეოლითის ეპოქათა წესით ცხოვრობენ.

არნოლდ გეგეჭკორი 50-მდე წიგნის ავტორია. არ არსებობს საქართველოსა და მთელს კავკასიაში ხეობა, რომელიც მას ფეხით არ მოევლოს, არ შეესწავლოს და წიგნად არ მიეწოდებინოს სტუდენტებისა და დაინტერესებული მკითხველისთვის. 2004 წელს გამოცემულ წიგნში „დედაბუნება“ აკადემიკოსი გიორგი გიგაური წერს: „არნოლდ გეგეჭკორმა რიგ შემთხვევებში გაიმეორა გამოჩენილი ბუნებისმეტყველების: ა. ჰუმბლოდტის, ჩ. დარვინის, ა. უოლესის და სხვათა ისტორიული მარშრუტები. გლობალური მასშტაბის სამჯერად ექსპედიციებში, ადრე ჩატარებულ საველე ექსპედიციებთან ერთად, მან შეაგროვა ფლორისა და ფაუნის საინტერესო ჯგუფების კოლექციები (ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში), დააგროვა

ბინდიბუს ტომის
წარმომადგენელთან

ინფორმაციული და ვიზუალური (ფოტო, ვიდეო) ხასიათის უმდიდრესი მასალა. ისინი ასახავენ დედამიწის ლანდშაფტებს, ბიომებს, დაწყებული ეკვატორიდან, ვიდრე პოლარული განედების ჩათვლით, დედამიწის ორივე ნახევარსფეროში, მოიცავენ ინფორმაციას: ისტორიულ გეოლოგიაში, პალეონტოლოგიაში, ეკოლოგიაში, ბიოგეოგრაფიაში, ევოლუციაში, ანთროპოლოგიაში, პალეოანთროპოლოგიაში, ეთნოგრაფიასა და სოფლის მეურნეობაში“.

ალბათ დროა, შევწყვიტოთ არნოლდ გეგეჭკორის სამეცნიერო კვლევებზე საუბარი, რადგან მისი სრული სურათის წარმოჩენას ათი გაზეთიც არ ეყოფა, მაგრამ მის ბოლო გამოცემებზე მაინც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ:

პირველ მათგანს „ბიოგეოგრაფია“, რომელიც 2008 წელს უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა, ჩვენ უკვე მივუძღვენით ვრცელი რეცენზია. მასში ვწერდით: „წიგნი 40 წლის განმავლობაში იწერებოდა. იგი გათვალისწინებულია ბიოლოგების, გეოგრაფების, პალეონტოლოგების და, ზოგადად, დედამიწისმცოდნეობით დაინტერესებული პირებისთვის, სტუდენტებისა და მაგისტრანტებისთვის. ავტორის მიზანია ორგანული სამყაროს (ფლორის და ფაუნის) ფორმირების კანონზომიერებისა და ისტორიის ასახვა დედამიწის ბუნებრივი ზონების მიხედვით. წიგნი ეფუძნება სხვადასხვა მონოგრაფიისა და საჟურნალო სტატიის კრიტიკულ ანალიზს, ასევე, ავტორის მიერ დედამიწის ყველა ბუნებრივ ზონასა და კონტინენტზე ჩატარებულ კვლევებსა და დაკვირვებებს“.

რაც შეეხება გამომცემლობა „მერიდიანის“ მიერ დასტამბულ წიგნს „ვეფხისტყაოსანი“ ბიოგეოგრაფის თვალით“, ესაა მონოგრაფია, რომელიც მეცნიერების ინტერდისციპლინური ხასიათის წარმატებული ნიმუშია. წიგნში მიმოხილულია ყველა გეოგრაფიული არეალი, ტერმინი, ცხოველთა და ფრინველთა სახეობა, რაც კი რუსთველს „ვეფხისტყაოსანში“ უხსენებია, რითაც არნოლდ გეგეჭკორი კიდევ ერთხელ ასკვნის, რომ უკვდავ პოემაში აღწერილი ყველა ბიოგეოგრაფიული ტერმინი XII საუკუნის საქართველოს აღწერს. წიგნის რეცენზენტები არიან ქართული სამეცნიერო საზოგადოების თვალსაჩინო სახეები: პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე, პროფესორი რევაზ ჟორდანია და პროფესორი მიხეილ ქურდიანი.

წიგნის წინასიტყვეობაში ვკითხულობთ: „დიდი ხანია რუსთველოლოგიაში სადისკუსიოდ იქცა პრობლემა — „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფიული გარემო: „არაბეთ-ინდოეთი“ — რეალობაა თუ შუა საუკუნეების საქართველოს „ნიღაბი“. მონოგრაფია „ვეფხისტყაოსანი“ ბიოგეოგრაფის თვალით“ პირველი ცდაა ამ პრობლემის ბიოგეოგრაფიული კვლევის გზით გადაჭრისა. ამისთვის გათვალისწინებულია XII საუკუნეში თამარ მეფის დროინდელი საქართველოს ტერიტორიული საზღვრები; ცხოველთა ინდიკატორული სახეობების მიხედვით გაანალიზებულია მაშინდელი ქვეყნის საზღვრებში მოქცეული შესაძლო ლანდშაფტური ერთეულები; დადგინდა პოემაში დასახელებულ ნადირ-ფრინველთა აბსოლუტური უმრავლესობის არსებობა (ლომი, ჯიქი, ავაზა, კანჯარი, გავაზი და სხვა) შუა საუკუნეების საქართველოსა და მის მოსაზღვრე რეგიონებში (თურქეთი, ირანი).

აღნიშნული ფაქტი, „ვეფხისტყაოსანში“ წელიწადის ოთხი დროის მიმანიშნებელი ტაეპები, უეჭველს ხდის, რომ პოემა XII საუკუნის საქართველოს სინამდვილეზეა დაწერილი... ავტორი მისეული ხედვითა და სხვა სპეციალისტებზე დაყრდნობით, კიდევ ერთხელ ასკვნის — რუსთაველი პოემის სათაურის შეთხზვისას გულისხმობდა ჯიქს (ხალებიანს) და არა ვეფხვს (ზოლებიანს)“. ჩვენი მოკრძალებული აზრით, მარტო ეს წიგნი რომ გამოეცა მეცნიერს, მხოლოდ ამითაც დარჩებოდა შთამომავლობას, არნოლდ გეგეჭკორის შემთხვევაში კი ერთი მუზეუმი დასჭირდება ყველა იმ აღმოჩენის, დაკვირვებისა და ფოტოში განივთებული პოეზიის გამოფენას, რაც მხოლოდ მის სამუშაო ოთახშია თავმოყრილი.

აქვე მოვიყვანთ იმ წინასიტყვაობასაც, რაც ყველა თაობის ქართველ კლასიკოსს გურამ დოჩანაშვილს ეკუთვნის: „მე მეგონა და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ გული ყველაფერია და მე ამ შეხედულების მარად ერთგული დავრჩები, მაგრამ რა სრულყოფილი სისავსეა, როცა გულს ემატება გონება; მე წავიკითხე გულ-ადამიანის მაღალი შემოქმედებით შექმნილი წიგნი და აღმოვჩნდი ისეთი განცვიფრებული, რომლის მსგავსი განცვიფრება არასოდეს განმიცდია. რატომ? ჩვენთვის თავიდათავი მაცოცხლებელი, გადამრჩენელი შოთა რუსთაველი ბრძანდება! და მეც შემომემატა იშვიათი სისავსე ბატონი არნოლდ გეგეჭკორის ამ წიგნის წაკითხვით. უღრმესი მადლობა გაბედნიერებისთვის, თქვენი გურამ დოჩანაშვილი, 28 თებერვალი, 2010 წელი“.

ვფიქრობთ, ამ მინაწერით ყველაფერი ნათქვამია.

აქლემებით გადასერილი უდაბნოები

არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ბავშვობაში, სათავგადასავლო ლიტერატურის კითხვისას, არ ეოცნებოს, თავადაც ეცხოვრა ველურ ტომებთან, თავადაც ენადირა ხის შუბით, მოეკლა ველური ნადირი, ხელით შეხებოდა აფრიკის ჯუნგლების სილამაზეს და მზის ჩასვლისას ესმინა ლომების გამაყრუებელი ღრიალისთვის. მე ამაზე ხშირად მიოცნებია და ადამიანურად შემშურდა ბატონი არნოლდ გეგეჭკორისა, რადგანაც მან მოახერხა, აქლემებით გადაესერა უდაბნოები და რამდენიმე თვე ეცხოვრა დღეს შემორჩენილ ბინდიბუსა და მასაის ველურ ტომებთან. ეს კოლოსალურ ადამიანურ ენერგიასა და რკინისებურ ჯანმრთელობასთან ერთად, ნებისყოფასაც მოითხოვს.

ვეკითხები — ბატონო არნოლდ, აი ახლა, წამიერად, მიღებული შთაბეჭდილებებიდან რომელი გახსენდებათ? არც ფიქრობს, ისე მპასუხობს — მე გამზირები და ფეშენებელური შენობანაგებობები არ მაინტერესებდა, აი ველურ ტომებთან თანაცხოვრების შთაბეჭდილებები კი აქამდე მომყვაო...

გასახსენებლად ნამდვილად ღირს ტანზანიაში, ნგორონგოროს კრატერის მახლობლად მობინადრე მასაის ტომელებთან ცხოვრება. „ეს მესაქონლე ტომია, თითოეულ ზრდასრულ მამაკაცს რამდენი ასეული ზებუც ჰყავს, იმდენი ცოლის მოყვანა შეუძლია... ისიც გაითვალისწინეთ, რომ მას ცოლს არ გაატანენ, თუ 5 დიდი ნადირი არ ჰყავს მოკლული. წარმოიდგინეთ, დილით მიდის 8 წლის მასაი, რომელსაც მიჰყავს ჯოგი, ხელში უჭირავს შუბი ნადირისთვის და ჯოხი — ნახირისთვის. არ არსებობს ლომი, რომელიც მას საქონელს წაართმევს...“ — გვიამბობს ბატონი არნოლდი და ჩვენს ცნობისმოყვარეობას ბინდიბუს ტომის შესახებაც აკმაყოფილებს: „ბინდიბუ ცენტრალურ ავსტრალიაში ბინადრობს და პალეოლითის ხანაში ცხოვრობს, მას არასოდეს ჰქონია შეხება რკინასთან, არასოდეს მოუყვანია რომელიმე კულტურული მცენარე და არ უცხოვრია განსხვავებული კულტურის ადამიანთან. ეს უდაბნოს ტომია, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, 2 საათის ძალისხმევა სჭირდება იმისთვის, რომ მთელი ოჯახი დააპუროს, ამ ტომის ზრდასრული მამაკაცი ნადირობს კენგურუ ვალაპიზე, ახალგაზრდა ვაჟი – ხვლიკ ვარანზე, ქალი და ბავშვი აგროვებს აკაციის ფესვებთან მობინადრე მატლებს და ფიკუსის ნაყოფს. სადილი გასაოცარი ოსტატობით კეთდება — ამოთხრილ ორმოში ანთებენ ცეცხლს და მასზე აწყობენ კენგურუს ხორცს, როცა ის მომზადდება – ხვლიკის ხორცს, დარჩენილ ნაღვერდალში ყრიან მატლებს, რომელიც ბატიბუტივით იწვის. დესერტად აყოლებენ ფინიკის ნაყოფს. მათთან ცხოვრება ჩემთვის, როგორც მეცნიერისთვის, ძალიან საინტერესო იყო და შთაბეჭდილება, ცხადია, მთელი ცხოვრება გამყვება“, — გვითხრა ბატონმა არნოლდმა...

ემოციის შესატყვისი კადრი

ამ ფერთა პალიტრას, რაც არნოლდ გეგეჭკორის ფოტოაპარატს გადაუღია, ტილოზე ვერც ერთი მხატვარი ვერ გადაიტანს. თითოეულ კადრში, რომელიც პეიზაჟიცაა, პორტრეტიც, ისტორიაც და ფოტოდოკუმენტალისტიკაც, აშკარად ჩანს, რომ ბუნება მართლაც მბრძანებელია. აქ ნახავთ შვლის ნუკრს, „მოაზროვნე დათვს“, ზამთრის ულამაზეს პანორამებს, გაზაფხულის ფერთა სისავსეს, შემოდგომის სიმყუდროვეს... მაგრამ ყველაზე მეტად გასაოცარი ისაა, თუ როგორ ხედავს თითოეულ კადრს მეცნიერი და ფოტოხელოვანი. „ახალგაზრდობაში კინოდოკუმენტალისტიკა მიტაცებდაო“... ამაზე მეტი დოკუმენტური მასალა არც ერთ კინოში არ იქნება თავმოყრილი, რაც ბატონ არნოლდს ძველი, „ზენიტის“ აპარატით გადაუღია და შემოუნახავს.

„არც კი ვიცი, რომელი უფრო მეტად მძლავრობდა ჩემში, ბუნებისმეტყველის თვალით დანახული, თუ ესთეტის თვალით დანახული ბუნებაო...“ — ხანდახან ჩაფიქრდება და ბოლოს იტყვის: ალბათ ორივე, რადგან ერთი მეორის გარეშე ვერც წარმომიდგენიაო... და იქმნება პარალელები ბუნებისა და ადამიანის ხელით წარმოქმნილი სილამაზისა, იქმნება სერიები ისტორიული ძეგლებისა, ქვაში ამღერებული სტრიქონებისა...

გულგრილი ვერ დარჩები, როცა მოისმენ, რომ ერთ პოეტურ სტრიქონს: „კლდის ფხაზე თეთრი ყვავილი, სანთელი ქარაფებისა“ სამი წელი იღებდა თურმე, სანამ არ მიაგნო ამ ემოციის შესატყვის კადრს – ხევსურეთში, მდინარე როშკისწყალზე, ვეებერთელა ლოდის ნაპრალში ამოწვერილ 4 მიხაკს, რომელსაც ქარი აყელყელავებდა...

ერთგან, ალბათ, სვანეთის ქარაფთა ძირში, თავისთვის ჩაუნიშნავს: „ნუთუ ოდესმე მომწყინდება აქაურობის ცქერა? ნუთუ დადგება დრო და მიზეზს ვეღარ გამოვძებნი, რათა კიდევ ერთხელ მოვისმინო მულახურას მიერ ჩამოტანილი ზვიად მთათა

„შვლის ნუკრის ნაამბობი“
ფოტო: არნოლდ გეგეჭკორისა

საარაკო ამბები, რათა კიდევ დავტკბე სურათით, რომლის აღწერა მხოლოდ სნორუპოვარი პოეტის კალამს თუ ხელეწიფება: „ლაჰილზე ისევ დიდებული და სავსე მთვარეა... და ყველაფერი ზღაპრულია და იდუმალია — ძველი მურყვამი, უშბა, თეთნულდი და ლამარია...“ ქალბატონო ანა, მთვარე ამ უჩვეულო დილასაც შემორჩენია ლაჰილის ზეცას, ოღონდ ნამგლისებრი და გამჭვირვალე“... მერე ეს ჩანაწერი წიგნშიც მოხვედრილა და ბატონ არნოლდთან ანა კალანდაძის მეგობრობას ამით ჩაჰყრია საფუძველი...

ვერა და ვერ დავსვი წერტილი....

არ არის საკმარისი ის, რაც დავწერე, მაგრამ რადგანაც სიტყვას აქ უკვე ძალა აღარ აქვს, იქნებ ბატონი არნოლდის ფოტობმა შეავსოს დარჩენილი სიცარიელე...

ფოტოებში განსხეულებული პოეტური სტრიქონები ჩემზე უკეთ იტყვის, რა საოცარი სიფაქიზე იმალება ამ კლდესავით შეუდრეკელ ადამიანში, რომელმაც თავისი ცხოვრებით თქვა სათქმელი: სამყარო, ადამიანი და რწმენა ერთი მთლიანობაა, ერთი სხეული, რომელსაც მოვლა და შენახვა სჭირდება...

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედკოლეგიის წევრები:	მისამართი:
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, დიანა ძიძიგური, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ბესარიონ ზოიძე, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11° (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		
ფოტოკორესპონდენტი	ლიკა პეტრიაშვილი		
კომპიუტ. უზრუნველყოფა	გიორგი წიქარიშვილი		22 36 62